პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 ოქტომბერი **სამშაბათი** 2009

№ 235 (12914) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამუდამო სასჯელი

ქართველ მწვრთნელს საკუთარ გუნდზე ფსონების დადება ჰბრალდება

>> გვერდი 2

## ფირცხალავა თუ... ჩოლარია?

არაოფიციალური ინფორმაციით, ყოფილ გენმდივანს ახალ ფედერაციაში ძველი პოსტი შესთავაზეს







ზვიად სიჭინავა და გია ფირცხალავა

ფედერაციული ამბები >> გვერდი 2

## დიდი

### სტუმრისა და ამბების მოლოდინში

ლიპარტელიანი პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს

ინტერვიუ >> გვერდი 13

## ქართველი სპეციალისტები: ქეცბაიას ალტერნატივა არ ჰყავს

გამოკითხვა >> გვერდი 4



## შოთა არველაძე: ვიცი, რომ თემური წინააღმდეგი არ არის...

>> გვერდი 2

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფედერაციული ამბები

# გენმდივნად ვალერი ჩოლარია ბრუნდება?

ვინ რა პოსტს დაიკავებს ფეხბურთის ფედერაციაში, პრეზიდენტად **ზვიად სიჭინავას** არჩევის შემდეგ? ვინ იქნება მის გუნდში? ვისთან ერთად შეუდგება ქართული ფეხბურთის მართვა-გამგეობას? მომენტისთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე დამაინტრიგებელი თემაა. ვრცელდება სხვადასხვაგვარი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც სიჭინავას გუნდში, ვიცე-პრეზიდენტებად **ალექსანდრე ჩივაძე** და **გიორგი ნემსაძე** მოიაზრებიან, გენერალური მდივნის პოსტზე კი, ადრეც ვწერდით, **გია ფირცხალავას** კანდიდატურა სახელდება. ეს უკანასკნელი გუშინ გვიან საღამომდე ინფორმაციას არ ადასტურებდა, თუმცა არც უარყოფდა, ნემსაძე კი კომენტარს არ აკეთებს...

სიჭინავასთან დაახლოებული ერთ-ერთი პიროვნებისგან ფრიად საინტერესო ამბები შევიტყვეთ: როგორც ჩანს, ახალი პრეზიდენტი ისე მარტივად არ აპირებს თანამდებობების განაწილებას, როგორც ბევრს წარმოუდგენია.



მისი პოლიტიკა არ არის „ძველებზე" შურისძიება. ამის დასტურად ეს ამბავიც იკმარებს - სიჭინავას მეგობარი გვიმტკიცებს, რომ ყოფილი გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** ფედერაციაში აუცილებლად დარჩება, ერთ-ერთი წამყვანი ვიცე-პრეზიდენტის რანგში. ეს გავლენიანი საფეხბურთო, ფინანსური, ინტელექტუალური და პოლიტიკური წრეების მხარდაჭერასაც ნიშნავს. გაიხსენეთ, სწორედ არველაძეების დახმარებით მოხერხდა პროფესიული ფეხბურთის ლიგის დაარსება, სასპონსორო ხელშეკრულებების გაფორმება, საქართველოსთვის აქამდე უცხო, (**შოთა არველაძის**) გაცილების მატჩის ორგანიზება, „პეპსის თასის" დასპონსორება, საქველმოქმედო ფონდის ჩამოყალიბება და მისი ეგიდით ნიჭიერი ბავშვების უცხოეთში გაგზავნა, ბავშვთა „ჩემპიონთა ლიგაში" საქართველოს 12-წლამდელთა ნაკრების ჩართვა, წინა ფედერაციასთან დაპირისპირებულ ძალებთან მოლაპარაკებების სურვილი, ხელისუფლების ფეხბურთით დაინტერესება და ფინანსური წყაროების ამოქმედება...

ამდენად, სიჭინავას ეს გადაწყვეტილება კარგად გათვლილი ნაბიჯია. არველაძეებს ქართულ ფეხბურთში დიდი გავლენა აქვთ და მისი იგნორირება არასწორი იქნებოდა. ოპოზიციური ჯგუფების „შემორიგებას" ფედერაციის ახალი პრეზიდენტი **ლევან ყიფიანისთვის** ბავშვთა ფეხბურთში (ფედერაციის განყოფილების უფროსის პოსტზე) დასაქმების შეთავაზებითაც შეეცადა. ყიფიანი ჯერ ფიქრობს. მართალია, მისი დანიშვნით **მიხეილ ყაველაშვილისგან** კრიტიკას ალბათ ვერ აიცილებს, მაგრამ თანამშრომლობის სურვილი ნამდვილად სჯობს ცეცხლზე ნავთის დასხმას. ამ მხრივ, სიჭინავა ნამდვილად არ ცდება.

მან ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი შესთავაზა გიორგი ნემსაძესაც, რომელმაც 2007 წლის 13 მაისს, სამარცხვინო არჩევნების შემდეგ, დიდი ტკივილი გადაიტანა. ნემსაძეს ფედერაციაში მისვლა აღარ სურდა, სამაგიეროდ, სიჭინავას სურს ნემსაძესთან თანამშრომლობა. თუ ნამსაძე დათანხმდა, მისი სახით ახალი პრეზიდენტის „ნავში" მოხვდება კიდევ ერთი ადამიანი, რომლის უკანაც ასევე სოლიდური და გავლენიანი ბიზნესწრეები (და პოლიტიკურიც) დგანან.

რა თქმა უნდა, ახალი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახდება ალექსანდრე ჩივაძეც - ვეტერან ფეხბურთელებს შორის ყველაზე ავტორიტეტული და გავლენიანი ადამიანი, რომლისთვისაც ყველა კარი ღიაა. ფეხბურთი პრაგმატული სფეროა და ავტორიტეტები დიდ საქმეს აკეთებენ. გავიხსენოთ, რას აკეთებს პელე? როგორც ჩვენი კოლეგა ილია ბაბუნაშვილი წლების წინ წერდა - „ფეხბურთის მეფე პელედ მუშაობს" და მის სახელთან ასოცირება ყველასთვის მნიშვნელოვანია. ასეთია შეთავაზების არსი. ჩივაძე ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის რანგში იმუშავებს, რაც სიჭინავას მხრიდან პრაგამატულად გამართლებული ნაბიჯია.

რა პოსტს დაიკავებს გია ფირცხალავა? - **მერაბ ჟორდანიას** დროინდელ ფედერაციაში საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელი და თბილისის „დინამოს" ყოფილი მმართველი დირექტორი? თურმე ნუ იტყვით და, ეს **ვალერი ჩოლარიას** გადაწყვეტილებაზე ყოფილა დამოკიდებული. სწორედ ეს არის ჩვენი წერილის ყველაზე სენსაციური დეტალი - სიჭინავასთან დაახლოებული პერსონა ამტკიცებს, დანამდვილებით ვიცი, ჩოლარიას გენერალური მდივნის თანამდებობა შესთავაზესო. სხვათა შორის, ეს სხვა წყაროებმაც დაგვიდასტურეს. ერთ-ერთმა მათგანმა კი ისიც კი გვითხრა - ჩოლარიამ ფედერაციაში დაბრუნება არ ისურვაო.

თუკი ეს ვარიანტი მართლაც გამოირიცხა, მაშინ ამ პოსტს ფირცხალავა დაიკავებს. ამას გარდა, მისთვის თავისუფალია ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის სავარძელიც. ფირცხალავას უკან „ნაციონალური მოძრაობის" გავლენიანი წრე დგას და ესეც საქმის საკეთებლად გადადგმული ნაბიჯია - ეტყობა, ასე უფრო იოლი იქნება ფედერაციის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარება.

პლუს ამას, ფირცხალავას შეუძლია, რუსეთში მოღვაწე მეგობრის, **ახრიკ ცვეიბას** თანადგომით, რუსეთში მოთამაშე ჩვენი თანამემამულეებისთვის საქართველოს ნაკრებისკენ მომავალი გზის გახსნა. ლაპარაკია იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც ცვეიბას სამენეჯერო სააგენტოსთან თანამშრომლობენ და ისინი საკმაოდ ბევრნი არიან.

როგორც გვითხრეს, თავად სიჭინავას გენერალური მდივნის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა ჰყავს, რომლის ვინაობასაც ჯერ არ ამხელს.

*„კიდევ ერთი ვარიანტია, რომ გენერალურ მდივნად მთავრობის კაცი დაინიშნოს, რადგან სახელმწიფო კვლავ აპირებს ფეხბურთში ინვესტიციების ჩადებას და ბუნებრივია, ფინანსური ბერკეტების გაკონტროლება სურს"*, - ამტკიცებს ჩვენი წყარო.

მსაჯთა კორპუსს, სავარაუდოდ, ფიფას არბიტრი **სერგო კვარაცხელია** ჩაიბარებს, თუმცა ჯერ არც ეს საკითხია გადაწყვეტილი. მსაჯობა უმნიშვნელოვანესი სფეროა და ის პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილმა პირმა უნდა გააკონტროლოს. ჯერჯერობით უცნობია, ვინ ჩაიბარებს საშეჯიბრო კომიტეტს.

მოკლედ, დღევანდელი ვითარებით, სიჭინავამ ვიცე-პრეზიდენტობა ოთხ პერსონას შესთავაზა - ალექსანდრე ჩივაძეს, რევაზ არველაძეს, გიორგი ნემსაძესა და გია ფირცხალავას. ლაპარაკია **ვლადიმერ გუცაევზეც**, თუმცა ჩვენი ინფორმაციით, მისი შანსი მიზერულია. ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხველი ინფორმაციებიდან ჩანს, რომ პოსტების განაწილებამ სიჭინავას დიდი თავსატეხი გაუჩინა, რადგან სხვადასხვა ჯგუფის ინტერესთა დაბალანსება დიდი პრობლემაა. ყველა ერთ გუნდად ვერც მოხვდება, თუმცა მთავარია, არჩევანი იყოს სამართლიანი...

**მერაბ მამულაშვილი**



# პლატინიმ სიჭინავა ნიონში დაპატიჟა

ფეხბურთის ფედერაციის ახლადარჩეული პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** მუშაობას უკვე შეუდგა. ის ახლა ფედერაციის მმართველი გუნდის ჩამოყალიბებაზე მუშაობს და კვირის ბოლოს, სავარაუდოდ პარასკევს, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებს და ალბათ, გენერალურ მდივანსაც დაასახელებს...

მანამდე კი სიჭინავამ უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინისგან** მილოცვა მიიღო. მისალოც ბარათში პლატინი ზვიად სიჭინავას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევას ულოცავს და თავისთან, ნიონში, უეფას შტაბბინაში ეპატიჟება. როგორც გავიგეთ, პლატინი მზადყოფნას გამოთქვამს, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტს უმასპინძლოს. ვიზიტის თარიღი ჯერჯერობით შეთანხმებული არაა და ამ საკითხზე მხარეები მოკლე ხანში შეთანხმდებიან.

**დავით ცაბაძე**

მოსაზრება

# შოთა არველაძე: ვიცი, რომ ქეცბაია წინააღმდეგი არ არის...

ეს სიტყვები „ალკმაარის" მწვრთნელ **რონალდ კუმანის** თანაშემწე **შოთა არველაძეს** ეკუთვნის. საქართველოს ნაკრების მომავალი თავკაცის თემა გუშინ უცხოურ ვებგვერდებზეც გამოჩნდა. შეგახსენებთ, რომ **ჰექტორ კუპერთან** გაფორმებული კონტრაქტის ვადა ამ წლის ბოლოს, 30 დეკემბერს იწურება. ნაკრების ახალი დამრიგებლის საკითხს ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და მისი გუნდი გადაწყვეტენ. მანამდე კი ჩვენი ფეხბურთის ცნობილი სახეები ამ თემაზე საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამენ. შოთა არველაძის პოზიციით უცხოური ვებგვერდი დაინტერესდა. ვნახოთ, რას ფიქრობს ის ერთობ რთულ სამწვრთნელო საკითხზე.

*„საქართველოში ბევრი შოკირებული იყო, როცა გაიგო, რომ თემურ ქეცბაიამ „ოლიმპიაკოსის" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. თემური პირველი უცხოელი მწვრთნელი იყო, ვისთანაც „ოლიმპიაკოსის" ხელმძღვანელობამ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჩემთვის დღემდე საიდუმლოა, რა მოხდა, რატომ დატოვა თემურმა პირეოსული კლუბი. ის კი ფაქტია, რომ ქეცბაიას მთხოვნელები არ აკლია. ალბათ, თემური ქართულ ფეხბურთს დაუბრუნდება და ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ნაკრებს ჩაიბარებს. ვიცი, რომ ის ამის წინააღმდეგი არ არის. ჩვენს ნაკრებს ნამდვილად სჭირდება ქეცბაია"*, - უთხრა შოთამ პოპულარულ ვებგვერდ goal.com-ს.

**დავით ცაბაძე**

სკანდალი

# სამუდამო სასჯელი პერტიას

ჩვენებური მწვრთნელი **თამაზ პერტია** დიდ სკანდალში გაეხვა - ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ „დინაბურგი" ელიტური დივიზიონიდან გააძევა, რადგან არის სერიოზული ეჭვი, რომ ეს გუნდი ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობდა. როგორც ლატვიური წყაროები იუწყებიან, გუნდის მთავარი მწვრთნელი თამაზ პერტია და კლუბის პრეზიდენტი **ოლეგ გავრილოვი** „დინაბურგის" თამაშებზე არალეგალურ ფსონებს აკეთებდნენ.

სხვათა შორის, ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ უეფასგან მიიღეს მტკიცებულებები, რომ გავრილოვი და პერტია ტოტალიზატორში საკუთარ გუნდზე თამაშობდნენ. მათ ლატვიურ ფეხბურთში საქმიანობა სამუდამოდ აეკრძალათ. „დინაბურგი" მე-4 ადგილზე იმყოფებოდა. სეზონის ბოლომდე კლუბს ყოველ მატჩში ტექნიკური მარცხი 0:3 დაერიცხება, მომავალი სეზონიდან კი ჩემპიონატში არ დაუშვებენ.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტრაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# მოჩვენებითი მშვიდობა


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გაგრა-დინამო 0:0

X ტურის სიმბოლური ნაკრები




მეორე წრე აშკარად „მშვიდობიანად“ დაიწყო - ჩემპიონატის დაწყებიდან პირველად მოხდა, რომ ტურში ერთდროულად სამი საყაიმო ანგარიში დაფიქსირდა; განვლილი ტურის კიდევ ერთი თავისებურება ნაკლები შედეგიანობა იყო - ხუთ ჩატარებულ მატჩში მხოლოდ ცხრა გოლი გავიდა (ამაზე უარესი შედეგი მეოთხე ტურში იყო - ოთხი გოლი); ამას გარდა, როგორც ადრევე ვივარაუდეთ, ფეხბურთელთა გადაღლილობამაც თავი იჩინა - გუნდებს ხომ ცხრა-ათ დღეში სამ-სამი მატჩის ჩატარებამ მოუწიათ; ჰოდა, მწვრთნელთა უმრავლესობაც, შეხვედრების დასრულების შემდეგ, ამ ფაქტორს საგანგებოდ ხაზს უსვამდა...

ჩემპიონატში ამჟამად ორკვირიანი შესვენებაა; 17 ოქტომბრამდე კი ერთპიროვნული ლიდერი კვლავაც „ზესტაფონი“ იქნება, კვლავაც დაუმარცხებლად რომ ასპარეზობს და დამსახურებულადაც იმყოფება ცხრილის სათავეში. სხვა „განსაკუთრებულზე“ კი ის შეიძლება ითქვას, რომ დანავსული სერია შეწყვიტა „ოლიმპმა“, ხოლო ჩემპიონობის კიდევ ერთმა ფავორიტმა „დინამომ“ კვლავაც ვერ მოიგო...

სხვა მხრივ კი ტური აშკარად „მშვიდობიანი“ გამოდგა (განსაკუთრებით, წინასთან შედარებით); აბა, გვერდით მსაჯს ტრიბუნიდან... ნასროლი ფეხსაცმელი რომ მოხვდება, ეგ რა „ალსაშფოთებელია“; ან კიდევ, ერთ-ერთ კლუბთან დაახლოებულ და გაურკვეველი სტატუსის პიროვნებას რომ მატჩის შემდეგ ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებენ, ეტყობა, ეგ ამბავიც უნდა „გავატაროთ“; საერთოდაც - დღესდღეობით სრული სიმართლის თქმა, ცოტა არ იყოს, საშიშიც გახდა...

## ორი ლოგიკა

ფეხბურთში „უხერხული მეტოქის“ ცნება ყოველთვის იყო, არის და იქნება; აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ჩემპიონატის პირველ ტურში გათამაშების ერთ-ერთი აშკარა ფავორიტი „ზესტაფონი“ საკუთარ მოედანზე ერთიანად გადახალისებულ-გაახალგაზრდავებულ „ლოკომოტივს“ თუ ვერ დაამარცხებდა; შეგახსენებთ, რომ ორი თვის წინანდელ შეხვედრაში ჩინებული მატჩი ჩაატარა სტუმართა მეკარე **მაქსიმე ქვილითაიამ**, პლუს ამას, რამდენიმე ეპიზოდში „ლოკომოტივს“ იღბალიც დაეხმარა და საბოლოოდ დებიუტანტი მწვრთნელის **გელა სანაიას** გუნდმა ზესტაფონიდან ქულის წამოღება მოახერხა. და აი, ამავე გუნდების მეორე წრის შეხვედრაშიც... კინალამ იგივე განმეორდა! ტაიმ-ნახევარზე მეტი იყო გასული, მაგრამ ერთპიროვნული ლიდერის რანგში მოასპარეზე ფავორიტი სტუმრები კვლავაც ვერაფრით ახერხებდნენ თავგანწირვით მოთამაშე მაქსიმე ქვილითაიას კარის დალაშქვრას; ამას გარდა, **გია გეგუჩაძის** ფეხბურთელები დამაგვირგვინებელ ფაზაშიც მოიკოჭლებდნენ და ბოლოს ყველაფერი **გიორგი ონიანის** ზუსტმა თავურმა დარტყმამ გადაწყვიტა. ეს გამარჯვება კი იმას ნიშნავდა, რომ „ზესტაფონმა“ ერთპიროვნული ლიდერობა, სულ მცირე, ორი კვირით გაიხანგრძლივა; ის კი არა, თუ კალენდარსაც „გადავხედავთ“, ნურავის გაუკვირდება, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის (თამაშითაც რომ ამართლებს ამ სტატუსს) ლიდერობა კიდევ უფრო დიდხანს გაგრძელდეს...

„ზესტაფონი“ კვლავაც რჩება ჩემპიონატის ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად; ხოლო „ლოკომოტივი“ კვლავაც პირველი გამარჯვების მოლოდინშია. ანუ, ლიდერისა და აუტსაიდერის დაპირისპირება აბსოლუტურად ლოგიკური შედეგით დასრულდა; აი, ისეთივე ლოგიკურით, როგორიც „გაგრა“-“დინამოს“ დაპირისპირება იყო. გუშინაც ვწერდით, რომ, შესაძლოა, საქმე კრიზისში არ იყოს, მაგრამ ვერც რეალობას გავექცევით - ზედიზედ ორი ტურია, „დინამო“ უძვირფასეს ქულებს კარგავს! თან, ეს ის შემთხვევაა, როცა კლუბის ხელმძღვანელებმა, მწვრთნელებმა თუ ფეხბურთელებმა... გარეშე მიზეზების ძებნა არ უნდა დაიწყონ; ანუ, აშკარად ჩანდა, რომ „სამტრედიასთან“ წაგებულ შეხვედრაშიც და „გაგრასთან“ ფრედ ნათამაშებ მატჩშიც, „დინამო“ ნამდვილად არ ჰგავდა საჩემპიონოდ შემართულ გუნდს. რა თქმა უნდა, ჯერ მხოლოდ სეზონის მეოთხედი მიილია, მაგრამ ასეთი ქულების დაკარგვა, შესაძლოა, გაზაფხულისთვის ძალიან ძვირად დაუჯდეს ჩვენს ყველაზე ტიტულოვან კლუბს. ამასთან, ცოტა არ იყოს, მოულოდნელობად მოგვეჩვენა ის ფაქტი, რომ „დინამოს“ ფეხბურთელთა უმრავლესობა ამ ორივე შეხვედრაში არასაკმარისად მოტივირებულად გამოიყურებოდა. არანაკლები მოულოდნელობა იყო „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის **კახა კაჭარავას** გადაწყვეტილებაც, როცა „გაგრასთან“ შეხვედრაში ნახევარდაცვის ხაზში ჭაბუკი ფეხბურთელები გაამწესა (ამ დროს კი, მუდამ ძირითადში რომ ვხედავდით, ის მოთამაშეები სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდნენ). ახალგაზრდა დინამოელებს მონდომება არ დაეწუნებოდათ, განსაკუთრებით, **გიორგი მამუჩაშვილი** დაგვამახსოვრდა აქტიური თამაშით, მაგრამ საბოლოო წარმატებისთვის საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. „დინამოს“ ამ შეხვედრაში ორი ჩინებული მომენტი ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს, პენალტიც ვერ გამოიყენა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მეტოქეს ბევრით ვერაფრით ჯობდა. ანუ, „გაგრა“ დამარცხებას არ იმსახურებდა და საკმაოდ არასანახაობრივი მატჩი, საბოლოოდ, სავსებით ლოგიკური ანგარიშით დასრულდა.


ლოკომოტივი-ზესტაფონი 0:1

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## სხვადასხვა სტატუსი

„ოლიმპი“ და „სიონი“ ერთი რეგიონის გუნდებია და ბევრი, ძალიან ბევრი „რამითაც“ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ოღონდ, ამ სეზონის დაწყების წინ, ყველასათვის ნათელი იყო, რომ ამ ორივე გუნდს ჩემპიონატში აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები ექნებოდათ. თავდაპირველად ყველაფერი „ლოგიკას ექვემდებარებოდა“ - „ოლიმპი“ თამაშს თამაშზე იგებდა და ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსსაც ამართლებდა. „სიონი“ კი ახალი მწვრთნელისა და ახალი ფეხბურთელების გამოჩენით, საკუთარი თამაშის „ძებნით „იყო დაკავებული და მოსალოდნელი, ანუ, შედარებით წარუმატებელი სტარტი გამოუვიდა. თუმცა, მერე, სიტუაცია შეიცვალა: „ოლიმპმა“ ზედიზედ ოთხი მატჩი ვერ მოიგო და ყოველივე ეს... ერთპიროვნული ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა; სამაგიეროდ, „სიონის“ გამოცდილმა მწვრთნელ-მოთამაშეებმა ერთმანეთთან „საერთო ენა“ მალე გამონახეს და შედეგიც სახეზეა: ბოლნისური გუნდი ზედიზედ ხუთი მატჩია, არ მარცხდება! ასე მოხდა ახლაც, როცა **თემურ მახარაძის** გუნდმა სტუმრად ფრედ ითამაშა ერთ-ერთ ლიდერ „სპარტაკთან“. სხვათა შორის, ამ ტურამდე **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდს საკუთარ მოედანზე ყველა მატჩი მოგებული ჰქონდა და, ალბათ, „სიონთანაც“ ამ ჩინებული სერიის გაგრძელებას ფიქრობდა, მაგრამ მხოლოდ ფრეს დასჯერდა. ეგ კი არა, თავიდან სულაც აგებდა და მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლო საპასუხო გოლის გატანა. აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა შორის თავი გამოიჩინა **ბოიომო ფრიდოლინმ**, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატში დებიუტი ამ რამდენიმე წლის წინათ სწორედ... „სიონში“ ჰქონდა...

..."ოლიმპი" და ამ გუნდის წარუმატებელი სერია ვახსენეთ და, ალბათ, ისიც უნდა გვეთქვა, რომ **ოთარ კორღალიძის** შეგირდებს ის ოთხი მატჩი უშუალო კონკურენტებთან ჰქონდა; ანუ, მეტოქეთა ფაქტორიც გასათვალისწინებელი იყო და აი, როგორც იქნა, ერთთვიანი პაუზის შემდეგ „ოლიმპმა“ გამარჯვების გემო გაიხსენა! მართალია, მოწინააღმდეგედ ერთ-ერთი აუტსაიდერი („ბაია“) ჰყავდა, მაგრამ მთავარი მაინც სამი ქულის აღება იყო და „ოლიმპმა“ ეს მოახერხა. სასიხარულოა, რომ ნელ-ნელა იბრუნებს სპორტულ ფორმას რუსთაველი კლუბის ლიდერი **ანდერსონ აკინო**, ვისაც ზედიზედ მეორე ტურია, გოლი გააქვს მეტოქეთა კარში. და კიდევ, „ოლიმპი“-“ბაიას“ მატჩზე: ეს შეხვედრა უმაყურებლოდ ჩატარდა (ასევე იქნება XI ტურში „ლოკომოტივთან“) და რუსთაველებს ალბათ, ბედმა გაუღიმათ, რომ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ასეთ სუსტ მეტოქეებთან დაპირისპირებისას დაემთხვა...

დაბოლოს, „სამტრედიის“ მორიგ შთამბეჭდავ მატჩზეც; რა თქმა უნდა, მისასალმებელზე მეტია ის ფაქტი, რომ რვაწლიანი პაუზის მერე უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული გუნდის საშინაო მატჩებზე სამი ათასამდე მაყურებელი დადის; აქედან გამომდინარე, ამ გუნდის ფეხბურთელებსაც, უბრალოდ, უფლება არა აქვთ უჯიგროდ ითამაშონ და მართლაც, სასიხარულოა, რომ „სამტრედიისათვის“ მეტოქის ფაქტორს მნიშვნელობა არა აქვს. ჰო, წინა ტურში „დინამოს“ მოუგეს, სამ დღეში კი უკვე მოქმედ ჩემპიონს შეხვდნენ და უხვგოლიანი ფრეც (2:2) გაახერხეს. ამ სეზონში „სამტრედიას“ საკუთარ კარში ყველაზე მეტი გოლი აქვს გაშვებული, მაგრამ, მეორე მხრივ, გუნდი „ლია ფეხბურთს“ ანიჭებს უპირატესობას და დებიუტანტის კვალობაზე საკმაოდ შედეგიანადაც ასპარეზობს.

... მსაჯისკენ დამიზნებით ნასროლი ფეხსაცმელის „ბედი“ კი, ალბათ, ბევრს არ დააინტერესებს - საერთოდაც, ნამდვილად არ არის მოსაწონი ფაქტი; მაგრამ, ყოველივე ეს ხომ ახლოსაც ვერ „მივა“ იმ ვანდალიზმთან, რომელსაც წინა ტურში ჰქონდა ადგილი...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკითხვა

# ქართველი მწვრთნელებისთვის ქეცბაია უალტერნატივოა



ფეხბურთის ფედერაციაში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლამ ისედაც წყალშემდგარი ექტორ კუპერის საქართველოს ნაკრებში დარჩენის შანსები, ფაქტობრივად, ნულს გაუტოლა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არგენტინელი ჩვენს ქვეყანას კონტრაქტის ამოწურვისთანავე, ანუ 2010 წლის დადგომისთანავე დაემშვიდობება.

მისი შემცვლელის თაობაზე დიდი ბჭობა მოსალოდნელი არ არის. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ კუპერის ადგილს თემურ ქეცბაია დაიკავებს. მართალია, იგი ჯერჯერობით მხოლოდ ირიბად ადასტურებს საქართველოს ეროვნულ გუნდში მუშაობის სურვილს, მაგრამ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ნაკრებს სწორედ მას ჩააბარებენ.

რამდენიმე ქართველ მწვრთნელს ორი შეკითხვით მივმართეთ.

**1. რატომ ვერ გაამართლა საქართველოს ნაკრებში ექტორ კუპერმა?**

**2. ვინ მიგაჩნიათ მის იდეალურ შემცვლელად?**

### ნესტორ მუმლაძე

1. კუპერი უმაღლესი დონის სპეციალისტია და ამიტომ ძალიან მიჭირს იმის ახსნა, რატომ არ აქვს შედეგი საქართველოს ნაკრებში.

2. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ნაკრებს აუცილებლად ქართველი უნდა წვრთნიდეს. თემურ ქეცბაია მშვენიერი კანდიდატურაა და არა მგონია, ამ საკითხს ბევრი მსჯელობა სჭირდებოდეს. საქართველოშია გაზრდილი, კარგად იცის ქართველი ფეხბურთელის, ზოგადად, ქართველი ადამიანის მენტალიტეტი. თანაც, აქვს კარგი მწვრთნელისთვის აუცილებელი თვისებები – არის ამბიციური და საკმაო გამოცდილებაც დაუგროვდა. დღეისათვის ამ თანამდებობაზე მასზე უკეთესი კანდიდატი არ მეგულება.

### ვლადიმერ ხაჩიძე

1. ყველა სამუშაო სპეციფიკურია. როგორც ჩანს, კუპერმა ქართულ გარემოში ადაპტაცია ვერ შეძლო. ძნელია წარმატებას მიაღწიო იმ ფეხბურთელებთან ერთად, რომლებსაც თარჯიმნის საშუალებით ელაპარაკები. როცა საქმე კლუბს ეხება, აქ ყველაფერი უფრო იოლია, ხოლო ნაკრებში, სადაც მოთამაშეებთან იშვიათად გაქვს შეხება, ეს ფაქტორი ხელის შემშლელია. ხომ ხედავთ, ისეთი დონის სპეციალისტმაც კი, როგორიც ფაბიო კაპელოა, ინგლისის ნაკრებში დანიშვნისთანავე ინგლისურის სწავლა დაიწყო.

2. ახლა ისეთ სიტუაციაში ვართ, რომ ქართველი მწვრთნელი უმჯობესია. ვემხრობი ქეცბაიას დანიშვნას. ძალიან ნიჭიერი, მონდომებული კაცია, სწრაფად პროგრესირებს და დარწმუნებული ვარ, სანაკრებო სპეციფიკას უცებ აუღებს ალღოს. თემურს ყველა თვისება აქვს იმისთვის, რომ დიდი მწვრთნელი გახდეს.

### ბესიკ შეროზია

1. შედეგის მისაღწევად ყველა მწვრთნელს გარკვეული პერიოდი სჭირდება, კუპერს კი დრო საამისო ნამდვილად ჰქონდა. ერთხელ დავესწარი მის ვარჯიშს და დავრწმუნდი, რომ ძალიან შრომისმოყვარე სპეციალისტია. სამწუხაროდ, მხოლოდ ეს ფაქტორი ნაკრების პროგრესისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. კუპერი მაღალი დონის მწვრთნელია, მისი პრობლემა ალბათ ისაა, რომ ჩვენი ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად ვერ განაწყო. როგორც ჩანს, იგი ქართულ ფეხბურთსა და მენტალიტეტს ვერ შეეწყო, თორემ წავა სხვა ქვეყანაში და ეჭვიც არ მეპარება, რომ ძველებური წარმატებით იმუშავებს.

2. ყოველთვის ვამბობდი, რომ ქართველებმა ქართული ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ. ამაში ვგულისხმობ შემტევ სტილს, ოღონდ, ბუნებრივია, დაცვასაც უნდა მივაქციოთ სათანადო ყურადღება. უცხოელებისგანაც უნდა ვისწავლოთ ბევრი რამ, მაგრამ ჩვენთვის დამახასიათებელი კოზირები არ უნდა დავკარგოთ. ისტორიას თუ გადავხედავთ, ყველა დიდი გამარჯვება სწორედ სანახაობრივი ფეხბურთით მოგვიპოვებია. ჩვენი ნაკრების მწვრთნელს რაც შეეხება, ბოლო წლებში რამდენიმე საინტერესო ქართველი სპეციალისტი გამოჩნდა, რომელთაგანაც დღეს ქეცბაიას დანიშვნა ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება იქნება. მჯერა, მისი პრინციპული ხასიათი თავისას იზამს და ნაკრებს მწვრთნელის ხელი დაეტყობა. თემური ამ რთულ საქმეს ღირსეულად გაართმევს თავს, ქართველ ერს ფეხბურთის ნიჭი ნამდვილად აქვს და ამას აუცილებლად დავამტკიცებთ.

### მერაბ კოჭლაშვილი

1. კუპერის საქმიანობის შეფასებისგან თავს შევიკავებ.

2. კარგი იქნებოდა, საქართველოს ნაკრების უცხოელ მწვრთნელებს ქართველი ასისტენტები აეყვანათ. ამით ისინი კვალიფიკაციასაც აიმაღლებდნენ და შემდგომში თავისუფლად შეძლებდნენ ნაკრების ჩაბარებას. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, რაც დიდ შეცდომად მიმაჩნია. ამის მიუხედავად, ამ ეტაპზე მაინც სჯობს, რომ ნაკრები ქართველს ჩავაბაროთ. ქეცბაია და არველაძე ახალგაზრდა, პერსპექტიული სპეციალისტები არიან. არველაძე დაკავებულია, ასე რომ, ქეცბაიას თამამად უნდა ვენდოთ. სხვა რა გითხრათ, ღმერთმა ხელი მოუმართოს თემურს!

### ვარლამ კილასონია

1. ამ შეკითხვას რომ ვუპასუხო, ნაკრების შიდა სამზარეულოში უნდა ვიყო ჩახედული. ზოგადად კი იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენი ფეხბურთელების დონე დაბალია. თუმცა ამ შემადგენლობით მაინც შეიძლებოდა შედარებით უკეთესი შედეგის მიღწევა.

2. ბოლო წლებში უცხოელ მწვრთნელებზე ძალიან დიდი ფული იხარჯებოდა, რაც არასწორი იყო. სჯობდა, ეს თანხები ინფრასტრუქტურისა და ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას მოხმარებოდა. თავისუფლად შეიძლებოდა უფრო ნაკლებანაზღაურებადი კარგი უცხოელის პოვნაც, დღეს კი სჯობს, ქართველს ვენდოთ. ქეცბაია თავისუფალია და მასზე უკეთეს კანდიდატურას ვერ ვხედავ. მთავარია, მას ნდობა ჰქონდეს და დრო მისცენ. ამ შემთხვევაში იგი აუცილებლად გაამართლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სანაკრებო ამბები

## კუპერი და გაბელია დღეს იწყებენ

საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები დღეს მოსამზადებელ შეკრებებს იწყებენ. ნაშუადღევის 3 საათზე **ექტორ კუპერი** და **ოთარ გაბელია** თავიანთ გუნდებს ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" შეკრებენ და საღამოს, სავარაუდოდ 5 საათზე, ვარჯიშებს ჩაატარებენ. ეროვნული ნაკრების წვრთნა „ბასაში" გაიმართება, 21-წლამდელებს კი გაბელია დიღომში, სპორტკომპლექს „ოლიმპიკში" ჩაუტარებს ვარჯიშს.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

## კაპიტნის კარგმა თამაშმაც ვერ უშველათ

წუხელ გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ" შინ 0:1 წააგო „არმინიასთან". მასპინძელთა ქართველმა კაპიტანმა 90 წუთი ითამაშა და გუნდში საუკეთესოც იყო, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი თუნდაც ქულის მოსაპოვებლად. „კარლსრუე" 10 ქულით მე-14 ადგილზეა, არადა, სეზონის წინ გუნდს ბუნდესლიგაში დაბრუნების რეალურ კანდიდატად მიიჩნევდნენ. „შპორტალმა" იაშვილის თამაში 3 ბალით შეაფასა.

საბერძნეთის ჩემპიონატში „ერგოტელისმა" სტუმრად 4:2 მოუგო „ასტერასს". გამარჯვებულთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **გიორგი შაშიაშვილმა**. „ერგოტელისი" 8 ქულით მე-6 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ვეტერანთა მატჩი

## დინამომ და არარატმა წარსული გაიხსენეს

ამ რამდენიმე დღის წინ ერევნიდან მოვიდა მიწვევა, რომლის ადრესატიც 70-80-იანი წლების ვეტერანი ქართველი ფეხბურთელები იყვნენ. ისინი ამხანაგური მატჩის გასამართავად მათივე თაობის სომეხმა ფეხბურთელებმა დაპატიჟეს.

მატჩი „მიკას" სტადიონზე ჩატარდა და 3 ათასამდე მაყურებელიც დაესწრო. სამწუხაროდ, „დინამო" „არარატთან" 4:5 დამარცხდა. ჩვენებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ჩიქოვანი, ქორიძე, სვანაძე, კოპალეიშვილი, ბარათაშვილი, კოპალეიშვილი, ლ. ნოდია, შენგელია.** მეორე ტაიმში შევიდნენ: **ჟვანია, მ. მაჩაიძე, სულაქველიძე.**

ჩვენს გუნდს მთავარი მწვრთნელის რანგში **სერგო კოტრიკაძე** ხელმძღვანელობდა. „დინამოსგან" გოლები **ალექსანდრე ჩივაძემ, ვაჟა ჟვანიამ, ლევან ნოდიამ** და **ვახტანგ კოპალეიშვილმა** გაიტანეს.

თამაშს თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **ივო შუშაკიც** დაესწრო, რომელიც ამჟამად ერევნის „მიკას" მწვრთნელ-კონსულტანტია. მატჩის დასრულების შემდეგ „მესამე ტაიმიც" გაიმართა - ტრადიციული ბანკეტი, რომელიც წესით არანაკლებ საინტერესო სანახაობა იქნებოდა...

**დავით ცაბაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

## პირველი ლიგა. VII ტური

**35-ე ს.ქ-ჩიხურა 0:1**

0:1 ბ. პეტრიაშვილი (66)

35-ე ს.ქ: ჯალალონია, თ. ბიბილაშვილი, ჭაფოძე, ავსაჯანიშვილი (57. გავაშელიშვილი), ეძგვერაძე, ბ. ტულუში, თექთურმანიძე, მოდებაძე (72. მებაღიშვილი), ბაგაშვილი (46. ი. არველაძე), გოგოხია, ფურცელაძე.

*სათადარიგოები:* მანია, უგულავა

*მთავარი მწვრთნელი:* კახა გოგიჩაიშვილი

ჩიხურა: დოლაძე, გვეტაძე, ცარციძე, მგალობლიშვილი, ტყებუჩავა, ზაბახიძე, ქამუშაძე (46. ზ. ნოზაძე), ლ. კობახიძე, დეკანოიძე (80. ჭილლაძე), როგავა (46. ბ. პეტრიაშვილი), სტეფანიშვილი.

*სათადარიგოები:* გაბარაშვილი, ივანიშვილი, ენუქიძე, მწყერაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: გოგოხია, გაბაშვილი, ლ. კობახიძე, ტყებუჩავა, ზაბახიძე

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

**კოლხეთი (ფ)-კოლხეთი (ხ) 4:0**

1:0 ნიქარიშვილი (39), 2:0 დ. ციცხვაია (72), 3:0 აბურჯანია (76), 4:0 ლ. გვალია (90+1)

კოლხეთი (ფ): გ. შენგელია, ნარსია, თედიაშვილი, თურქია, გელაჭეიშვილი, აბზზურჯანია, ჯოჯუა (76). ლუსტა), ლ. გვალია, დ. სიჭინავა (46. ლემონჯავა), ციცხვაია, ნიქარიშვილი (61. გ. ციკოლია).

*სათადარიგოები:* გულუა, ფარცვანია, ცხვიტარია, გოგონაია

*მთავარი მწვრთნელი:* ზაზა ინაშვილი

კოლხეთი (ხ): ჭურღულია, ჩაჩიბაია (52. ჯამბურია), კვირკველია, გ. გოგენია, მ. შონია, ალანია, კ. გოგენია (53. ფირცხალავა), ლეფსაია (61. ჩიტაია), სართანია, ლომაია, ღლონტი.

სათადარიგოები: ჩარგაზია, ფიფია, გაბრავა

მთავარი მწვრთნელი: ლევან ნოდია

გაფრთხილება: გ. გოგენია, სართანია

არბიტრი: მ. ურუშაძე

**ბათუმი-ტორპედო 0:1**

0:1 ფარულავა (55)

ბათუმი: კაკალაძე, ფარტენაძე, ლ. რამიშვილი, თედორაძე, ხუხია, სამსეიშვილი, ბეჟანიძე (59. ბერიძე), ზვ. ლობჟანიძე, დემურაძე (30. მ. ჯორბენაძე), ე. გრიგალაშვილი (63. ზოიძე), ბოხუა.

*სათადარიგოები:* ლ. კალანდაძე, მერაბიშვილი, ი. ტულუში, მამინაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

ტორპედო: მიგინეიშვილი, ზვ. ჩხეტიანი, ბ. ბიბილაშვილი, ფარულავა, ჭანკვეტაძე, ბ. ჩხეტიანი, მემარნიშვილი (14. ხარებავა), გ. ჩხეტიანი (81. კუხიანიძე), გურული, კირკიტაძე, შ. ჯიქია.

*სათადარიგოები:* კუჭუხიძე, თურმანიძე, ლონლაძე, ჩიხლაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გია გიგატაძე

გაფრთხილება: ბ. ბიბილაშვილი, მიგინეიშვილი, მ. ჯორბენაძე, ე. გრიგალაშვილი, ზვ. ლობჟანიძე.

არბიტრი: ი. ურუშაძე

**IBSU-მერცხალი 0:1**

0:1 სურგულაძე (30)

IBSU: ჯოლოგუა, მაჩალაძე, ტეტუნაშვილი, თავბერიძე, ცხოიძე (70. ბენდიანაშვილი), პირველი, ა. ნოზაძე (84. გვიჩია), არახამია (46. ქუცურუა), ნორაკიძე, ნიკოლაძე, მელქაძე.

*სათადარიგოები:* ბილიხოძე, მიქაძე, კვარაცხელია

*მთავარი მწვრთნელი:* გოჩა ჟორჟოლიანი

მერცხალი: ძაგანია, ვ. რამიშვილი, ტუტოიანი, ჩიგოგიძე, ნაჭყებია, ქობულაძე, ჭკუასელი, ჭეიშვილი, სურგულაძე (57. ჩიგოგიძე), თ. ჩხატარაშვილი (46. გობრონიძე, 60. ნაკაიძე), სიამაშვილი.

*სათადარიგოები:* ლომჯარია, გოგუა

*მთავარი მწვრთნელი:* ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: ნაჭყებია

არბიტრი: კ. ჭაჭუა

**მეშახტე- ნ/დინამო 1:1**

1:0 იაკობ დეისაძე (44), 1:1 მამუდოვი (64)

მეშახტე: მემარნიშვილი, დოლონაძე, გ. ტორაძე, გ. სიჭინავა, ძაგანია, ჯიშიაშვილი (46. ჭკადუა), ლომაშვილი, ქომეთიანი, მიქაბერიძე, იაგო დეისაძე, იაკობ დეისაძე.

*სათადარიგოები:* ბაბუნიძე, კეჭეყმაძე, რაზმაძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

ნ/დინამო: ძაძამია, ყურფარაშვილი, ი. კობახიძე, დაბრუნდაშვილი, ი. გაჩეჩილაძე, ზვ. კვარაცხელია (65. ჩუხუა), ი. ქავთარაძე (57. გულორდავა), ხვთისავრიშვილი, ი. შენგელია, მამუდოვი, მაისურაძე.

*სათადარიგოები:* ცინცაბაძე, უხურგუნაშვილი, ა. შონია, გაბისონია, მერეჩკო

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერიან გაგუა

გაფრთხილება: ქავთარაძე, ი. შენგელია, მაისურაძე, სიჭინავა, მამუდოვი, ძაგანია

არბიტრი: თ. გვანცელაძე

**პერეთი-ჭიათურა 2:0**

1:0 ლომსაძე (11), 2:0 გ. მაჭარაშვილი (37-პენ)

ჰერეთი: უ. ტუხაშვილი, ხარაიშვილი, დონდოლაძე, ფარულავა, ლომსაძე, მაჭარაშვილი, თ. ყაველაშვილი (66. ოქრუაშვილი), კუპატაძე (58. ყორლანაშვილი), ი. ტაბატაძე (81. ქაჩლიშვილი), პაპუაშვილი, უშარაული.

*სათადარიგო:* წვერავა

*მთავარი მწვრთნელი:* კარლო წვერავა

ჭიათურა: ბადურაშვილი, გაფრინდაშვილი, დ. შეყილაძე, (83. ვაშაძე), ტყემალაძე, ბრეგვაძე, ცუცქირიძე, ასანიძე, დ. ტაბატაძე (40. მეცხოვრიშვილი), თემირ მიშველიძე, სევასტოპულო, ლაშხი (68. თემურ მიშველიძე).

*სათადარიგოები:* ჭუმბურიძე, ღუ...ლაძე, დარბაიძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით იობაშვილი

გაფრთხილება: დონდოლაძე, პაპუაშვილი, ფარულავა, ტყემალაძე, ო. ტაბატაძე, დ. შეყილაძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

**მესხეთი-გურია 0:1**

0:1 მგელაძე (57)

მესხეთი: ძამუნაშვილი, ცნობილაძე, თ. გრიგალაშვილი, პარუნაშვილი (83. ქურდაძე), ლეკიშვილი, ბარძიმაძე, თელიაშვილი, სუდაძე, გონჩაროვი, გვირჯიშვილი, მერაბიშვილი (46. ინასარიძე).

*სათადარიგოები:* რეხვიაშვილი, ყულიჯანაშვილი, მუმლაძე

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა გოგოლაძე

გურია: გოგუაძე, ბრეგაძე, რ. კუკულაძე (69. იმნაძე), ქურიძე, კილაძე, შენირული, გოგიბერიძე, ჯაყელი, იმნაიშვილი (57. წილოსანი), კოტრიკაძე, კვერენჩხილაძე (46. მგელაძე).

*სათადარგოები:* ფირცხალაიშვილი, ლ. ციკოლია, ეზიეშვილი

*მწვრთნელი:* რამაზ ფირცხალაიშვილი

გაფრთხილება: კვერენჩხილაძე, გვირჯიშვილი

გაძევება: გვირჯიშვილი

არბიტრი: ზვ. ასკაროლლი

**I ლიგა**

**3 ოქტომბერი. შაბათი**

| | |
|---|---|
| ჰერეთი-ჭიათურა | 2:0 |
| მესხეთი-გურია | 0:1 |
| მეშახტე-ნ/დინამოელი | 1:1 |
| ბათუმი-ტორპედო 2008 | 0:1 |
| 35-ე/სკოლა-ჩიხურა | 0:1 |
| კოლხეთი (ფ)-კოლხეთი (ხ) | 4:0 |
| IBSU-მერცხალი | 0:1 |

მარტვილი ისვენებდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო | 7 | 7 | 0 | 0 | 27-2 | 21 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 6 | 5 | 1 | 0 | 16-4 | 16 |
| 3. ნ\დინამოელი | 6 | 4 | 2 | 0 | 17-9 | 14 |
| 4. ბათუმი | 7 | 4 | 2 | 1 | 6-2 | 14 |
| 5. ჩიხურა | 7 | 4 | 0 | 3 | 8-7 | 12 |
| 6. მეშახტე | 7 | 3 | 1 | 3 | 8-18 | 10 |
| 7. ჰერეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-11 | 8 |
| 8. კოლხეთი (ხ) | 7 | 2 | 1 | 4 | 8-14 | 7 |
| 9. მარტვილი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 10. მერცხალი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 11. გურია | 6 | 2 | 1 | 3 | 7-11 | 7 |
| 12. IBSU | 6 | 1 | 2 | 3 | 7-6 | 5 |
| 13. მესხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-10 | 4 |
| 14. მაღაროელი | 6 | 1 | 0 | 5 | 7-19 | 3 |
| 15. 35-ე სკოლა | 6 | 0 | 1 | 5 | 4-11 | 1 |

მესხეთმა ჩემპიონატი -3 ქულით დაიწყო

**დუბლიორთა ჩემპიონატი**

**VIII ტური**

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-სპარტაკი | 2:4 |
| ლოკომოტივი-დინამო | 0:3 |
| გაგრა-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| ოლიმპი-ბაია | 0:0 |
| სიონი-სამტრედია | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 8 | 4 | 3 | 1 | 13-8 | 15 |
| 2. გაგრა | 8 | 4 | 2 | 2 | 21-8 | 14 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 1 | 3 | 14-11 | 13 |
| 4. ლოკომოტივი | 8 | 4 | 0 | 4 | 12-15 | 12 |
| 5. ზესტაფონი | 8 | 3 | 2 | 3 | 14-15 | 11 |
| 6. ოლიმპი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-16 | 10 |
| 7. სპარტაკი | 8 | 3 | 1 | 4 | 13-23 | 10 |
| 8. სიონი | 8 | 2 | 3 | 3 | 18-16 | 9 |
| 9. სამტრედია | 8 | 2 | 3 | 3 | 13-10 | 9 |
| 10. ბაია | 8 | 2 | 2 | 4 | 6-12 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ

# ასათიანი გერმანიასთან რუსეთს უქომაგებს



მალხაზ ასათიანი რუბინთან მატჩში. მარჯვნივ ლაშა სალუქვაძე

რუსული პრემიერლიგის გასულ ტურში მოსკოვის „ლოკომოტივმა" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. რკინიგზელებმა შინ ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ ყაზანის „რუბინს" 2:1 სძლიეს და მასთან ჩამორჩენა 6 ქულამდე შეამცირეს. მეორეადგილოსანი მოსკოვის „სპარტაკი" კი „ლოკომოტივს" 5 ქულით უსწრებს. პრემიერლიგის დასრულებამდე 6 ტურია დარჩენილი და შესაბამისად, „ლოკომოტივი" ჩემპიონობის გარკვეულ შანსს ინარჩუნებს.

„რუბინის" დამარცხების შემდეგ „ლოკომოტივის" ერთ-ერთ ლიდერ მალხაზ ასათიანს „სპორტ-ექსპრესის" კორესპონდენტი გაესაუბრა. ინტერვიუს შემოკლებით გთავაზობთ.

**- თქვენი ნება რომ იყოს, მატჩის გმირად ვის დაასახელებდით?**

- არ ღირს ვინმეს გამოყოფა, მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა.

**- „ლოკომოტივთან" შეხვედრაში „რუბინი" ოდნავადაც არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე „ინტერს" კინაღამ მოუგო. მეთანხმებით?**

- საქმე ისაა, რომ „ლოკომოტივმა" უნაკლოდ ითამაშა, ჩვენი გუნდის თითოეულმა ფეხბურთელმა მწვრთნელის მითითება ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა. გამარჯვებაში სწრაფი გოლიც დაგვეხმარა. მეორე ტაიმში „რუბინი" გამოცოცხლდა და სახიფათო მომენტებიც შეგვიქმნა, მაგრამ ხელსაყრელი ანგარიშის შენარჩუნება მაინც შევძელით.

**- ყაზანელების ბოლოდროინდელი ჩავარდნა თქვენთვის გასაკვირია?**

- არა, ეს მოსალოდნელი იყო, რადგან ორ ფრონტზე ბრძოლა ყველას უჭირს. საკუთარ თავზე გამომიცდია, რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშს დიდი ძალები მიაქვს.

**- ახლა ვინ მიგაჩნიათ ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად?**

- რომელ ფავორიტზეა ლაპარაკი, როცა სატურნირო ცხრილში ასეთი სიმჭიდროვეა?! პირველი ხუთეულიდან ჩემპიონობა ნებისმიერ გუნდს შეუძლია. საოცარი დღე იყო, რადგან „ლოკომოტივს" „სპარტაკის", ცსკა-სა და „ზენიტის" გულშემატკივრები ქომაგობდნენ. „რუბინის" შეჩერება მოვახერხეთ და საჩემპიონო ინტრიგაც გავაღვივეთ.

**- როცა ივლისში „ლოკომოტივი" მეცხრე ადგილამდე დაეშვა, წარმოიდგენდით, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლას შეძლებდით?**

- იმის მიუხედავად, რომ მაშინ ძალიან რთულ მდგომარეობაში ვიყავით, გვჯეროდა, რომ ყველაფრის გამოსწორება შეგვეძლო. მორიგი სეზონის ჩაგდება არავის უნდოდა. საკმარისია ბოლო წლების პერმანენტული წარუმატებლობა, როცა მედლებისა და ევროტურნირების გარეშე ვრჩებოდით. საკუთარი ძალების ვირწმუნეთ და შედეგიც სახეზეა. თუმცა ჯერ არაფერი მოგვიგია და სიხარული ნაადრევია. წინ არაერთი მძიმე მატჩი გველის.

**- გამარჯვების გარდა, დღეს რამ გაგახარათ?**

- ძალიან მესიამოვნა, რომ სტადიონზე ამდენი გულშემატკივარი მოვიდა.

**- და რამემ თუ დაგამწუხრათ?**

- ჩემი მეგობრის, სალუქვაძის გოლმა. იგი ჩვენს საჯარიმოში უმეთვალყუროდ მივატოვეთ და დაგვსაჯა კიდეც. სხვათა შორის, თამაშის შემდეგ მე და ლაშამ რესტორანს ერთად მივაშურეთ. მან რამდენიმედღიანი დასვენებით ისარგებლა, „რუბინს" ყაზანში არ გაჰყვა და მოსკოვში დარჩა.

**- „ლოკომოტივის" ფეხბურთელები რამდენი დღით გაგათავისუფლეს?**

- სამი დღით. შეიძლება, საქართველოში ჩავიდე, ჯერ არ გადამიწყვეტია.

**- 10 ოქტომბერს „ლუჟნიკებზე" რუსეთის ნაკრები გერმანიას უმასპინძლებს. აპირებთ სტადიონზე წასვლას?**

- თუ კლუბი ბილეთებს მოგვიტანს, აუცილებლად. ასეთი თამაშის გამოტოვება არ შეიძლება. ვიმედოვნებ, რუსეთი გაიმარჯვებს და ჩემი თანაგუნდელები „ლოკომოტივს" ამაღლებული განწყობით დაუბრუნდებიან.

მოამზადა **ლევან ჯანეზაშვილმა**

მეტოქეები



მირკო ვუჩინიჩი

## ჩერნოგორიას ვუჩინიჩი გამოაკლდა

### სტოილოვს მანოლევის შეცვლა ჯერ არ გადაუწყვეტია

საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნითი მატჩები ელის. **ექტორ კუპერმა** ამ თამაშებისთვის შემადგენლობა უკვე დაასახელა, ახლა ვნახოთ, რა ხდება მეტოქეთა ბანაკებში. 10 ოქტომბერს ჩერნოგორია პოდგორიცაში გვიმასპინძლებს. ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ზორან ფილიპოვიჩმა** საქართველოსა და ირლანდიასთან სათამაშოდ 22 ფეხბურთელი შეარჩია. გადავხედოთ ამ სიას:

მეკარეები - **ვუკაშინ პოლეკშიჩი** (დებრეცენი, უნგრეთი), **მლადენ ბოჟოვიჩი** (პარტიზანი, სერბეთი), **სრდან ბლაჟიჩი** (ლევადიაკოსი, საბერძნეთი);

მცველები - **სავო პავიჩევიჩი** (კავალა, საბერძნეთი), **ელსად ზვეროტიჩი** (ლუცერნი, შვეიცარია), **მარკო ბაშა** (ლოკომოტივი მოსკოვი, რუსეთი), **რადოსლავ ბატაკი** (ანთალია, თურქეთი), **მიოდრაგ ჯუდოვიჩი** (სპარტაკი ნალჩიკი, რუსეთი), **მილან იოვანოვიჩი** (რაპიდი, ავსტრია), **ლუკა პეიოვიჩი** (მოგრენი), **ვლადიმირ ბოჟოვიჩი** (რაპიდი, რუმინეთი);

ნახევარმცველები - **ნიკოლა დრინჩიჩი, მიტარ ნოვაკოვიჩი,** (ორივე ამკარი, რუსეთი), **მლადენ კაშჩელანი** (კარპატი, უკრაინა), **ბრანკო ბოშკოვიჩი** (რაპიდი, ავსტრია), **სიმონ ვუკშევიჩი** (სპორტინგი, პორტუგალია), **მილორად პეკოვიჩი** (მაინცი, გერმანია), **ივან დელიჩი** (ბუდუჩნოსტი);

თავდამსხმელები - **სტევან იოვეტიჩი** (ფიორენტინა, იტალია), **მირკო ვუჩინიჩი** (რომა, იტალია), **დეიან დამიენოვიჩი** (სეული, კორეა), **ანდრია დელიბაშიჩი** (ერკულესი, ესპანეთი).

გარკვეული პაუზის შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა ავსტრიული „რაპიდის" მცველი **მილან იოვანოვიჩი** და ჩერნოგორიული „ბუდუჩნოსტის" ნახევარმცველი **ივან დელიჩი**. თუმცა ტრავმის გამო ჩერნოგორიელებს „სელტიკის" თავდამსხმელი **რადომირ დალოვიჩი** და მთავარი ფორვარდი **მირკო ვუჩინიჩი** („რომა") დააკლდებათ. პოდგორიცის მატჩი 10 ოქტომბერს თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება.

ახლა ბულგარელთა ბანაკშიც „შევიაროთ". ნაკრების თავკაცმა **სტანიმირ სტოილოვმა** კვიპროსსა და საქართველოსთან მატჩებისთვის ოცეული გამოიძახა:

მეკარეები - **დიმიტარ ივანკოვი** (ბურსასფორი, თურქეთი), **ნიკოლაი მიხაილოვი** (ტვენტე ჰოლანდია), **ივან კარაჯოვი** (ცსკა);

მცველები - **სტანისლავ მანოლევი** (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), **კოსტადინ სტოიანოვი, ივან ივანოვი** (ორივე ცსკა), **ვესელინ მინევი** (ლევსკი), **პლამენ ნიკოლოვი** (ლიტექსი);

ნახევარმცველები - **სტილიან პეტროვი** (ასტონ ვილა, ინგლისი), **სტანისლავ ანგელოვი** (კოტბუსი, გერმანია), **ბლაგოი გეორგიევი** (ტერეკი, რუსეთი), **ჩავდარ იანკოვი** (დუისბურგი, გერმანია), **მარტინ პეტროვი** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **იორდან ტოდოროვი** (ცსკა), **გეორგი სარმოვი** (ლევსკი);

თავდამსხმელები - **დიმიტარ ბერბატოვი** (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), **დიმიტარ რანგელოვი** (ბორუსია დორტმუნდი, გერმანია), **ვალერი დომოვჩიისკი** (ჰერტა, გერმანია), **ვალერი ბოჟინოვი** (პარმა, იტალია), **ივან სტოიანოვი** (ცსკა).

გუშინ გაირკვა, რომ ტრავმის გამო სტოილოვს „ლევსკის" ნახევარმცველი **გეორგი სარმოვიც** გამოაკლდა. მანამდე ლაზარეთში მოხვდნენ მცველები - **ალექსანდრ ტუნჩევი** და **ჟივკო მილანოვი** და მეკარე **გეორგი პეტკოვი**. ამას გარდა, „ეინდჰოვენის" მცველ **სტანისლავ მანოლევის** მდგომარეობა გუშინაც კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. ბულგარელთა თავკაცმა მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ თუ გუნდს მანოლევიც დააკლდება, ნაკრებს რომელიმე (არ დაუკონკრეტებია) ფეხბურთელით შეავსებს. ბულგარეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა მატჩი 14 ოქტომბერს სოფიის „ვასილი ლევსკიზე", თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

## მესამე ქართველი სლოვაკეთში

ქართული ლეგიონი სლოვაკეთის გორგონლიგაში მხოლოდ **გიორგი ციმაკურიძით** („ჟილინა") და **ირაკლი ლილუაშვილით** („ნიტრა") არ ამოიწურება - ქალაქ რუჟომბეროკში, „მფკ რუჟომბეროკში" **მამუკა ლომიძე** თამაშობს. მოლდოვიდან დაბრუნების შემდეგ ლომიძე თბილისის „ლოკომოტივსა" და რუსთავის „ოლიმპში" ასპარეზობდა, ახლა კი ის სლოვაკეთშია. ბოლო ტურში „რუჟომბეროკმა" სტუმრად დაამარცხა „დუბნიცა" - 2:1. მამუკამ 90 წუთი ითამაშა მარცხენა მცველის პოზიციაზე და გამარჯვებაში თავისი წვლილიც შეიტანა. მამუკა საჰაერო ორთაბრძოლებში კარგი თამაშითაა ცნობილი. სლოვაკურ კლუბთან კონტრაქტი მას სეზონის ბოლომდე აქვს. დღეისათვის ლომიძის გუნდი ლიგაში მე-8 ადგილზეა.



## კვარაცხელიას მეთერთმეტე

ბელარუსის ჩემპიონატის 24-ე ტურში თავი **გივი კვარაცხელიამ** შეგვახსენა. 29 წლის ნახევარმცველმა „მტზ-რიპოს" სტუმრად 4:0 გაამარჯვებინა „სმორგონთან". მან 51-ე წუთზე გახსნა ანგარიში; 59-ე წუთზე ქართველი შეცვალეს, მაგრამ იმ დროისთვის ანგარიში უკვე 3:0 იყო სტუმართა სასარგებლოდ. „მტზ-რიპო" 28 ქულით უკვე მე-8 ადგილზეა და გავარდნა აღარ ემუქრება. გივიმ მე-11 გოლი გაიტანა ჩემპიონატში, რაც საუკეთესო შედეგია. **ნუკრი მანჩახავას** გარეშე მოასპარეზე ჟოდინოს „ტორპედომ" მინსკში ადგილობრივი გუნდი „მინსკი" 4:0 გაანადგურა. „ტორპედოს" 35 ქულა აქვს და ევროთასების საგზურისთვის იბრძვის (მე-4 ადგილზეა).

რიგაში „სკონტო" 0:0 დაუზავდა **ზურაბ მენთეშაშვილის** ყოფილ გუნდ „ვენტსპილსს". მასპინძლები კაპიტნის სამკლავურით **დავით გამეზარდაშვილმა** გამოიყვანა. „სკონტო" 63 ქულით მესამეა და სულ 3 ქულით ჩამორჩება ლიდერ „მეტალურგსს". ასე რომ, საჩემპიონო ამბიციებს ინარჩუნებს.

**კლიმენტი ნიტაიშვილმა** 37-ე წუთზე პენალტის ნიშნულიდან გაუტანა აპოპ-ს, მაგრამ მისმა გოლმა „ნეა სალამინას" ვერ უშველა - 1:2. კლიმენტი 70-ე წუთზე შეცვალეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

U 19 საკონტროლო მატჩი

## ორი ჰეთ-თრიკი, დუბლი და კიდევ ოთხი

მოგეხსენებათ, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ავსტრიაში ემზადება. ჩვენები შესარჩევ ციკლს 9 ოქტომბერს შვედეთში დაიწყებენ, სადაც, მასპინძელთა გარდა, ჩერნოგორიელ და უკრაინელ თანატოლებსაც შეხვდებიან. სკანდინავიამდე **გელა შეყილაძე** 18 ფეხბურთელს ავსტრიულ ბად-ბლიუბერგში ამზადებს. პირობები ჩინებულია. ჩვენმა ჭაბუკებმა ადგილობრივ ნაკრებთან საწვრთნელი მატჩი გამართეს და 12:2 გაანადგურეს. შეყილაძის გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ნიორაძე (70. მეშველიანი), კაკუშაძე, ბრაჭული (46. კუბლაშვილი), კვერკველია, კაჭახიძე (46. ჩელებაძე), კვეკვესკირი (46. კობახიძე), ძალამიძე (46. გუგუჩია), ბალაძე, ელიზბარაშვილი, ჩაფიძე, ქურდობაძე.**

რაც შეეხება გოლებს, **ლაშა ჩაფიძემ** და **ნიკა ძალამიძემ** ჰეთ-თრიკი შეასრულეს, ორი ბურთი **ზურაბ ქურდობაძემ** გაიტანა, თითოც - **ერეკლე კაჭახიძემ, სოლომონ კვერკველიამ, ლევან ელიზბარაშვილმა** და **გიორგი ჩელებაძემ**.

შვედეთში გამგზავრებამდე ჩვენი ჭაბუკები ავსტრიაში კიდევ ერთ საკონტროლო მატჩს გამართავენ. 19-წლამდელთა მეტოქე „კერნტენის" ჭაბუკთა გუნდი იქნება.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსალოდნელი გადაადგილებები




იტყვის ლუჩანო სპალეტი ზენიტზე უარს?



ვალტერ მაძარი ნაპოლისთვის უპირველესი კანდიდატურაა

# ლეონარდოს სპალეტი შეცვლის, ნაპოლიში მაძარი მივაო...

„მილანმა" გასულ უქმეებზე ბერგამოს „ატალანტასთან" გაიყო ქულები და გულშემატკივრები კიდევ ერთხელ გააწბილა. ნამატჩევს პრესკონფერენციაზე **ლეონარდოს** ნაცვლად **მაურო ტასოტი** გამოცხადდა. სენიორ მაურომ ჟურნალისტებს პირველი ის უთხრა, ლეომ ხმა დაკარგა და მის ნაცვლად მე ვილაპარაკებო, შემდეგ კი განაცხადა:

„ფრე სიხარულის საბაბს ნამდვილად არ გვაძლევს, რადგან ამ შეხვედრის მოგება თავისუფლად შეგვეძლო. პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ და გოლი დამსახურებულად გავუშვით. სამაგიეროდ, მეორე ნახევარში გამოვასწორეთ თამაში და არაერთი რეალური საგოლე მომენტი შევქმენით. პატოს ძალიან კარგი შანსი ჰქონდა და რომ გაეტანა, სამი ქულის მოსაპოვებლად დიდი დრო გვრჩებოდა. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ბურთი გავიტანეთ და ისიც შეხვედრის ბოლოს. რას ვიტყვი რონალდინიოზე? - ბრწყინვალე ფეხბურთელია და ამიტომაც აკრიტიკებენ. დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია გუნდისთვის, რაც „ატალანტასთან" თამაშში კარგად გამოჩნდა. როგორი განწყობაა გუნდში? - ფეხბურთელები ღელავენ, რომ თამაში არ მისდით, თუმცა დღევანდელი ფრით ბევრს კმაყოფილება შევატყვე. ეს დაუშვებელია, „მილანი" ასეთ თამაშებს უნდა იგებდეს".

ტასოტიმ **რონალდინიო** შეაქო, მაგრამ ბრაზილიელს არც ისე კარგად აქვს საქმე. იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაუჩო ღამის კლუბების ხშირი სტუმარია და არცთუ ჯანსაღ ცხოვრებას მისდევს. დასახელდა კონკრეტული დღე, როდესაც რონი თავდავიწყებას მიეცა და ერთ-ერთ კლუბში დილამდე გაერთო. თანაც, ეს მოხდა მნიშვნელოვანი მატჩის წინ - მეორე დღეს, „მილანს" „ციურიხთან" უწევდა დაპირისპირება. როგორც ამბობენ, ამ ამბავმა **ადრიანო გალიანი** წყობიდან გამოიყვანა და სულ მალე, ის სადამსჯელო ზომებს მიიღებს. გაუჩოს ან ხელფასს ჩამოაკლებენ, ანაც სერიოზულ ფულად ჯარიმას გადაახდევინებენ.

ამასობაში, იტალიური პრესა აქტიურად ალაპარაკდა „მილანის" მწვრთნელად **ლუჩანო სპალეტის** დანიშვნის შესაძლებლობაზე. „რომას" ექსთავკაცის გვარი გუშინ მეტად აქტუალური იყო და ეს ბუნებრივიცაა, ლუჩანო ხომ დღემდე უმუშევარია. სპალეტიმ გუშინ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

„რა გითხრათ, „მილანიდან" არავინ დამკავშირებია და ასე ჰაერზე ვერ ვილაპარაკებ. თუ კონკრეტული წინადადებით მომმართავენ, აუცილებლად განვიხილავ. „მილანი" დიდი გუნდია და მისი ჩაბარება უდიდესი პატივი იქნებოდა. თუმცა, დღეს ამაზე ლაპარაკი არასერიოზულია, რადგან „როსონერის" მესვეურებთან არავითარი კონტაქტი არ მქონია. პრესასთან დასამალი არაფერი მაქვს და რომ დაერეკათ, აუცილებლად გეტყოდით. შემიძლია გაგანდოთ, რომ ჩემი სამსახურით სანკტ პეტერბურგის „ზენიტია" დაინტერესებული და ახლა წინადადების განხილვის პროცესში ვარ, რუსულ ფეხბურთზე ინფორმაციას ვაგროვებ".

...მაგრამ უფრო რეალურია, „ნაპოლის" მწვრთნელი **ვალტერ მაძარი** გახდეს. ამ უკანასკნელმა „რეჯინასა" და „სამპდორიაში" ნაყოფიერი მუშაობით გაითქვა სახელი, ხოლო რაც შეეხება **რობერტო დონადონის**, „რომასთან" წაგების შემდეგ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. „ნაპოლი" მე-15 ადგილზეა, რაც კლუბის პრეზიდენტ **აურელიო დე ლაურენტისისთვის** წარმოუდგენელი ჩავარდნაა. „გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, დონადონის წასვლა დროის საქმეა. დრო კი დე ლაურენტისს ჯერჯერობით აქვს - მოგეხსენებათ, დღეიდან სანაკრებო პაუზაა. მაძარი კი „ნაპოლის" ცხელ სკამზე ყველაზე რეალური კანდიდატურაა.

დე ლაურენტისი მარტო მწვრთნელის შეცვლაზე არ ფიქრობს. ნეგატიურ შედეგებს უკვე შეეწირა კლუბის სპორტული დირექტორი **პიერპაოლო მარინო**. „ნაპოლის" პრეზიდენტი მის შემცვლელად „სამპდორიაში" ამავე პოსტზე მომუშავე **ბეპე მაროტას** მოიაზრებს.

იუვენტუსი

# ფერარას ალიბი არ აქვს

## კობოლი ჯილი პრეზიდენტის პოსტზე შეიძლება ბლანმა შეცვალოს

მიმდინარე სეზონში ტურინის „იუვენტუსმა" პირველი მარცხი იგემა, დათმო რა შეხვედრა სიცილიურ „პალერმოსთან". მატჩი კუნძულელთა სრული უპირატესობით წარიმართა, რაც ორ უპასუხო გოლში აისახა. ტურინში დაბრუნებულ **ჩირო ფერარას** ჟურნალისტებთან თავის მართლება არ დაუწყია, პირდაპირ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა წაგება დაიმსახურა:

„მარცხი ყოველთვის მძიმე გადასატანია, მაგრამ ამან დეპრესიაში არ უნდა ჩაგვაგდოს. უნდა გავაგრძელოთ მუშაობა, რომ არსებული ხარვეზები აღმოვფხვრათ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფეხბურთელები ჩემს განკარგულებაში არ იქნებიან, რადგან მათ ეროვნულ ნაკრებებში უწევთ გამგზავრება. მიუხედავად ამისა, მუშაობას ერთი წუთითაც არ შევწყვეტთ. უნდა დავიბრუნოთ ის საბრძოლო სულისკვეთება, რომელიც სეზონის სტარტზე გვქონდა. პალერმოში არაფერი გამოგვივიდა, თამაში არც ერთ ჩემს შეგირდს არ წაუვიდა. საერთოდ, მარცხისგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ დღეს ამისი დრო არ იყო. აქვე, მინდა კომპლიმენტები ვუძღვნა სიცილიელებს, მართლაც შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარეს და ყველა კომპონენტში დაგვჯაბნეს. ალიბი არ მაქვს, სამი ქულა მათ ეკუთვნოდათ".

ამასობაში, იტალიური პრესით გავრცელდა ინფორმაცია, რომ „იუვენტუსის" პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი** პოსტიდან გადადგება და მის ადგილს ამჟამინდელი გენერალური მენეჯერი **ჟან-კლოდ ბლანი** დაიკავებს. დასახელებულია თარიღიც - ეს ყველაფერი 26 ოქტომბერს მოხდებაო. ვნახოთ.



ჩირო ფერარა

ლაციო

# ამნისტია თუ ლოტიტოს მორიგი ოინი?

როგორც ჩანს, გუშინ **კლაუდიო ლოტიტომ** კარგ ფეხზე გაიღვიძა, სახლიდან კარგ ხასიათზე გავიდა და სალამოს ისეთი განცხადება გააკეთა, „ლაციოს" ყველა გულშემატკივარს რომ გაუხარდა. სენიორ ლოტიტო სკანდალურ ტელეშოუში გახლდათ სტუმრად, სადაც ცნობილ ადამიანებს შენობით, ხშირად ეტიკეტური ნორმების დარღვევითაც კი ელაპარაკებიან. ჟურნალისტმა კლაუდიოს ერთი ასეთი კითხვა დაუსვა: „ჰა, პრეზიდენტო, აპატიებ დისიდენტებს?" - ალბათ მიხვდით, რომ ლაპარაკია **გორან პანდევზე** და **კრისტიან ლედესმაზე**. ეს ფეხბურთელები კლუბიდან წასვლის სურვილის გამო დაისაჯნენ და მათ დღემდე არ აკარებენ საფეხბურთო მოედანს. ყველასთვის მოულოდნელად, ჟურნალისტის კითხვას ლოტიტომ ასეთი პასუხი გასცა:

„კარგი, კარგი, ჯანდაბას, ვაპატიებ და ითამაშონ, მთავარია გუნდს გამოადგნენ". გაკვირვებული ჟურნალისტის კიდევ ერთი კითხვა: „ანუ, წავიდეთ დავიდე ბალარდინისთან და ვუთხრათ, რომ შეუძლია ეს ორი ფეხბურთელი შემადგენლობაში დააყენოს?" - აქვე, ისევ ლოტიტო: „დიახ, წადით და უთხარით, რომ ეს ფეხბურთელები დღეიდან მის განკარგულებაში არიან".

აი ასეთი განცხადებები გააკეთა ლოტიტომ და როგორც ჩანს, ამით წერტილი დაუსვა ფეხბურთელებსა და მას შორის მომხდარ ყოველგვარ გაუგებრობას. თუმცა, ჟურნალისტთა ნაწილი ასეთ პათოსს არ იზიარებს - ისინი ლოტიტოს ნათქვამს არასერიოზულს უწოდებენ. თუმცა, სენიორ კლაუდიო მუდამ იმას ამბობდა, რომ ფეხბურთელები მას არ დაუსჯია, აქაოდა, მწვრთნელის კომპეტენციაში მე არ ვიჭრებიო. ასე რომ, ნუ გამოვრიცხავთ, პანდევი და ლედესმა კვლავ განაცხადს მიღმა დარჩნენ, ლოტიტომ კი ამას შემდეგი ახსნა მოუძებნოს: „ბალარდინიმ ასე გადაწყვიტა".

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა




ფრანჩესკო ტოტის ტრავმა უფრო მძიმე ჩანდა...

სერიული ტრავმები

# ტოტის ძვალი მრთელია

## კაპიტნის 20 დღე ლაზარეთში

**ფრანჩესკო ტოტიმ** ის იყო, ოპტიმალური ფორმა დაიბრუნა, რომ მორიგი ტრავმა მიიღო და დაახლოებით ოცი დღით ჩამოშორდა ფეხბურთს. „პუპონემ" „ნაპოლისთან" შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ორი გოლიც მიითვალა აქტივში. თუმცა, ჯობდა მეორე გოლი სულ არ გაეტანა, რადგან იმ ეპიზოდში ტოტიმ მუხლის ტრავმა მიიღო. **კლაუდიო რანიერის** სამივე შეცვლა განხორციელებული ჰქონდა და ჩესკო იძულებული გახდა, მატჩი დაშავებულს ჩაემთავრებინა.

შეხვედრის შემდეგ, კაპიტანს გამოკვლევა ჩაუტარდა, რომლის შედეგებზეც პროფესორ **მარიანისგან** შეიტყობთ: „სიმართლე გითხრათ, მეგონა უფრო მძიმე ტრავმასთან გვექნებოდა საქმე. საბედნიეროდ, ძვალი მრთელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ოპერაციის გაკეთება საჭირო არ არის. თუმცა, მიუხედავად ამისა, ტოტის მაინც მოუწევს 15-20 დღის განმავლობაში მკურნალობა. ერთი კვირა საერთოდ უქმად იქნება, შემდეგ მსუბუქი დატვირთვით ვავარჯიშებ, ორ კვირაში კი უკვე სრულფასოვან წვრთნებში ჩაებმება. ასე რომ, ფრანჩესკო მალე დაუბრუნდება მოედანს".

როგორც ხედავთ, მარიანის ბედნიერებამდე ცოტა უკლია, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით კლაუდიო რანიერიზე. მისი „რომა" ისედაც ვერ ბრწყინავს და ტოტის გარეშე კიდევ უფრო გაუჭირდება. კაპიტანს ორი შეხვედრის გამოტოვებამაც რომ მოუწიოს, გუნდისთვის ამას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს - სერია A-ში მართლაც არნახულად მძაფრი კონკურენციაა და ასეთ პირობებში, თითოეულ ქულას დიდი ფასი აქვს. ბოლოს აღვნიშნოთ, რომ სერია A-ში გატანილი გოლების რაოდენობით ტოტი **გაბრიელ ბატისტუტას** გაუთანაბრდა. ჩესკოს ანგარიშზე 184 შედეგიანი დარტყმაა და ბუნებრივია, ეს მონაგარი კიდევ არაერთით გაიზრდება.

### ლუსიო მსუბუქად, მილიტო ერთი თვით

„უდინეზესთან" მატჩი „ინტერისთვის" ყოველმხრივ მძიმე გამოდგა. მილანელებმა კერკეტ მეტოქეს დიდი ენერგია შეალიეს და ურთულესი გამარჯვება მოიპოვეს. ამასთან, ორი ფეხბურთელი დაუშავდათ: **დიეგო მილიტო** და **ლუსიო**. ბედად, საკლუბო ფეხბურთი დროებით ავანსცენიდან ჩამოდის და ადგილს ეროვნულ ნაკრებებს უთმობს, რაც „ინტერს" სწორედაც რომ ხელს აძლევს. მაგალითად, უკვე გაცხადდა, რომ მსუბუქად დაშავებული ლუსიო სერია A-ს მომდევნო ტურისთვის მომჯობინებას მოასწრებს და „ჯენოას" აუცილებლად შეეტოქება. აღნიშნული მატჩი გენუაში 17 ოქტომბერს გაიმართება.

სამაგიეროდ, საკმაოდ მძიმე ტრავმა მიუღია დიეგო მილიტოს. არგენტინელ თავდამსხმელს უკვე ჩაუტარდა გამოკვლევა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მინიმუმ ერთ თვეს მოუწევს უქმად ყოფნა. „ინტერისთვის" მილიტო მართლაც სერიოზული ძალაა და შესაბამისად, დანაკლისიც სოლიდურია. უახლოეს პაექრობებში ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებს **მარიო ბალოტელი** და სწორედ მასზე იქნება ბევრი რამე დამოკიდებული. „ინტერი" ბოლო დროს ვერ ბრწყინავს და მილიტოს გარეშე შესაძლოა კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

აქვე, რადგან „ინტერზე" ვსაუბრობთ, **მასიმო მორატის** მოვუსმინოთ, ვინაც აღფრთოვანებას ვერ მალავს **უესლი სნეიდერის** თამაშით. შეგახსენებთ, რომ „უდინეზეს" გამარჯვების გოლი სწორედ ჰოლანდიელმა გაუტანა:

„უზომოდ ბედნიერი ვიყავი, როდესაც სნეიდერთან ხელშეკრულება გავაფორმეთ. ფეხბურთში დიდი ხანია ვმოღვაწეობ და კარგად ვხვდები, თუ რომელი ფეხბურთელი წაადგება ჩემს გუნდს. ზუსტად ვიცოდი, რომ უესლის დარი ნახევარმცველი ჰაერივით გვესაჭიროებოდა. უდინელებთან მართლაც ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა და ყველანი ძალიან გაგვახარა. ის, რომ გამარჯვების გოლი მან გაიტანა, სრულიად ლოგიკური გახლავთ. ბოლო შეხვედრებში გუნდმა მოუკლო თამაშს და ამ ფონზე, გამარჯვებას უდიდესი ფასი ჰქონდა".

გამოხმაურება

# განსხვავება... დიდიე

„ჩელსისთან“ ნაგების შემდეგ „ლივერპულის“ მწვრთნელმა **რაფა ბენიტესმა** განაცხადა, რომ სამყაროს დასასრული ჯერ კიდევ არ დამდგარა. ჟურნალისტების წინაშე წარმდგარ ესპანელს აშკარად ეტყობოდა, რომ „სტემფორდ ბრიჯზე“ ნანვნევმა მარცხმა საშინლად წაუხდინა გუნება. იხტიბარი მაინც არ გაუტეხავს და ყველას, ვინც ამტკიცებს, რომ მერსისაიდელები ჩემპიონები ვეღარ გახდებიან, იქით შეუტია.

ფაქტი ასეთია: მიმდინარე ჩემპიონატში, რვა ტურის შემდეგ, „ლივერპულს“ უკვე სამი ნაგება აქვს - ერთიით მეტი, ვიდრე გასულ სეზონში მთლიანად, მაგრამ ბენიტესი ტიტულს დაკარგულად არ მიიჩნევს. შეგახსენებთ, რომ აგვისტოს შემდეგ „წითლები“ დამარცხდნენ, „ტოტენჰემთან“, „ასტონ ვილასა“ და „ჩელსისთან“, ხოლო ლიდერს 6 ქულით ჩამორჩებიან.

„ლივერპულის“ მწვრთნელი თავს იმხნევებს და საამისო საბაბს კონკურენტები აძლევენ. გაიხსენეთ, როგორ დამარცხდა „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ბარნლისთან“ და როგორ ითამაშა ფრედ „სანდერლენდთან“, ხოლო „ჩელსიმ“ წინა ტურში „უიგანისგან“ ინვნია 3:1. ბენიტესი ამბობს:

„თუკი ცხრილის სათავეში მყოფი გუნდები ქულებს დაკარგავენ, შენ კი მოიგებ, უკეთეს პოზიციაში აღმოჩნდები. ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ შორია. „ჩელსი“, რასაკვირველია, ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა არ ჩამოვრჩეთ. აპრილში და მაისში რა მოხდება, ამას კიდევ შევხედავთ. თქვენ ნახავთ, როგორ დაკარგავენ ძლიერები ქულებს, თან მხოლოდ ერთმანეთთან კი არა, ნებისმიერ მეტოქეებთან. ეს პრემიერლიგისთვისაც კარგია და ჩვენთვისაც, რადგან იმას ნიშნავს, რომ ხელის ჩაქნევის უფლება არ გვაქვს. ჩვენ უფლება არ გვაქვს დავსხდეთ და სამ ნაგებაზე ვიფიქროთ. წავაგეთ? რა ვუყოთ, ახლა, შემდეგი თამაშის მოგებაზე უნდა დავიწყოთ ზრუნვა“.

მოგეხსენებათ, ევროპაში ახლა სანაკრებო კვირა იწყება, მერე კი „ლივერპული“ სტუმრად ხვდება „სანდერლენდს“. მაგრამ, დავუბრუნდეთ შეხვედრას „სტემფორდ ბრიჯზე“, რომელიც, ძირითადად საკამათო ეპიზოდების გარეშე ჩატარდა, თუმცა ბენიტესს მაინც მიაჩნია, რომ ერთ ეპიზოდში მსაჯი შეცდა. ლაპარაკია „ჩელსის“ საჯარიმოში **დიდიე დროგბასა** და **მარტინ შკრტელის** ორთაბრძოლაზე:

„ვფიქრობ, იმ მომენტში პენალტი უნდა დანიშნულიყო. ყოველ შემთხვევაში, იმ ადგილიდან, სადაც მე ვიდექი, გამოჩნდა, რომ დროგბამ წესი დაარღვია. თუმცა ახლა ამაზე ჩივილს არანაირი აზრი არ აქვს. ახლა, მთავარია, შემდეგ მატჩზე ვიფიქროთ. საქმისადმი ყველაზე სწორი მიდგომა სწორედ ეს იქნება. დღეს კი ძალიან ძლიერ მეტოქესთან წავაგეთ. რას იზამ, ხდება ხოლმე. ამბობენ, რომ ჩვენ მიმდინარე სეზონში უკვე ძალიან ბევრჯერ დავმარცხდით, მაგრამ გასულ სეზონს თუ გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ მაშინ ძალიან ბევრი ფრე ვითამაშეთ. დიახ, გასულ სეზონში მხოლოდ ორჯერ დავმარცხდით, მაგრამ ხალხი ფრეების რაოდენობას მსაყვედურობდა. წლეულს, მეტს ვიგებთ, მაგრამ სამი წავაგეთ და ხალხი, ახლა, ამას აქცევს ყურადღებას. არადა, უფრო მეტმა მოგებამ და შიგადაშიგ წაგებამ იქნებ, საბოლოოდ, მეტი ქულა მოგვიტანოს. ჩემი საქმე ფეხბურთელების სწორედ ამაში დარწმუნება გახლავთ. „ჩელსისთან“ წარუმატებლობაში კი ბიჭებს ვერაფრით დავადანაშაულებ“.

გამარჯვებულთა ბანაკში, ბუნებრივია, მატჩის შემდეგ სულ სხვა განწყობილება სუფევს. „ჩელსის“ თავკაც **კარლო ანჩელოტის** მიაჩნია, რომ რვა ტურის შემდეგ უკვე ნათლად გამოჩნდა - თუკი ამ სეზონში მის გუნდს ვინმე ჩემპიონობას შეეცილება, ეს თავად მისი გუნდი იქნება: „ამიერიდან ეს სეზონი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ ცხრილის სათავეში ვართ და შემდგომი შეხვედრებისთვის დიდი მონდომებით ვემზადებით“, - თქვა ანჩელოტიმ.

დასავლეთლონდონელებს შემდეგი თამაში 17 ოქტომბერს ბირმინგემში აქვთ, „ასტონ ვილასთან“. შეგახსენებთ, რომ „ჩელსი“ ცხრილის სათავეში „ლივერპულის“ ძლევის შემდეგ მოექცა, მაგრამ ამ საქმეში „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიერ „სანდერლენდთან“ დაკარგულმა ორმა ქულამაც დიდი მონაწილეობა მიიღო. ანჩელოტიმ განაგრძო:

„მანჩესტერელთა შედეგმა გამაკვირვა, მაგრამ ჩვენთვის მთავარი საკუთარ თავზე და საკუთარ შედეგებზე ფიქრია, სხვებისაზე კი არა. „ლივერპული“ ძალიან ძლიერი გუნდია და მასთან გამარჯვება მნიშვნელოვანი გახლდათ. რაც შეეხება მთელ სეზონს... იცით, ჩვენ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მხოლოდ ერთი თამაშის წაგებას ვვარაუდობდით და ის თამაში წინა ტურში უკვე წავაგეთ“.



დიდიე დროგბა და ნიკოლა ანელკა, კვირის ორი გმირი

დაბოლოს **დიდიე დროგბას** შესახებ - კოტ დივუარელმა ფორვარდმა ლონდონელთა ორივე გოლისას ასისტენტობა გასწია, პირველად **ნიკოლა ანელკას** მიაწოდა საგოლე პასი, ხოლო შემდეგ **ფლორან მალუდას**. ანჩელოტიმ ფორვარდის თამაში ასე შეაფასა: „დღეს, ორ გუნდს შორის განსხვავება დიდიე იყო. მან ანელკას დიდებული მომენტი შეუქმნა“.

ფეხბურთი და ბიზნესი


მაიკ ეშლი და დენის უაიზი

# უაიზი და დიდი ფული

**დენის უაიზმა** განაცხადა, რომ „ნიუკასლ იუნაიტედისა“ და **კევინ კიგანის** დაპირისპირებამ მას კარიერა დაუნგრია. უაიზი, მოგეხსენებათ, ფეხბურთელობისას „ჩელსიში“ გამოდიოდა, ბოლო წლებში კი „ნიუკასლის“ აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ. იმავე უაიზისგან გახდა ცნობილი, რომ „კაჭკაჭების“ მეპატრონემ, ყბადაღებულმა **მაიკ ეშლიმ** გადაწყვიტა კლუბი ბიზნესმენ **ბერი მოატს** აღარ მიჰყიდოს (მოატი 100 მილიონ ფუნტს იხდიდა) და მომდევნო ზაფხულამდე კვლავ თავად მართოს.

დენის უაიზი სულ ახლახან სასამართლო გარჩევის მონაწილე შეიქნა. მას ბრალდებოდა, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის“ ოდინდელ მწვრთნელს, ლეგენდარულ კევინ კიგანს ძალად აყიდვინა ურუგვაელი ფეხბურთელი **იგნასიო გონსალესი**, რითაც ზოგიერთი სამხრეთამერიკელი აგენტის გული მოიგო და სავარაუდოდ მათთან ფულიც გაიყო. სასამართლომ საქმე განიხილა და „ნიუკასლ იუნაიტედს“ კიგანის სასარგებლოდ 2 მილიონი ფუნტის გადახდა დააკისრა. ცნობისათვის: კიგანი 25 მილიონს ითხოვდა. სასამართლოს „კაჭკაჭებისთვის“ მართლა ეს თანხა რომ დაეკისრებინა, დღეს ქალაქ ნიუკასლში ფეხბურთის გუნდი აღარ იქნებოდა.

„ჩელსისა“ და ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი „ნიუკასლის“ აღმასრულებელი შეფის თანამდებობიდან აპრილში გადაგა, რაშიც ის კიგანს ადანაშაულებს:

„ამ ყველაფერმა ჩემი კარიერა დააზიანა, თუმცა კაცი იმიტომ ხარ, რომ გადაწყვეტილება მიიღო და მერე ამ გადაწყვეტილებასთან ერთად გააგრძელო ცხოვრება. ასე იმიტომ ვამბობ, რომ „ნიუკასლში“ მუშაობისას ყველა ღონეს ვხმარობდი, რომ კლუბისთვის რაც შეიძლება მეტი ხეირი მომეტანა. „ნიუკასლის“ გამო, თავის დროზე, „ლიდს იუნაიტედში“ შესანიშნავი სამსახური დავტოვე. მეგონა, ახალ კლუბსაც ვარგებდი და საკუთარ თავსაც. ამ ბოლო დროს აგენტებთან დაკავშირებით ძალიან დიდი მითქმამოთქმა ატყდა, უამრავი რამ თქვეს. მესმის, რომ ჩემი სიტყვები დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ „ნიუკასლ იუნაიტედს“ ერთი აგენტისთვისაც არ გადაუხდია თუნდაც ერთი ევრო. ჩვენ ქირით ფეხბურთელი მოვიყვანეთ, მაგრამ აგენტის ფული არ გაგვითვალისწინებია. ამ აგენტებთან თანამშრომლობის იდეა ის გახლდათ, რომ როგორც კი ისინი სამხრეთ ამერიკაში ნიჭიერ ბავშვს აღმოაჩენდნენ, უპირველეს ყოვლისა ჩვენთვის უნდა ეთქვათ. მაიკ ეშლიმ ყველაფერი იმთავითვე კარგად იცოდა, კლუბიც მისია და ფულიც. თუმცა, მთელ ამ ისტორიაში ყველაზე ცუდი ის იქნებოდა, კევინს „ნიუკასლისთვის“ 25 მილიონი რომ მოეგო. ამით ის კლუბს გაანადგურებდა. ეშლი, ცოტა არ იყოს, პანიკაშიც კი ჩავარდა“.

დისციპლინის საკითხი

# უაილი, საათი და ფერგიუსონი

**სერ ალექს ფერგიუსონი** შესაძლოა სერიოზულად დასაჯონ - როგორც ჩანს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელსა და ლეგენდას, „სანდერლენდთან“ თამაშის შემდეგ მსაჯ **ალან უაილის** კრიტიკა ძვირად დაუჯდება. შეგახსენებთ, რომ შაბათს, ინგლისის ჩემპიონმა „ოლდ ტრეფორდზე“ არათუ ვერ მოიგო, ფრემდე ძლივს მიიყვანა საქმე - მსაჯის დამატებულ წუთებზელა მოახერხა ანგარიშის (2:2) გათანაბრება. მატჩის შემდეგ, სერ ალექსი მძვინვარებდა:

„მე ბრალს ვდებ ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელებს იმაში, რომ ეს მსაჯი ფიზიკურად არ იყო მომზადებული. ტემპიდან გამომდინარე ამ შეხვედრას ფიზიკურად კარგად მომზადებული მსაჯი სჭირდებოდა, ალან უაილის კი მოძრაობა უჭირდა. ხომ უყურებთ, უცხოეთში არბიტრები ყასბის ძაღლებივით დარბიან. ინგლისში ასეთი ცოტაა. უაილი ფეხბურთელის გაფრთხილებას ნახევარ წუთს უნდებოდა, ასე ისვენებდა. ნელ-ნელა იწერდა მოთამაშეების გვარებს ყვითელ ბარათზე. თან, ანტონ ფერდინანდმა თავის კარში გოლი რომ შეაგდო, ამის გამო დრო საერთოდ არ დაგვიმატა. დამატებულ დროში მხოლოდ ოთხი წუთი და ორი წამი ვითამაშეთ“.

მაგრამ როგორც ჩანს, ფერგიუსონმა სიფიცხეში ზოგი რამ კარგად ველარ გათვალა: ჯერ ერთი, სეზონის წინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მკაფიოდ გამოაცხადა, რომ მწვრთნელებისა და ფეხბურთელების მხრიდან მსაჯების კრიტიკას ამიერიდან გაცილებით მკაცრად შეაფასებდა, მაგრამ ეგ კიდევ არაფერი, ჟურნალისტებმა გამოქექეს, რომ ალან უაილი სწორედ ის კაცია, ვინც ამას წინათ, მანჩესტერული დერბის დროს „ოლდ ტრეფორდზე“ მეოთხე მსაჯობას სწევდა. მაშინ, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „მანჩესტერ სიტის“ შეხვედრაში „იუნაიტედმა“ გამარჯვების გოლი დამატებული დროის მეექვსე (!) წუთზე გაიტანა. გამოდის, რომ, თუკი „ოლდ ტრეფორდზე“ უაილია (სერ ალექსს საყვედური როგორღა ეთქმის), თამაში ფერგიუსონის გუნდისთვის სასურველ შედეგამდე გრძელდება. მაგრამ ამის მიუხედავად „იუნაიტედის“ თავკაცმა „სანდერლენდთან“ შეხვედრის მერე სულ ცეცხლები ჰყარა. ცნობისათვის: „იუნაიტედისა“ და „სანდერლენდის“ შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე უაილიმ „სანდერლენდს“ ნახევარმცველი, **კირან რიჩარდსონიც** გაუძევა. მიზეზი: რიჩარდსონმა, რომელსაც ერთი ყვითელი უკვე ჰქონდა, თამაშის შეჩერების შემდეგ ბურთს ფეხი გაჰკრა. ინგლისურმა ტაბლოიდებმა ძალიან მოინდომეს უაილის კომენტარის მოპოვება, მაგრამ მსაჯი ვერ მოიხელთეს.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ „იუნაიტედის“ თავკაცს კარიერის განმავლობაში მსაჯებთან ბევრი კონფლიქტი მოსვლია, მაგრამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ამან განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო. კერძოდ, 2008 წლის ნოემბერში მას ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია და 10-ათასფუნტიანი ჯარიმა იმიტომ მიუსაჯეს, რომ „ჰალთან“ გამარჯვების შემდეგ მსაჯ **მაიკ დინს** ეჩხუბა. იმავე წლის მარტში არბიტრ **მარტინ ატკინსონს** „პორტსმუთის“ კარში პენალტის არდანიშვნის გამო უყვირა, მერე კი მსაჯთა შეფ **კით ჰეკეტს** თავისი საქმის ცუდად კეთებაში დასდო ბრალი - ამისთვისაც დაისაჯა. მანამდე, 2007 წელს, **სტივ ბენეტს კრისტიანო რონალდოს** მოედნიდან გაძევების გამო ულრიალა და დაუსჯელი დარჩა და იმავე 2007-ში მსაჯ **მარკ კლეტენბერგს** შესვენებისას აგინა, რისთვისაც მისგან გასახდელშივე მიიღო წითელი ბარათი. ამ ინციდენტის გამო სერ ალექსი, ცხადია, დასაჯეს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



სერ ალექსი კვლავ მსაჯების წინააღმდეგ გამოდის

# მასტერკლასი ველოდრომზე

## ბორდოს 23-ე მატჩში ფეხი დაუცდა



აუგუსტო ფერნანდესის გოლი ჩემპიონის კარში

საფრანგეთის ჩემპიონატში, მე-8 ტურში შეაჩერეს „ბორდოს" დაუმარცხებელი სვლა, ამასთან შეიცვალა ლიდერიც, ტურნირს ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი „ლიონი" ჩაუდგა სათავეში, კვლავ არ აქვს ქულა „გრენობლ ფუტს", ხოლო **გიორგი მაკარიძის** (რომელიც „სოშოსთან" მატჩში სათადარიგო იყო) „ლე მანი" ბოლოსწინაა. სამხრეთულ დერბიში „მონაკომ" „ველოდრომზე" შეძლო „მარსელის" დამარცხება, კვლავ გრძელდება კრიზისი „პარი სენ ჟერმენსა" და „ტულუზაში". აი, ასეთია სანაკრებოს პაუზისწინა ტურის მოკლე მიმოხილვა.

ჩემპიონთა ლიგის მატჩში ებრაულ „მაქაბისთან" თეძოს კუნთი გაიწყვიტა „ბორდოს" ლიდერმა **იოან გურკუფმა, ლორან ბლანის** გუნდი მის გარეშე ეწვია „სენტ ეტიენს" და... საფრანგეთის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა ჩემპიონატის ყველაზე დიდი სენსაცია შემოგვთავაზა - „ბორდოს" პირველი მარცხი აგემა - 3:1. „ლეს ვერტსს" (მწვანეები) არგენტინელი **აუგუსტო ფერნანდესის** გოლმა ფრთები შეასხა და ბლანის გუნდს ქულის ხსნის შანსი არ მისცა. „სტად ჟოფრეიგიშარს" ქვეყნის ჩემპიონი 22-მატჩიანი წაუგებელი სერიით ეწვია. ფერნანდესმა პირველი გოლი მე-8 წუთზე გაიტანა. გურკუფის გარეშე „ბორდო" შეტევებში იდეებს მოკლებულ გუნდს ჰგავდა, დაცვის ხაზი კი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. ძალიან აქტიური იყო მასპინძელთა არგენტინელი ფორვარდი **გონსალო ბერხესიო.** 29-ე წუთზე მისი ჭკვიანური პასი გამოიყენა ბრაზილიელმა **ილანმა** და ანგარიში 2:0 გახადა. ბერხესიოს და ილანს შეეძლოთ ინტრიგის საბოლოდ მოკვლა, მაგრამ მათ თითო საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს.

სტუმრებს თამაშის გადარჩენის შანსი 68-ე წუთზე გაუჩნდათ - **იოან ანდრომ** საჯარიმოში გურკუფის შემცვლელი, იმედის მომცემი **გრეგორი სერტიჩი** მოძებნა, რომელიც წესების დარღვევით შეაჩერეს. **ჟუსიემ** პენალტით ანგარიშში სხვაობა შეამცირა - 2:1. თუმცა მოტყუვდებით, თუ გაიფიქრებთ, რომ ჩემპიონმა შტურმი მოუწყო ბოლო 20 წუთში მასპინძელთა გუნდს. თუ არ ჩავთვლით **ვენდელის** საჯარიმო დარტყმას, რომელიც **ჟერემი ჟანომ** მუშტებით მოიგერია, „სენტ ეტიენის" გოლკიპერს ბევრი სამუშაო არ ჰქონია. ყველაფერს კი წერტილი შესვლაზე შესულმა **დიმიტრი პაიემ** დაუსვა, რომელმაც მსაჯის მიერ დამატებულ დროში აჯობა გოლკიპერ **კარასოს** - 3:1. მაშ ასე, **ალან პერენის** გუნდმა ერთი სერია მოშალა და თავისი დაიწყო - „სენ ეტიენი" ზედიზედ სამი თამაშია იგებს.

**ალან პერენი:** *„ახლახან ჩვენ სამაგალითო მატჩი ვითამაშეთ. „ნიცასთან" მატჩი კარგად წავიდა, იმის შემდეგ სულ სხვა განწყობით გამოვედით „მონაკოს" და „ბორდოს" წინააღმდეგ სათამაშოდ. უკვე თვალნათელია ჩვენი გუნდის პროგრესი. ბედად, ჩემპიონებს ყველაზე შესაფერის მომენტში ვეთამაშეთ, როცა მათ ჩემპიონთა ლიგაში ახალი ნათამაშები ჰქონდათ და სტუმრები გადაღლილები იყვნენ".*

**ლორან ბლანი:** *„წაგება იმდენად დიდი ტრაგედია არაა, გუნდში ყველამ კარგად იცოდა, რომ ერთხელაც წავაგებდით, ეს სერია დაუსრულებლად ვერ გაგრძელდებოდა. თამაშით კმაყოფილი არ ვარ, თუმცა როგორ შეიძლება კმაყოფილი იყო წაგებით. „სენტ ეტიენი" დღეს ღირსეული გამარჯვებულია. ისინი დღეს ჩვენზე მონდომებულები და აქტიურები იყვნენ და, რა თქმა უნდა, უკეთესები".*

„მონაკომ" „მარსელს" მშობლიურ „ველოდრომზე" 50 ათასი გულშემატკივრის თვალწინ მასტერკლასი ჩაუტარა - 2:1. „მონაკომ" სეზონში საუკეთესო მატჩი ითამაშა, „მარსელის" რიგებში კი მცირე კრიზისი მოჩანს. „ვალანსიენთან" და მადრიდის „რეალთან" (ჩემპიონთა ლიგაში) მარცხის შემდეგ **დიდიე დეშამის** გუნდი ჯავრის ამოყრას „მონაკოზე" აპირებდა. თუმცა მასპინძლებს სწრაფი გადაადგილება უჭირდათ, ბურთს მეტად აკონტროლებდნენ, მაგრამ ეს სათამაშო უპირატესობას არ იძლეოდა, რადგან **ნენეს** და კორეელი **ჩუ-იუნ პარკის** წყალობით სტუმართა კონტრშეტევები გაცილებით სახიფათო იყო. ყველაფერს ისიც დაერთო, რომ მასპინძლებს არ გაუმართლდა - მე-20 წუთზე ნენეს საჯარიმო დარტყმა **სტივ მანდანდას** იოლი „ლუკმა" გახდებოდა, რომ არა **ლუჩო გონსალესის** უხეირო რიკოშეტი - 1:0. სტუმრებმა ტაიმის დასრულებამდე მეორე გოლიც გაიტანეს, „მონაკოს" არგენტინელმა კაპიტანმა **ალეხანდრო ალონსომ** შორეული პასით პარკი მოძებნა, რომელმაც პოზიცია სწორად შეარჩია და თავიდან აიცილა თამაშგარე მდგომარეობა, კორეელმა მანდანდას შანსი არ დაუტოვა - 2:0.

„მარსელი" მეორე ტაიმშიც პასიურობდა, თუ არ ჩავთვლით 10-წუთიან მონაკვეთს, როცა **ბენუა შეირუმ** და **ჰატემ ბენ არფამ** გოლის გატანის ორი კარგი მომენტი გაუშვეს ხელიდან. სიტუაცია ბოლოსკენ მაინც დაიძაბა და „მონაკოს" სამი ქულა გოლკიპერ **სტეფან რუფიეს** ყოჩაღობამ გადაარჩინა. ფინალურ სასტვენამდე 4 წუთით ადრე **მამადუ ნიანგმა** შეაგდო, შემდეგ კი რუფიემ ბენ არფას მახვილი კუთხიდან აულო - 2:1. ვერაფერი გაახერხა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მატჩში ესპანელმა **ფერნანდო მორიენტესმა**, რომელიც ამ შეხვედრაში ნიანგის მეწყვილე იყო „მარსელის" შეტევის ხაზში.

**დიდიე დეშამი:** *„კვირის განმავლობაში სამი მარცხი, ეს ყველაზე ცუდი სცენარია, რაც შეიძლება მომხდარიყო. ცეცხლზე ნავთს აღარ დავასხამ და მსუბუქ ფორმაში ვიტყვი - დღეისათვის გუნდი კარგად ვერ თამაშობს. ამასთან, ჩემი ფეხბურთელების შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ და, ვფიქრობ, ვიცი, როგორ შევებრძოლო ამ პრობლემას. სეზონი ჯერ წინაა".*

**გი ლაკომბი:** *„ამ გამარჯვებამ ძალები შეგვმატა, თუმცა გაიზარდა მოთხოვნა ჩემი გუნდის მიმართაც. „ოლიმპიკის" მისსავე მოედანზე მომგებებს უკვე ბევრს სთხოვენ, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რა დროს მოუწია „მარსელს" ჩვენთან თამაშმა, მეტოქე ისეთი ვერ იყო, როგორიც ხშირად გვინახავს. „მარსელი" მაინც ჩვენზე წინ დაასრულებს ჩემპიონატს, ეს ეჭვგარეშეა, ვფიქრობ, გულშემატკივარს არ უნდა გაუჩნდეს უტოპიური იმედები. ფეხბურთელების თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, იმის გათვალისწინებით, რომ დღეს ჩვენ ორი სავსებით განსხვავებული ტაიმი ვითამაშეთ".*

„ბორდოს" წაფორხილებით ბრწყინვალედ ისარგებლა „ლიონმა", რომელმაც სტუმრად 2:0 დაამარცხა „ლანსი". სტუმართა გოლები **სიდნეი გოვუმ** და **კიმ კალსტრიომმა** გაიტანეს. *„ძალიან მალე გავიტანეთ გოლი. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე მოწადინებული იყო. ჩვენ მოვლენათა ასეთი სწრაფი განვითარებისთვის მზად აღმოვჩნდით. ყოველი გუნდი „ლიონის" წინააღმდეგ განსაკუთრებული განწყობით გამოდის მოედანზე, ჩვენ კი დაღლილები ვიყავით ევროთასების გამო. მიუხედავად ამისა, ამოცანას თავი წარმატებით გავართვით. ჩვენი ამოცანა მარტივია - მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გავდივართ",* - განაცხადა ახალგამომცხვარი ლიდერის მწვრთნელმა **კლოდ პიუელმა.**

სხვა მატჩებიდან აღვნიშნავთ „ლილის" შემტევი **პიერ-ალან ფროს** დუბლს სტუმრად „ბულონის" კარში. „ლილი" ორჯერ მარცხდებოდა, მაგრამ ფროს წყალობით 3:2 იმარჯვა.

დაბოლოს, ტრადიციული ტურის სიმბოლური ნაკრები შეფასებებით („ეკიპის" ვერსი): **ოდარი** (ლორიანი, 7) - **ენგბარტი** (ოსერი, 6), **ჯოდიჩი** (მონპელიე, 7), **მინიო** (ოსერი, 7), **ლე ლანი** (ლორიანი, 6) - **ა. ფერნანდესი** (სენტ ეტიენი, 7), **ნკულუ ნდუბენა** (მონაკო, 7), **კალსტრიომი** (ლიონი, 7), **გოვუ** (ლიონი, 7) - **ფრო** (ლილი, 8), **პარკი** (მონაკო, 8).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

17 ოქტომბერი. ლილი-რენი, ვალანსიენი-გრენობლი, ნანსი-მარსელი, ლე მანი-ბულონი, ლიონი-სოშო, მონპელიე-სენტ ეტიენი, ოსერი-ბორდო. 18 ოქტომბერი. ლორიანი-ნიცა, მონაკო-ლანსი, ტულუზი-პსჟ.

## ინგლისი

### პრემიერლიგა. VIII ტური

**ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი 1:1**

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, კუელარი, კოლინზი, დანი, უორნოკი, მილნერი, პეტროვი, სიდუელი, იანგი (82. რეო-კოკერი), აგბონლაჰორი, კარეუ (69. ჰესკი).

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, ზაბალეტა, ტურე, ლესკოტი, ბრიჯი, დე იონგი (50. აირლენდი), ბერი, რაიტ-ფილიპსი, ბელამი, ტევესი (69. სანტა კრუზი), ადებაიორი.

**გოლები:** 1:0 დანი (15), 1:1 ბელამი (67)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 12-9; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 12-12 (1-4); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 37 924

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 8 | 7 | 0 | 1 | 18-6 | 21 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 8 | 6 | 1 | 1 | 19-8 | 19 |
| 3. ტოტენჰემი | 8 | 5 | 1 | 2 | 19-12 | 16 |
| 4. მანჩესტ. სიტი | 7 | 5 | 1 | 1 | 15-8 | 16 |
| 5. არსენალი | 7 | 5 | 0 | 2 | 24-10 | 15 |
| 6. ლივერპული | 8 | 5 | 0 | 3 | 22-12 | 15 |
| 7. ასტონ ვილა | 7 | 4 | 1 | 2 | 10-6 | 13 |
| 8. სანდერლენდი | 8 | 4 | 1 | 3 | 16-13 | 13 |
| 9. ბარნლი | 8 | 4 | 0 | 4 | 7-16 | 12 |
| 10. ევერტონი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-11 | 10 |
| 11. სტოკი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-10 | 9 |
| 12. უიგანი | 8 | 3 | 0 | 5 | 8-15 | 9 |
| 13. ბოლტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-11 | 8 |
| 14. ბირმინგემი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-8 | 7 |
| 15. ფულჰემი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-10 | 7 |
| 16. ბლეკბერნი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-15 | 7 |
| 17. ვულვზი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-14 | 7 |
| 18. ჰალი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-20 | 7 |
| 19. ვესტ ჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-11 | 5 |
| 20. პორტსმუთი | 8 | 1 | 0 | 7 | 4-13 | 3 |

**სენტ ეტიენი-ბორდო 3:1**

**სენტ ეტიენი (4-2-3-1):** ჟანო - ანდრო, ბაიალ სალი, ბენალუანი, ნდავი - გ. ფერნანდესი, მატუიდი - ლანდრინი, ილანი (63. საკო), ა. ფერნანდესი (70. რივიერი) - ბერგესიო (84. პაიე).

**ბორდო (4-2-3-1):** კარასო - ჟურიეტი, ენრიკე, სიანი, პლასენტე - ფერნანდო, დიარა (57. კავენაგი) - ა. ტრაორე (57. შამახი), ჟუსიე, სერტიჩი (73. ვენდელი) - ბელიონი.

**გოლები:** 1:0 ა. ფერნანდესი (9), 2:0 ილანი (30), 2:1 ჟუსიე (69), 3:1 პაიე (94)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 20-13; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15-11 (3-3); **ბურთის ფლობა:** 33%-67%

**მაყურებელი:** 30 089

**ლანსი-ლიონი 0:2**

**ლანსი (4-2-3-1):** რუნიე - დელმონი, იაჰია, შელი, რამოსი - სოუ, კოვაჩევიჩი - ბუკარი (76. მაულიდა), აკალე (84. მილოვანოვიჩი), ჟემაა (68. მონე-პაკე) - ედუარდო.

**ლიონი (4-3-3):** ლორისი - რევეიერი, კრისი, ტულალანი, სისოხო - კლერი (80. კოლოძიეჩაკი), გონალონსი, კალსტრიომი - პიანიჩი, გომისი (67. ედერსონი), გოვუ (89. ტაფერი).

**გოლები:** 0:1 გოვუ (7), 0:2 კალსტრიომი (78)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 2-0; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 11-12 (0-2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 39 423 .

**სოშო-ლე მანი 1:0**

**სოშო (4-4-2):** რიშერი - ფატი, პერკუა, ბრეშე, მიკარი - ბუდებუზი (70. ტულანი), მარტინი, დალმა (22. გავანონი), მორის-ბელაი - სვერკოში, დევისი.

**ლე მანი (4-2-3-1):** ოვონო - კორჩია, ანდრადე, სერდრანი, ბაალი - გულონი (85. ესტიგარიბია), ტომასი - ლე ტალეკი, ლერუა, ლამა - მაიგა (78. სენე).

**გოლი:** 1:0 მარტინი (79)

**გაძევება:** ლერუა (65)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 11-23; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 17-9 (2-2); **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 10 385

**ნიცა-ვალანსიენი 3:2**

**ნიცა (4-2-3-1):** ოსპინა - დიაკიტე, მაბიალა, სიდი, აპამი - ეშუაფნი, ელბიკი (63. ბამოგო) - პოტე (64. მულუნგუი), ფაე, მუნიე (64. ბენ საადა) - რემი.

**ვალანსიენი (4-3-3):** ნდი ასემბე - მატერი (44. ბენ ხალფალახი), ბიზევაცი, შმიტცი, ტიენე - სანჩესი, გომის, კოადი - დუკურტუა, პუჟოლი (75. ბონგი), ოდელი (33. სამასა).

**გოლები:** 0:1 სამასა (40), 0:2 სანჩესი (50), 1:2 ბენ საადა (67), 2:2 ეშუაფნი (73), 3:2 დუკურტუა (77 ს.კ.)

**გაძევება:** კოადი (72)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 20-24; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 14-4 (7-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 9 443

**პსჟ-ნანსი 1:1**

**პსჟ (4-4-2):** კუპე - სეარა, ტრაორე (57. ჟალე), სახო, არმანი - ჟიული (68. შანტომი), მაკელელე, კლემანი (85. სანხარე), სესენიონი - ლუინდულა, ოარო.

**ნანსი (4-2-3-1):** ბრასილიანო - შრეტიე, ლოტიე (46. სამი), ანდრე ლუისი, ლემაიტრი - ბერენგუე, კა (73. ბაკარი) - ფერე, ჰაჯი, ბრიზონი (64. ნდიაიე) - დია.

**გოლები:** 0:1 ჰაჯი (14), 1:1 სესენიონი (18)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 21-6 (4-3); **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 36 779

**რენი-ოსერი 0:1**

**რენი (4-2-3-1):** დუშეზი - ფანი, მანგანე, ობეი, ბოკანეგრა - ლემოანი (60. ტეტეი), მვილა - კემბო-ეკოკო (46. სოუ), ლერუა, მარვო (19. დანზე) - გიანი.

**ოსერი (4-2-3-1):** სორინი - ენგბარტი, კულიბალი, მინიო, გრიხტინგი - პედრეტი (70. ნარი), ნდინგა - ოლიეჩი, ბირსა (78. შაფნი), კაპუე - ნიკულაე.

**გოლები:** 0:1 პედრეტი (17)

**გაძევება:** ბოკანეგრა (16)

**გაფრთხილება:** 4-5; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 10-12 (3-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 23 178

**გრენობლი-მონპელიე 2:3**

**გრენობლი (4-3-3):** ლე კრომი - მაინფროი, რომაო, ვიტაკიჩი, სოგე - ბატლი (78. აკრური), ჟუანი (82. დიოზი), კურტუა (67. მატსუი) - ფეგული, ლიუბოია, ბოია.

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - იანგამბივა, ჯოდიჩი, სპაჰიჩი (63. საი), კოლინი (46. ელ-კაუტარი) - მარვო, პიტო, კოშტა - დერნისი (79. კამარა), მონტანიო, ბელჰანდა.

**გოლები:** 0:1 მონტანიო (2), 0:2 ჯოდიჩი (12), 1:2 ლიუბოია (47), 1:3 ჯოდიჩი (49), 2:3 დიოზი (92)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 8-8; **ჯარიმა:** 25-25; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 17-9 (7-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 14 676

**ბულონი-ლილი 2:3**

**ბულონი (5-4-1):** ვალვერდე - ლეკონტი, სუმარე, ლაშორი, დემბელე, რუბუელი (73. რობერი) - აგუაზი (57. და როშა), დას ნევესი, მარკი, ბუსაპა (54. კუვილიე) - ბლაიაკი.

**ლილი (4-3-3):** ბიუტელი - დებიუში, რამი, პლესტანი (46. ბერია), ემერსონი - დუმონი, მავუბა, ბალმონტი - ჟერვინიო, ფრო (77. აუბამეიანგი), ობრანიაკი (89. ვიტეკი).

**გოლები:** 1:0 დემბელე (33), 1:1 ჟერვინიო (42), 2:1 ბლაიაკი (45), 2:2 ფრო (51), 2:3 ფრო (57).

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 6-11; **ჯარიმა:** 19-18; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 10-14 (5-5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 10 272

**ტულუზი-ლორიანი 0:1**

**ტულუზი (4-2-3-1):** პელე - კონგრე, კაპუე, ნუნკეუ, მბენგე - დიდო, ბერსონი (90. პენტეკო) - ბრაატენი (66. მაშადო), სისოკო, ტაბანუ (85. ლუანი) - ჟინიაკი.

**ლორიანი (4-4-2):** ოდარი - სოსა, მარშალი, კოშილნი, ლე ლანი - პენალბა (65. ბარტელმე), დიუკასე, მვუემბა, დიარა - ფანშონი (75. საკუვაპა), მონტერუბიო.

**გოლები:** 0:1 მონტერუბიო (90 პენ)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 17-7 (5-2); **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 25 435

**მარსელი-მონაკო 1:2**

**მარსელი (4-1-3-2):** მანდანდა - კაბორე (77. ბინარტი), დიავარა (90. სისე), ჰაინცე (46. ვალბუენა), ტაივო - მბია - გონსალესი, ბენ არფა, შეირუ - მორიენტესი, ნიანგი.

**მონაკო (4-2-3-1):** რუფიე - ლოლო, მონგონგუ, პუიგრენიე, ტრაორე - ნკულუ ნდუბენა, პერესი - ალონსო (84. მარატორი), კუტადო (90. გუდიონსენი), ნენე - პარკი.

**გოლები:** 0:1 ნენე (20), 0:2 პარკი (42), 1:2 ნიანგი (86)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 10-8; **ჯარიმა:** 20-17; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 26-8 (6-3); **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 49 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 8 | 6 | 2 | 0 | 15-5 | 20 |
| 2. ბორდო | 8 | 6 | 1 | 1 | 16-6 | 19 |
| 3. მონპელიე | 8 | 5 | 2 | 1 | 15-9 | 17 |
| 4. მონაკო | 8 | 5 | 0 | 3 | 11-9 | 15 |
| 5. მარსელი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-9 | 14 |
| 6. ლორიანი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-8 | 14 |
| 7. პსჟG | 8 | 3 | 4 | 1 | 13-9 | 13 |
| 8. რენი | 8 | 3 | 3 | 2 | 12-6 | 12 |
| 9. ნანსი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-11 | 11 |
| 10. ოსერი | 8 | 3 | 2 | 3 | 6-7 | 11 |
| 11. ვალანსიენი | 8 | 3 | 1 | 4 | 15-15 | 10 |
| 12. სტ. ეტიენი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-10 | 10 |
| 13. ლილი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-11 | 9 |
| 14. სოშო | 8 | 3 | 0 | 5 | 8-13 | 9 |
| 15. ტულუზი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-7 | 8 |
| 16. ბულონი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-11 | 8 |
| 17. ლანსი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-14 | 8 |
| 18. ნიცა | 8 | 2 | 2 | 4 | 8-16 | 8 |
| 19. ლე მანი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-12 | 7 |
| 20. გრენობლი | 8 | 0 | 0 | 8 | 4-17 | 0 |

**ბომბარდირები:** 6 - ნიანგი (მარსელი); 5 - ნენე (მონაკო); 4 - ფრო (ლილი), გურკუფი (ბორდო), გომისი (ლიონი), ჰაჯი (ნანსი), გიანი (რენი).

### ლიგა 2

### IX ტური

**ვანი-აიაჩო 0:3**

**გოლები:** 0:1 კინკელა (13), 0:2 ვიალე (33), 0:3 ანდრე (84)

**ნიმი-გენგამი 2:0**

**გოლები:** 1:0 სტოშიჩი (49), 2:0 მანდრიჩი (84)

**ისტრი-არლი 1:1**

**გოლები:** 1:0 ბეგეორგი (28), 1:1 რეინო (60)

**ბრესტი-კლერმონი 2:0**

**გოლები:** 1:0 ლესუმიე (15), 2:0 ლორენცი (88)

**გაძევება:** აბდულაიე (58. კლერმონი), მადუნი (88. კლერმონი)

**ბასტია-შატორუ 0:1**

**გოლი:** 0:1 ფლორივალი (33)

**ანჟერი-სტრასბური 0:0**

**მეცი-ლავალი 3:2**

**გოლები:** 0:1 ლამატინა (9), 0:2 ლებუკი (39), 1:2 ბურგეა (55), 2:2 ბურგეა (61), 3:2 იოჰანსენი (86 პენ)

**გაძევება:** ლევრა (85. ლავალი)

**დიჟონი-ლე ავრი 1:2**

**გოლები:** 1:0 ზერუ (41), 1:1 ფოფანა (70), 1:2 ალა (90)

**კაენი-სედანი 3:1**

**გოლები:** 0:1 ენანი (2), 1:1 ბარსოლა (55), 2:1 ნივე (66), 3:1 ტუდიჩი (75)

**გაძევება:** სკარამოზინო (67. სედანი)

**ტური-ნანტი 1:1**

**გოლები:** 0:1 ნდიაიე (71), 1:1 ჟირუ (90-პენ.)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაენი | 9 | 6 | 3 | 0 | 12-5 | 21 |
| 2. ნანტი | 9 | 5 | 3 | 1 | 17-9 | 18 |
| 3. ლე ავრი | 9 | 5 | 2 | 2 | 11-9 | 17 |
| 4. შატორუ | 9 | 4 | 3 | 2 | 11-8 | 15 |
| 5. ტური | 9 | 3 | 5 | 1 | 14-9 | 14 |
| 6. ბრესტი | 9 | 4 | 2 | 3 | 12-9 | 14 |
| 7. ლავალი | 9 | 3 | 4 | 2 | 13-12 | 13 |
| 8. არლი | 9 | 3 | 4 | 2 | 13-13 | 13 |
| 9. ვანი | 9 | 3 | 4 | 2 | 12-13 | 13 |
| 10. მეცი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-11 | 12 |
| 11. ანჟერი | 9 | 2 | 4 | 3 | 11-12 | 10 |
| 12. გენგამი | 9 | 2 | 4 | 3 | 6-8 | 10 |
| 13. ნიმი | 9 | 2 | 4 | 3 | 9-12 | 10 |
| 14. დიჟონი | 9 | 2 | 4 | 3 | 8-11 | 10 |
| 15. ისტრი | 9 | 2 | 4 | 3 | 7-12 | 10 |
| 16. აიაჩო | 9 | 2 | 3 | 4 | 13-12 | 9 |
| 17. კლერმონი | 9 | 2 | 3 | 4 | 11-12 | 9 |
| 18. სედანი | 9 | 1 | 4 | 4 | 8-13 | 7 |
| 19. ბასტია | 9 | 1 | 2 | 6 | 9-10 | 5 |
| 20. სტრასბური | 9 | 0 | 5 | 4 | 11-17 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია. ერედივიზიე

# ტვენტე ახალი ლიდერია


ტვენტე ლიდერობას ზეიმობს

როგორც ჩანს, წლევანდელ სეზონში ერედივიზიონის ლიდერი ბევრჯერ შეიცვლება. მას შემდეგ, რაც ბოლო ტურში „ეინდჰოვენმა" სტუმრად ვერ შეძლო „უტრეხტის" დამარცხება, ცხრილის სათავეში „ტვენტე" მოექცა. **სტივ მაკლარენის** გუნდმა სეზონში მეშვიდე გამარჯვება სტუმრად „ჰერაკლესთან" მატჩში მოიპოვა. მართალია, ახალი ლიდერი მეცხრე წუთზე მდევრის როლში აღმოჩნდა, მაგრამ ისევე, როგორც წინა შეხვედრებში, სტუმართა რიგებში გადამწყვეტი სიტყვა **ბრაიან რუისისა** და **ბლეზ ნკუფოს** დუეტმა თქვა. კოსტარიკელმა 31-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში, ხოლო მეორე ტაიმის სტარტზე ბოლო წლებში „ტვენტეს" უცვლელმა ბომბარდირმა **ნკუფომ** წინ გაიყვანა თავისი გუნდი, რასაც ერთ წუთში **ტეო იანსენმა** მიაშველა მესამე გოლი.

**ლუის სუარესის** მორიგი დუბლის მიუხედავად, ორი ქულა დაკარგა „აიაქსმა", ჩემპიონობის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა „ფეიენოორდმა" კი სამი უპასუხო გოლი გაუტანა „ვაალვიკს" და მაქსიმალურად მიუახლოვდა ლიდერებს. თუმცა როტერდამელებისთვის ბოლო ტურის მატჩი იმით იყო ცუდი, რომ მათი ლიდერი **ჯონათან დე გუსმანი** დაშავდა. 22 წლის ნახევარმცველმა „ვაალვიკთან" მატჩში მუხლი დაიზიანა და მეორე ტაიმში არ უთამაშია. ჯერჯერობით უცნობია ტრავმის ხარისხი, თუმცა ერედივიზიონის მორიგი ტური ორი კვირის შემდეგ გაიმართება და ექიმების ვარაუდით დე გუსმანი მომდევნო მატჩისთვის მზად იქნება.

ახლა კი იმ გუნდის შესახებ, რომელიც ნელ-ნელა მიუახლოვდა ლიდერთა ჯგუფს. ეს გახლავთ „უტრეხტი", რომელმაც ლიდერობა დააკარგვინა „ეინდჰოვენს". თუ „უტრეხტის" შემადგენლობას გადახედავთ, იქ ვერც ერთ ვარსკვლავს ვერ აღმოაჩენთ. შარშან აპრილში ვინმე **ვან სოუმერენმა** კლუბის აქციათა 51 პროცენტი შეისყიდა, რითაც „უტრეხტი" მეორე გუნდი გახდა ჰოლანდიაში („ალკმაარის" შემდეგ), რომელიც ინვესტორთა ჯგუფს ეკუთვნის. ახალმა მფლობელებმა გამოაცხადეს, რომ კლუბი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს აქცენტს და მათგან შედეგს ხუთი წლის შემდეგ ელიან.

„უტრეხტის" ძალა დაცვის ხაზსა და მეკარეშია. შემთხვევითი არ არის, რომ ამ გუნდს („ფეიენოორდთან" ერთად) ყველაზე ნაკლები გოლი აქვს გაშვებული. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მეკარე **მიშელ ვორმს**, რომელიც, როგორც ჩანს, ნელ-ნელა იმკვიდრებს ჰოლანდიის ნაკრების ძირითადი მეკარის სტატუსს. ვორმი 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულია (2006 წელს), „ნარინჯისფერთა" რიგებში დებიუტი კი ამა წლის სექტემბერში ჰქონდა: მან ჯერ იაპონიასთან ამხანაგურ მატჩში ითამაშა, ოთხ დღეში კი ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა „ჰემპდენ პარკზე" შოტლანდიის წინააღმდეგ. ეს შეხვედრები ჰოლანდიამ 3:0 და 1:0 მოიგო.

თუმცა „ეინდჰოვენთან" მატჩში ვორმი არ ყოფილა მთავარი ფიგურა. მასპინძლები იმდენს უტევდნენ, რომ მატჩის გმირი სტუმართა მეკარე **ანდრეას ისაქსონი** გახდა, რომელიც საბოლოოდ GOAL.com-მა ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოახვედრა. შვედ მეკარეს შემდეგმა ფეხბურთელებმა დაუმშვენეს მხარი: **დერილ იანმაატი** (ჰერენვეენი), **დუგლასი** (ტვენტე), **ანდრე ბაია** (ფეიენოორდი), **მარსელ დე იონგი** (როდა) - **ბოლდიჩარ ბოდორი** (როდა), **ტეო იანსენი** (ტვენტე) - **ჟერმეინ ლენსი** (ალკმაარი), **დრის მერტენსი** (უტრეხტი), **ანდველე სლორი** (ფეიენოორდი) - ლუის სუარესი (აიაქსი).

IX ტური

| | |
|---|---|
| ვიტესი-სპარტა | 2:0 |
| დენ ჰააგი-გრონინგენი | 1:1 |
| ალკმაარი-ბრედა | 1:0 |
| ვილემი-ნიიმეგენი | 1:1 |
| ფეიენოორდი-ვაალვიკი | 3:0 |
| როდა-აიაქსი | 2:2 |
| უტრეხტი-ეინდჰოვენი | 0:0 |
| ჰერაკლესი-ტვენტე | 1:3 |
| ჰერენვეენი-ვენლო | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 9 | 7 | 2 | 0 | 17-7 | 23 |
| 2. ეინდჰოვენი | 9 | 6 | 3 | 0 | 22-10 | 21 |
| 3. აიაქსი | 9 | 6 | 2 | 1 | 27-7 | 20 |
| 4. ფეიენოორდი | 9 | 6 | 2 | 1 | 17-6 | 20 |
| 5. უტრეხტი | 9 | 5 | 3 | 1 | 11-6 | 18 |
| 6. ალკმაარი | 9 | 5 | 0 | 4 | 16-8 | 15 |
| 7. ვიტესი | 9 | 3 | 2 | 4 | 13-14 | 11 |
| 8. დენ ჰააგი | 9 | 3 | 2 | 4 | 11-12 | 11 |
| 9. ჰერაკლესი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-11 | 11 |
| 10. ნიიმეგენი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-11 | 10 |
| 11. ბრედა | 9 | 3 | 1 | 5 | 7-16 | 10 |
| 12. ვენლო | 9 | 1 | 6 | 2 | 13-17 | 9 |
| 13. გრონინგენი | 9 | 2 | 3 | 4 | 8-12 | 9 |
| 14. როდა | 9 | 2 | 3 | 4 | 10-18 | 9 |
| 15. ჰერენვეენი | 9 | 2 | 2 | 5 | 5-12 | 8 |
| 16. სპარტა | 9 | 2 | 2 | 5 | 4-12 | 8 |
| 17. ვილემი | 9 | 2 | 1 | 6 | 11-15 | 7 |
| 18. ვაალვიკი | 9 | 1 | 0 | 8 | 7-23 | 3 |

**ბომბარდირები:** 12 - სუარესი (აიაქსი); 6 - კოვერმანსი (ეინდჰოვენი), 5 - ტომასონი (ფეიენოორდი), ჰონდა (ვენლო), ელ ჰამდაუი (ალკმაარი), ბაკალი (ეინდჰოვენი), რუისი (ტვენტე), ნკუფო (ტვენტე), კალაბრო (ვენლო).

ბელგია. ჟუპილერ ლიგა

# ანდერლეხტი ჩამოაქვეითეს

ბელგიის ჩემპიონატის მეათე ტურში საყოველთაო ყურადღება „ბრიუგესა" და „ანდერლეხტის" მატჩისკენ იყო მიპყრობილი. ბრიუსელური კლუბი აშკარად ფორმიდან ამოვარდა, რაც ბოლო ტურის შეხვედრაშიც გამოჩნდა. „ანდერლეხტი" პრაქტიკულად უშანსოდ იყო „ბრიუგეს" წინააღმდეგ, რომელიც, მეტოქისგან განსხვავებით, კარგ ფორმაში შევიდა.

მასპინძლები მხოლოდ პირველი ტაიმის პირველ ნახევარში წააწყდნენ წინააღმდეგობას, როცა პარაგვაელი **ანტოლინ ალკარასის** ზუსტ თავურს „ანდერლეხტმა" **ტომ დე სუტერის** გოლით უპასუხა. ამის შემდეგ შესვენებამდე მხოლოდ „ბრიუგე" უტევდა და ორბურთიან უპირატესობასაც მიაღწია. ორი წუთის ინტერვალით **კარელ გერაერტსმა** და **უესლი სონკმა** ორი გოლი გაიტანეს. განსაკუთრებით ლამაზი იყო სონკის გოლის დროს **მოჰამედ ბუსუფას** მოქმედება, რომელმაც რეიდით თითქმის მთელი მოედანი გაიარა და ზუსტი პასით სონკი მონახა.

„ანდერლეხტმა" მეორე ტაიმის სტარტზე გაიბრძოლა, ორი მომენტი გაუშვა ხელიდან და ერთხელ პენალტს ითხოვდა **ლუკას ბილიას** ნაქცევისთვის. ეს იყო და ეს. „ბრიუგე" მშვიდად აკონტროლებდა თამაშს, 83-ე წუთზე კი **რონალდ ვარგასმა** „ანდერლეხტისთვის" სამარცხვინო გახადა ანგარიში. ბრიუსელელები დიდი ანგარიშით წაგებას იმავე დე სუტერმა გადაარჩინა, რომელმაც მსაჯის მიერ დამატებულ დროში საბოლოო შედეგი დააფიქსირა - 4:2.

მატჩის შემდეგ „ბრიუგეს" სტადიონის ტრიბუნები **ადრიანუს კოსტერის** გვარს სკანდირებდნენ. ამ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა გუნდი წელს ჩაიბარა და მისი შრომის ნაყოფს უკვე მოაქვს შედეგი: „ბრიუგე" ლამაზ და შემტევ ფეხბურთს თამაშობს (ამ გუნდს ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი) და გათამაშების ცხრილს სათავეში უდგას.

„ანდერლეხტმა" კი ამ წაგებით არათუ ლიდერობა დაკარგა, მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა, რადგან მას მოქმედმა ჩემპიონმა „სტანდარდმაც" გაუსწრო. ეს გუნდი ერთადერთია ჩემპიონატში, რომელსაც წაგება არ აქვს. „გენკთან" ურთულეს მატჩში ლიეჟელებმა ბელგიის ლიგის საუკეთესო ბომბარდირის, სერბი **მილან იოვანოვიჩის** პენალტით მოიგეს. მსაჯმა სტუმარი მცველი **ჟოაო კარლუში დიომერსი მბოკანის** ნაქცევისთვის მინდვრიდან გააძევა და პენალტიც დანიშნა. სწორედ ეს აღმოჩნდა მატჩის გადამწყვეტი მომენტი.

„გენკი" შეეცადა სიტუაციის გამოსწორებას, მაგრამ „სტანდარდის" თურქ მეკარეს **შინან ბოლათს** ვერაფერი მოუხერხა. ამ გოლკიპერის კარის აღება ყველას უჭირს და შემთხვევითი არ არის, რომ „სტანდარდს" ყველაზე ნაკლები გოლი აქვს გაშვებული.

X ტური

| | |
|---|---|
| გენტი-მუსკრონი | 1:1 |
| შარლერუა-კორტრიიკი | 3:3 |
| ბეერსხოტი-ვესტერლო | 3:1 |
| მეხელენი-ლოკერენი | 2:0 |
| რუზელარე-სერკლი | 3:2 |
| სტ. ტრუიდენი-ვარეგემი | 1:2 |
| ბრიუგე-ანდერლეხტი | 4:2 |
| სტანდარდი-გენკი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 10 | 6 | 3 | 1 | 23-13 | 21 |
| 2. სტანდარდი | 10 | 5 | 5 | 0 | 20-8 | 20 |
| 3. ანდერლეხტი | 10 | 6 | 2 | 2 | 18-11 | 20 |
| 4. მეხელენი | 10 | 6 | 0 | 4 | 17-14 | 18 |
| 5. სტ. ტრუიდენი | 10 | 5 | 2 | 3 | 14-13 | 17 |
| 6. გენტი | 10 | 4 | 3 | 3 | 19-13 | 15 |
| 7. ბეერსხოტი | 10 | 4 | 3 | 3 | 12-11 | 15 |
| 8. ვარეგემი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-16 | 15 |
| 9. შარლერუა | 10 | 3 | 3 | 4 | 13-18 | 12 |
| 10. სერკლი | 10 | 3 | 2 | 5 | 17-17 | 11 |
| 11. გენკი | 10 | 2 | 5 | 3 | 13-13 | 11 |
| 12. ლოკერენი | 10 | 3 | 1 | 6 | 15-19 | 10 |
| 13. ვესტერლო | 10 | 3 | 1 | 6 | 10-19 | 10 |
| 14. კორტრიიკი | 10 | 2 | 4 | 4 | 11-14 | 10 |
| 15. მუსკრონი | 10 | 1 | 4 | 5 | 9-16 | 7 |
| 16. რუზელარე | 10 | 1 | 3 | 6 | 12-24 | 6 |

**ბომბარდირები:** 7 - იოვანოვიჩი (სტანდარდი), ტერეო (შარლერუა); 6 - სიდიბე (სტ. ტრუიდენი), დისა (რუზელარე).

შოტლანდია. პრემიერლიგა

# პირველი დერბი რეინჯერსისაა


კენი მილერის პირველი გოლი

შოტლანდიის პრემიერლიგაში პირველი გლაზგოური დერბი გაიმართა. „აიბროქსზე" „რეინჯერსმა" უმნიშვნელოვანესი მატჩი მოუგო „სელტიკს" და როგორც ჩანს, კრიზისი დაძლია. შეგახსენებთ, რომ „რეინჯერსს" შოტლანდიის ჩემპიონატში ბოლო სამი ტურია გოლი ვერ გაჰქონდა, წინა კვირას ლიგაზე კი შინ განადგურდა „სევილიასთან".

ამიტომაც მასპინძლებს წაგების უფლება არ ჰქონდათ, რადგან ამ შემთხვევაში „სელტიკი" შვიდი ქულით გაიქცეოდა. „რეინჯერსმა" ამოცანა წარმატებით გადაჭრა, რაც მისი ფორვარდის **კენი მილერის** დამსახურებაა.

მილერს მე-16 წუთისთვის დუბლი ჰქონდა შესრულებული. ამ თავდამსხმელს საინტერესო ბიოგრაფია აქვს. ის ერთ-ერთია იმ იშვიათ ფეხბურთელთაგან, რომელსაც გლაზგოურ დერბიში ორივე გუნდის ღირსება დაუცავს და უფრო მეტიც - ორივესთვის გოლი აქვს გატანილი. მილერი 2006-07 წლების სეზონში „სელტიკში" ირიცხებოდა და 2006 წლის 23 სექტემბერს, ლეგენდარულ დერბიში ერთი გოლი გაუტანა „რეინჯერსს". სამი თვის შემდეგ კი კენიმ პრემიერლიგის რეკორდი დაამყარა - „სენტ მირენს" 7:1 მოგებულ მატჩში ხუთი (!) გოლი გაუტანა.

კვირას გამართულ მატჩში მილერმა **კრის ბოიდისა** და **ალან მაკგრეგორის** გადაცემები გამოიყენა, თუმცა 25-ე წუთზე სელტიკელი **აიდენ მაკგიდის** გატანილმა პენალტმა შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნა.

მეორე ტაიმში მილერს ჰეთ-თრიკის შესრულებაც შეეძლო, თუმცა უფრო ხშირად „სელტიკი" უტევდა და ორი ასპროცენტიანი მომენტიც შექმნა. ერთ შემთხვევაში მაკგრეგორმა **სკოტ მაკდონალდს** აუღო, მეორეში კი **შონ მელონიმ** ააცილა ბურთი კარს.

ზედიზედ სამი ფრის შემდეგ, „რეინჯერსმა" თავისი ყველაზე საძულველი მეტოქე დაამარცხა და თითქმის დაეწია ლიდერს.

VII ტური

| | |
|---|---|
| ჰემილტონი-სტ. ჯონსტონი | 0:2 |
| ჰიბერნიანი-დანდი იუნ | 1:1 |
| კილმარნოკი-აბერდინი | 1:1 |
| მოზერველი-ფალკირკი | 1:0 |
| სტ. მირენი-ჰართსი | 2:1 |
| რეინჯერსი-სელტიკი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 7 | 5 | 1 | 1 | 15-7 | 16 |
| 2. რეინჯერსი | 7 | 4 | 3 | 0 | 12-4 | 15 |
| 3. ჰიბერნიანი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-7 | 13 |
| 4. დანდი იუნ | 7 | 3 | 3 | 1 | 9-6 | 12 |
| 5. მოზერველი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-6 | 12 |
| 6. აბერდინი | 7 | 2 | 4 | 1 | 6-4 | 10 |
| 7. სტ. მირენი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-8 | 8 |
| 8. ჰართსი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-11 | 7 |
| 9. კილმარნოკი | 7 | 1 | 3 | 3 | 6-7 | 6 |
| 10. სტ. ჯონსტონი | 7 | 1 | 3 | 3 | 11-16 | 6 |
| 11. ჰემილტონი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-14 | 4 |
| 12. ფალკირკი | 7 | 0 | 3 | 4 | 3-10 | 3 |

**ბომბარდირები:** 4 - კადამარტერი (დანდი იუნ), რაიორდანი (ჰიბერნიანი), კ. მილერი (რეინჯერსი).

პორტუგალია. საგრეშ ლიგა

# ბრაგა აღარ ხუმრობს

ჩემპიონატის ლიდერმა ზედიზედ მეშვიდე მოგება შინ „სეტუბალთან" გაიფორმა. ისევე როგორც წინა ტურში, „ბრაგამ" ამჯერადაც ბოლოსკენ გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა, არადა, 35-ე წუთიდან მოყოლებული, მასპინძლებს ერთი კაცით მეტი ჰყავდათ მოედანზე - მსაჯმა უხეშობისთვის **ლუიშ კარლუში** გააძევა. მიუხედავად ამისა, „სეტუბალი" უშანსოდ არ ყოფილა და რომ არა მასპინძელთა მეკარის **ედუარდოს** ოსტატობა, სტუმრები წინ გავიდოდნენ.

„ბრაგამ" რიცხობრივი უპირატესობა მე-60 წუთზე გამოიყენა. **მარისო მოსოროს** აქტიურობის შემდეგ მეტოქის საჯარიმოში ბურთი **პაულო სეზარმა** მიიღო და ზუსტად დაარტყა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში ლიდერის უპირატესობა „ვალენსიადან" არენდით აყვანილმა **უგო ვიანამ** გაამყარა, რომელმაც მეექვსე მატჩში მესამე გოლი გაიტანა.

მოქმედი ჩემპიონი „პორტუ" ცდილობს არ ჩამორჩეს „ბრაგას". ბოლო ტურებში ამ გუნდის გამოკვეთილ ბომბარდირად კოლუმბიელი **რადამელ ფალკაო გარსია** იქცა, რომელმაც ბოლო ორ ტურში სამი გოლი ჩაიწერა აქტივში. „პორტუს" დებიუტანტ „ოლანენსესთან" უდიდესი უპირატესობა ჰქონდა და გაცილებით დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლო, მაგრამ **ჟესუალდო ფერეირას** შეგირდებმა სამი გოლი იკმარეს და კვლავაც ხუთი ქულით ჩამორჩებიან ლიდერს.

მორიგი ჩავარდნა აქვს „სპორტინგს", რომელიც ნელ-ნელა შორდება „ბრაგას" - ახლა მათ შორის სხვაობა უკვე ათი ქულაა. „სპორტინგმა" ზედიზედ ოთხი მოგების შემდეგ, ბოლო ორ ტურში ხუთი ქულა დაკარგა. ლისაბონელთა მეტოქეს „ბელენენსეშსაც" ცუდი დროება უდგას და ის ამ შეხვედრას ოთხმატჩიანი მოუგებელი სერიით შეხვდა. ამიტომაც ვარაუდობდნენ, რომ „სპორტინგი" იოლად მოიპოვებდა დაგეგმილ სამ ქულას.

მატჩის ანტიგმირი მასპინძელთა ფორვარდი **ელდერ პოშტიგა** გახდა, რომელმაც პირველ ტაიმში **ნელსონთან** ორჯერ ერთი-ერთზე გასვლა ვერ გამოიყენა. „ბელენენსეშის" მეკარემ (ნელსონი „სპორტინგის" ყოფილი ფეხბურთელია) მეორე ნახევარშიც სამჯერ გადაარჩინა თავისი გუნდი და სტუმრები ერთ ქულას სწორედ მას უნდა უმადლოდენ.

VII ტური

| | |
|---|---|
| აკადემიკა-მარიტიმუ | 2:4 |
| ნავალი-რიუ ავე | 3:2 |
| ბრაგა-სეტუბალი | 2:0 |
| ლეიქსოეში-ლეირია | 3:2 |
| სპორტინგი-ბელენენსეში | 0:0 |
| ოლანენსე-პორტუ | 0:3 |
| ნასიონალი-გიმარაეში | 2:0 |
| ფერეირა-ბენფიკა | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაგა | 7 | 7 | 0 | 0 | 12-3 | 21 |
| 2. ბენფიკა | 7 | 6 | 1 | 0 | 24-4 | 19 |
| 3. პორტუ | 7 | 5 | 1 | 1 | 15-4 | 16 |
| 4. სპორტინგი | 7 | 3 | 2 | 2 | 8-6 | 11 |
| 5. რიუ ავე | 7 | 2 | 4 | 1 | 7-5 | 10 |
| 6. მარიტიმუ | 7 | 2 | 2 | 3 | 9-9 | 8 |
| 7. ნასიონალი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-8 | 8 |
| 8. ლეიქსოეში | 7 | 2 | 2 | 3 | 7-13 | 8 |
| 9. ლეირია | 7 | 1 | 4 | 2 | 10-8 | 7 |
| 10. ფერეირა | 7 | 1 | 4 | 2 | 5-8 | 7 |
| 11. ნავალი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-12 | 7 |
| 12. გიმარაეში | 7 | 1 | 3 | 3 | 6-8 | 6 |
| 13. ოლანენსე | 7 | 1 | 3 | 3 | 5-9 | 6 |
| 14. ბელენენსეში | 6 | 1 | 3 | 2 | 4-8 | 6 |
| 15. სეტუბალი | 7 | 1 | 1 | 5 | 2-16 | 4 |
| 16. აკადემიკა | 7 | 0 | 3 | 4 | 5-11 | 3 |

**ბომბარდირები:** 8 - კარდოსო (ბენფიკა); 7 - ფალკაო გარსია (პორტუ); 4 - რამირესი (ბენფიკა), კერუჩე (ნავალი), კარლაო (ლეირია).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულახდილი მონათხრობი

# მხოლოდ და მხოლოდ დიმიტარი

**დიმიტარ ბერბატოვი** აღიარებს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში" პირველი წელიწადი ჩაუფლავდა და ნერვიულობისგან ღამეები არ ეძინა. ბულგარელმა თავდამსხმელმა გაზეთ „სანს" მისცა ინტერვიუ, რომელშიც გულწრფელად უამბო, მანჩესტერული თანავარსკვლავედის დანახვაზე როგორ გაუჩნდა საკუთარი თავისადმი ეჭვი. თურმე, „ოლდ ტრეფორდის" ლეგენდებმა ბერბატოვი დათრგუნეს. 28 წლის ვარსკვლავი ასე ჰყვება:

*„უნდა ვაღიარო, რომ პირველ წელიწადს საკუთარი თავით საოცრად უკმაყოფილო დავრჩი. დიდ ზეწოლას ვგრძნობდი და ვხვდებოდი, რომ ვერ ვუძლებდი. ვატყობდი, რომ ამ გულშემატკივრის წინაშე თავის მოწონება მინდოდა და ეს მანერვიულებდა. ტრიბუნაზე ხომ იჯდა ხალხი, რომელსაც ნანახი ჰყავდა ბესტი, ჩარლტონი, კანტონა. მე კი მხოლოდ და მხოლოდ დიმიტარი გახლდით. საგოლე პასებს კი ვაწოდებდი, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. თავად უნდა გამეტანა გოლები".*

ბერბატოვისთვის ყველაფერი ისე ცუდად წავიდა, რომ კრიტიკოსებმა მის თავზე საავდრო ღრუბლის მოგროვება დაიწყეს, თავად კი ღამეები იწვა და თვალის მოუხუჭავად ჭერს შესცქეროდა.

*„ხანდახან ვერც კი გეტყოდით, რა გავაკეთე არასწორად. იქნებ იღბლის ამბავია ან იქნებ ჩემშია პრობლემა... ვინ იცის? ვიწექი ღამღამობით საწოლზე, შევცქეროდი ჭერს და საკუთარ თავს ვეუბნებოდი: ეს სხვანაირად უნდა გამეკეთებინა, იმ დროს ისე უნდა მოქცეულიყავი..."*

...და ლევერკუზენის „ბაიერის" ყოფილი ვარსკვლავი ნერვებსაც ველარ თოკავდა: *„ნერვები მეტისმეტად დაჭიმული მქონდა. უზარმაზარ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი".*

ბერბატოვი „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" „მანჩესტერ იუნაიტედში" შარშან, აგვისტოში, სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს, 30,75 მილიონ ფუნტად გადავიდა და მას მერე 53 შეხვედრაში 16 გოლი გაიტანა. ახლა ბულგარელისთვის უკვე მეორე სეზონი დაიწყო. როგორ მიდის საქმეები? როგორ და, „იუნაიტედის" გულშემატკივართა ერთ ნაწილს მისი ფანდები და შთაგონება მოსწონს, მეორეს კი იგი ამორფულ ტიპად და ზარმაცად მიაჩნია. თავად ბერბატოვი ძალიან ცდილობს, რომ ქომაგთა ბრალდებები მის ყურს და გულს არ მიწვდეს. მისთვის მთავარი სტატისტიკაა, რამდენ თამაშში რამდენი გოლი გაიტანა და როგორ გამოადგა გუნდს.

*„არ მოგატყუებთ. კრიტიკა ჩემზე მოქმედებს, მაგრამ უარყოფითად არა. სულ ვუყურებ ჩვენს სტატისტიკას Pro-Zone-ში. ადრე ვხედავდი, რომ თამაშის განმავლობაში გარბენილი დისტანციის მიხედვით მეცხრე ვიყავი. როგორც ჩანს, მაშინ, ამან გარკვეული სტერეოტიპი ჩამოაყალიბა ჩემ შესახებ. სეზონის ბოლოს, იმავე მონაცემით უკვე მეოთხე გახლდით და ვინ იცის, ამ სეზონში პირველ ადგილზეც გადავიდე".*

მაგრამ ბერბატოვი ზარმაცის რეპუტაციას ვერაფერს უხერხებს. მას აბრალებენ, რომ მოედანზე უგულოდ დაყიალებს: *„ეს თამაშის ჩემებური მანერაა. როდესაც საჭირო არ არის, თავქუდმოგლეჯილი არსად გავრბივარ, სამაგიეროდ, თავიდან ბოლომდე საქმეში ვარ ჩართული და ნებისმიერ წუთს მზად ვარ, ჩემი შანსი გამოვიყენო".*

თუმცა, ბულგარელი იმასაც კარგად ხედავს, რომ მანჩესტერელი გულშემატკივრების ერთი ნაწილი მას პირველივე წუთიდან ამრეზით უყურებს: *„ესეც ჩემი ბრალია. ისინი არაფერ შუაში არიან. მე უნდა შევიცვალო, ისინი კი არა. „მანჩესტერ იუნაიტედი" კლუბია და ამ კლუბში დღიდან ჩემი გამოჩენისა საუცხოოდ მექცევიან".*

ამ სეზონში ბერბატოვმა ორი გოლი გაიტანა. მეორე გასულ შაბათს, „სტოკ სიტის" კარში შეაგდო. ეს გადამწყვეტი გოლი გახლდათ - მისი დარტყმით ანგარიში გაიხსნა, საბოლოოდ კი „იუნაიტედმა" 2:0 მოიგო და ცხრილში პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

ზოგადად ასე შეიძლება ითქვას: ბერბატოვი თავისი თამაშით უკვე კმაყოფილია, მაგრამ გოლების რაოდენობა მაინც აკლია. მეტის გატანაა საჭირო.

*„ახლა, „მანჩესტერ იუნაიტედში" ჩემი მეორე სეზონი მიმდინარეობს და, რასაკვირველია, ზოგადად გაცილებით უკეთ ვთამაშობ. აშკარაა, გუნდთან უკეთ ვარ შერწყმული, ფიზიკურადაც გაცილებით ღონივრად ვგრძნობ თავს, მაგრამ ნამდვილად მინდა კიდევ უფრო მეტი გოლი გავიტანო".*

კიდევ, ბერბატოვი არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მის მიმართ საგანგებო მოთხოვნებს მისი მაღალი სატრანსფერო თანხის გამო აყენებენ. ბულგარელი თავდამსხმელის აზრით, ასე მსჯელობა აბსოლუტურად არარეალურია. იგი ამბობს:

*„ვის შეუძლია მასში გადახდილი თანხის ადეკვატურად ცხოვრება? არავის, რასაკვირველია. მე რომ იმ თანხაზე ვიფიქრო, შეიძლება გავგიჟდე".*

კიდევ, ბერბატოვი ამბობს, რომ ხშირად მას ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს მთელი მსოფლიოს ტვირთი მხრებზე აწევს, მაგრამ იმავდროულად გულს კმაყოფილების გრძნობაც ულბობს.

*„მე გახლავართ ფეხბურთელი, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო გუნდში მოხვდა. ჩემს მხარდამხარ თამაშობენ ფეხბურთის ლეგენდები, სქოულზი, გიგზი და რუნი. ჩემი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონია... განა შეიძლება ბედნიერი არ ვიყო?"*

შესაძლოა, ბერბატოვმა „ოლდ ტრეფორდზე" საყოველთაო სიმპათია ჯერ ვერ მოიპოვა, მაგრამ თანაგუნდელი **უეინ რუნი** მასზე აშკარად კარგი წარმოდგენისაა. ინგლისის ნაკრების ფორვარდი ბერბატოვისთვის ქების სიტყვებს არ იშურებს:

*„ის კარგად თამაშობს, მაგრამ ხშირად უსამართლოდ აკრიტიკებენ. მისი მოძრაობები მეტად სპეციფიკურია, შესაძლოა ვინმეზე ისეთი შთაბეჭდილება დატოვოს, თითქოს არ ინდომებს, არადა, სინამდვილეში დიდ სამუშაოს ასრულებს. იმავე „ვოლფსბურგთან" მოედანზე რომ შემოვიდა, რამდენიმე მშვენიერი სვლა მოიფიქრა და ჩვენი გუნდისთვის კარგი შესაძლებლობები შექმნა".*

ასე რომ, მხოლოდ და მხოლოდ დიმიტარის მეორე მანჩესტერული სეზონი გრძელდება.

**ილია ბაბუნაშვილი**



დიმიტარ ბერბატოვი



სებასტიან დაისლერი

ფეხბურთელის ბედი

# ბაიერნის მოთამაშეები ქალაჩუნას მეძახდნენ!

## სებასტიან დაისლერი: მაგათის ფილოსოფია შიშზე იყო დამყარებული

**სებასტიან დაისლერი** 21-ე საუკუნის დასაწყისში გერმანიის ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად მიიჩნეოდა. იყო გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი, სამჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი და „ბაიერნთან" ერთად გერმანიის თასიც მოიგო. დღეს სება 29 წლისაა და შეგახსენებთ, რომ მან აქტიური სპორტული კარიერა 2007 წლის იანვარში, ხანგრძლივი ტრავმებისა და დეპრესიის შემდეგ დაამთავრა. ბუცები ლურსმანზე ყველასათვის მოულოდნელად დაკიდა და საფეხბურთო სცენიდან გაუჩინარდა.

ახლა კი, ორწლინახევრიანი დუმილის შემდეგ, სება, როგორც იქნა, ალაპარაკდა. ჟურნალ „ცაითისთვის" მიცემულ ინტერვიუში ერთ დროს ბასტიფანტასტიდ წოდებულმა ნახევარმცველმა განაცხადა, რომ ორ თვეზე მეტია, ბერლინი დატოვა და ახლა მშობლიურ ლიორახში (ბადენ ვიურტემბერგი) ცხოვრობს.

*„ეს იმიტომ გავაკეთე, რომ მინდა, ახალი ცხოვრება დავიწყო. როდესაც ფეხბურთს ვთამაშობდი, ყველასთვის ვარსკვლავი ვიყავი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, თავს ძალიან მარტოდ და მიტოვებულად ვგრძნობდი. ჩემთვის არავის ეცალა და არავის ვაინტერესებდი. მე კი ასე არ შემიძლია. ბავშვობიდან არ შემეძლო ასე,"* - აცხადებს დაისლერი.

...და ერთხელაც, უდიდესი წნეხი მისთვის უკვე მეტისმეტი გამოდგა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ფეხბურთიდან წასვლა. ზეწოლა, რომელიც სხვებისთვის ჩვეულებრივი ამბავია და რომელსაც სერიოზული გართულებების გარეშე უძლებენ ხოლმე, სებასთვის მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა. მან კარიერა 27 წლის ასაკში დაამთავრა და პრესკონფერენციის შემდეგ, სადაც ფეხბურთიდან წასვლა გამოაცხადა და მთელი საფეხბურთო გერმანია შოკში ჩააგდო, ზებენერშტრასე ისე დატოვა, რომ თანაგუნდელებს არ დამშვიდობებია. ამ ხნის განმავლობაში მას ყოფილი თანაგუნდელები ხშირად უგზავნიდნენ ტექსტურ შეტყობინებებსა თუ ელექტრონულ წერილებს, მაგრამ დაისლერს არც ერთი მათგანისთვის არ უპასუხია.

*„ზოგიერთი თანაგუნდელი ქალაჩუნას მეძახდა. ველარ მიტანდნენ! სიმართლე გითხრათ, ზოგიერთ ფეხბურთელს მეც ველარ ვიტანდი. დღემდე არავისთვის მიპასუხია, არც წერილით და არც ტექსტური შეტყობინებით,"* - ამბობს სება ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში.

აღსანიშნავია, რომ დაისლერი „ჰერტას" ყოფილ შეფ **დიტერ ჰიონესსაც** მისდგა - როგორც იცით, „ბაიერნში" გადასვლამდე ის სწორედ ბერლინური კლუბის ღირსებას იცავდა. სება ამბობს, როცა 2001 წელს გადაწყდა, რომ „ბაიერნში" უნდა გადავსულიყავი, დიტერ ჰიონესმა მთხოვა, ამის შესახებ არავის არაფერი უთხრაო. მიუხედავად ამისა, გაზეთმა „ბილდმა" ინფორმაცია მაინც მოიპოვა და ცხადია, გაავრცელა კიდეც ცნობა იმის შესახებ, რომ დაისლერი 20 მილიონად „ბაიერნში" იყიდებოდა.

სებასტიანი: *„როდესაც „ბილდმა" ეს ინფორმაცია გაავრცელა, „ჰერტას" შეფები ჩემგან ბოდიშის მოხდას ითხოვდნენ. და იცით რისთვის? ფანებს უფრო ადრე რატომ არ უთხარი, „ბაიერნში" რომ გადადიოდიო. ბრალს მდებდნენ, რომ ვიცრუე! ენა ჩამივარდა და ველარაფერს ვამბობდი. არადა, დიტერ ჰიონესს უნდა ეთქვა, გულშემატკივრებო, ეს ჩემი სურვილი იყო, რომ არაფერი გცოდნოდათ, დაისლერს მე ვთხოვე ტრანსფერის საიდუმლოდ შენახვაო. ნაცვლად ამისა, ჰიონესმა არაფერი თქვა და მშვიდად იყო იმ დროს, როცა ბერლინელი ფანები მისტვენდნენ და მაგინებდნენ. ისინი მოკვლითაც კი მემუქრებოდნენ! წერილები დღემდე შენახული მაქვს. აი, სწორედ ასეთმა ამბებმა ამიცრუა გული ფეხბურთზე."*

დიტერ ჰიონესი ამბობს, დაისლერი მატყუარაა და თავის გამართლებას ცდილობსო. *„სწორია მხოლოდ ის, რომ ჩვენ ერთად შევთანხმდით, არაფერი გვეთქვა ტრანსფერის შესახებ, რადგან მისი დაცვა გვსურდა. რაც შეეხება იმას, რომ თურმე სებასტიანს ბოდიშის მოხდა მოვთხოვეთ, ეს გულუბრყვილო სიცრუეა!"* - აცხადებს „ჰერტას" ყოფილი შეფი.

აქვე გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს დაისლერის ინტერვიუდან.

**დაისლერი „ბაიერნის" ყოფილი თავკაცის, ფელიქს მაგათის შესახებ:** *„ჩემი შთაბეჭდილება ასეთი იყო: მაგათის ფილოსოფია შიშსა და ძალაუფლებაზე იყო დამყარებული. მას არ სჯეროდა არც ერთი ფეხბურთელის, არ ენდობოდა არც ერთ შეგირდს. ის აშინებდა „ბაიერნის" ყველა ფეხბურთელს, რათა მათ მოედანზე ბევრი ერბინათ. მაგრამ მე ამას ისედაც ვაკეთებდი. მაგათს ძალიან ეშინოდა იმის, რომ ფეხბურთელებს მისი განირვა შეეძლოთ."*

**მოლოდინზე, რომელიც ვერ გაამართლა:** *„ბევრი ფიქრობს, რომ ძალიან სუსტი ადამიანი ვარ, რაც მცდარი მოსაზრებაა. მე და სუსტი? რა სისულელეა? 19 წლის ვიყავი, როცა მთელი გერმანია ფიქრობდა, რომ გერმანული ფეხბურთის გადარჩენა შემეძლო. თანაც, მარტო მე! დღეს გერმანიას 4-5 ახალგაზრდა ფეხბურთელის იმედი აქვს. მაშინ კი მარტო მე ვიყავი იმედისმომცემი მოთამაშე. კი, იყო მიხაელ ბალაკიც, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩემზე ოთხი წლით უფროსი გახლდათ და თანაც, „კაიზერსლაუტერნში" თამაშობდა. მე დრო არ მომცეს - დრო, რომელიც ძალიან მჭირდებოდა."*

**ქალებზე:** *„მალე მივხვდი, რომ მომავალი მეუღლე არ უნდა გამეცნო რომელიმე ბანკეტზე, სადაც ყველას ეცოდინებოდა, ვინ ვიყავი. სხვა რაღაც მინდოდა და მიხარია, რომ დღეს გვერდით მყავს ისეთი ადამიანი, რომელმაც ჩემი გაცნობისას არ იცოდა, რომ ცნობილი ფეხბურთელი ვიყავი. სანამ ეს მოხდებოდა, ჟურნალისტები თუ თანაგუნდელები სულ მეკითხებოდნენ, რატომ არ გყავს მეგობარი გოგონა, რა ხდებაო. ბევრს ისიც კი ეგონა, რომ ჰომოსექსუალისტი ვიყავი."*

**ზინედინ ზიდანზე:** *„ზიზუ ჩემი კერპი იყო, რადგან მან ფეხბურთში ფიზიკურობა და ხელოვნება გააერთიანა. თავიდან ეს მეც შევძელი. ზიდანი ხელოვანი იყო. სხვათა შორის, ისიც თავის თავში ჩაკეტილი პიროვნებაა. ყოველთვის მინდოდა, რომ ზიზუ პირადად გამეცნო. ზიდანს შეეძლო ეცეკვა და ამავე დროს, რობუსტული ყოფილიყო. მეც ამაზე ვოცნებობდი."*

**პირად ცხოვრებაზე:** *„იყო მომენტები, როცა თავს ისე ვგრძნობდი, როგორც 60 წლის კაცი. ახლა კი 40 წლის ადამიანივით ვარ. მშობლებს ხშირად ვსტუმრობ და მაინტერესებს, რა ხდება მსოფლიოში. ფეხბურთმა იმდენი ფული მომცა, რომ შემიძლია ფინანსურად თავისუფალი ვიყო და ვაკეთო ის, რაც მინდა - ეს ძალიან კარგია, რადგან მშვიდად ვარ. ამისათვის ნამდვილად ღირდა ფეხბურთის თამაში. სხვა მხრივ, ჩემი პროფესიიდან კარგი არაფერი მიმიღია."*

**გოტფრიდ ლენცი**

ბარსელონა

# პედრო და რეკორდები



„ბარსელონამ“ მესამედ გაიმეორა 1929-30 წლების სეზონში დამყარებული საკლუბო რეკორდი. ისევე როგორც 1990 და 1998 წლებში, კატალონიურმა გრანდმა პრიმერას საწყის ექვს ტურში ზედიზედ ექვს გამარჯვებას მიაღწია.

ორი კვირის შემდეგ **პეპ გვარდიოლას** გუნდი ახალი რეკორდის დამყარებას შეეცდება, თუმცა ამის გაკეთება რთული იქნება, რადგან „ბარსელონას“ გასვლითი შეხვედრა ელის „ვალენსიასთან“.

წინა სამ შემთხვევაში კატალონიელების ექვსმატჩიანი მოგებათა სერია საყაიმო ანგარიშით შეწყდა:

**1929-30:** „ბარსელონას“ შეჩერება „ბილბაომ“ მოახერხა - 1:1. თანაც ბასკებმა ეს მეტოქის მოედანზე გააკეთეს. მაშინ ჩემპიონატი 18 ტურისგან შედგებოდა.

**1990-91:** **იოჰან კრუიფის** გუნდმა ვერ შეძლო პამპლონაში „ოსასუნას“ დამარცხება.

**1997-98:** „ბარსელონამ“ ფრედ ითამაშა „კომპოსტელასთან“ - 2:2.

■ ■ ■

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ნაადრევია დასკვნის გაკეთება, დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ „ბარსელონას“ ძირითადი შემადგენლობა კიდევ ნიჭიერმა ფეხბურთელმა გააძლიერა.

**პედრო** გუნდის ნამდვილ გოლეადორად ჩამოყალიბდა. მან 16 აგვისტოს „სან-მამესზე“ გადამწყვეტი გოლი გაუტანა „ბილბაოს“ (ესპანეთის სუპერთასი, 2:1), 28 აგვისტოს გუნდს „შახტართან“ მოაგებინა (ევროპის სუპერთასი, 1:0), გასულ კვირას კი ორი ბრწყინვალე გოლით გამოიჩინა თავი - ერთხელ კიევის „დინამოსთან“ (2:0) და მეორედ „ალმერიასთან“ (1:0).

ყველა გოლი ძალიან ლამაზი გამოვიდა და თან მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ. ერთმა „ბარსელონას“ ევროპის სუპერთასი მოაგებინა, „ბილბაოსთან“ და „ალმერიასთან“ გამარჯვებები მოიტანა. საინტერესოა, რომ როცა „ბარსა“ ამ სეზონში მინიმალური ანგარიშით იგებს, ეს სწორედ პედროს გოლის დამსახურებაა.

პედრომ ამ სეზონში 343 წუთი ითამაშა და ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ 85 წუთში ახერხებს მეტოქის კარის აღებას.

# პუიოლი: 10 წელი ბარსაში



პარასკევს „ბარსელონას“ კაპიტან **კარლეს პუიოლს** იუბილე ჰქონდა - ზუსტად 10 წელი გავიდა „ვალიადოლიდთან“ იმ ღირსშესანიშნავი მატჩის შემდეგ, რომელშიც პუიოლმა პირველად ითამაშა „ბარსას“ ძირითად შემადგენლობაში.

რთული ზაფხულის შემდეგ კარლესის პირველ გუნდში გადაყვანას ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა, მაგრამ **ლუი ვან გაალმა** ბიჭს შანსი მისცა და არც შემცდარა - იმ სეზონში პუიოლმა 37 მატჩი ითამაშა და ძირითადის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

■ ■ ■

პუიოლმა „ბარსაში“ ხუთი წელი უტიტულოდ ითამაშა, მაგრამ **ფრანკ რაიკაარდის** მისვლამ ყველაფერი შეცვალა. კარლესმა კაპიტნის სამკლავური მოირგო და ამის შემდეგ ეს უილბლო სერიაც შეწყდა: „ბარსამ“ მოკლე დროში მოიგო სამი საჩემპიონო ტიტული, ორი ჩემპიონთა ლიგა და ერთი სამეფო თასი. აქ სუპერთასებს არც ვახსენებთ.

■ ■ ■

იმ ღირსშესანიშნავი კადრების გარდა, სადაც პუიოლი თავს ზემოთ სწევს სხვადასხვა თასს, ყველას ახსენდება მისი ათწლიანი კარიერის ორი შთამბეჭდავი მომენტი. პირველი 2000 წლით თარიღდება, როცა **ლუიშ ფიგუ** „რეალის“ მოთამაშის რანგში პირველად ჩავიდა „ნოუ კამპზე“. პუიოლი პირადად მეურვეობდა პორტუგალიელ ვარსკვლავს და ეს ბრწყინვალედ გააკეთა. მეორე ეპიზოდი იყო დაუჯერებელი „სეივი“ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ მატჩში, როცა მცველმა მეკარის შეცდომის შემდეგ საკუთარ თავზე მიიღო დარტყმა და გუნდი ასპროცენტიან გოლს გადაარჩინა.

■ ■ ■

პუიოლის ზურგს უკან 449 ოფიციალური მატჩია და მთელი ამ დროის განმავლობაში ის იშვიათად რჩებოდა სათადარიგოთა სკამზე ან ტრავმის გამო ტოვებდა თამაშებს. შედეგად კარლესი „ბარსელონას“ დაცვის ლიდერად იქცა და „რკინის კაცის“ მეტსახელიც მიიღო.

„ბარსელონაში“ ათწლიანი გამოსვლისას პუიოლს შვიდი გოლი დაუგროვდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბოლო კლასიკოში **იკერ კასილიასის** კარში გატანილი ბურთი. არც ისე მაღალი (178 სმ) პუიოლი შესანიშნავად თამაშობს თავით და სტანდარტული მდგომარეობების გათამაშებისას კომფორტულად გრძნობს თავს მეტოქის საჯარიმოში.

■ ■ ■

**ჩავი და ლეო მესი** პუიოლს გუნდის ლიდერად მოიხსენიებენ, ლეო კი კაპიტნის პიროვნული თვისებებს უსვამს ხაზს: *„ის ბრწყინვალე ადამიანია, მასთან ურთიერთობა არასოდეს გამჭირვებია“.* იმავეს იმეორებს **ხერარდ პიკე**: *„მეამაყება, რომ კარლესი ჩემი კაპიტანია. ის ძალიან მეხმარება, იცის თავისი ადგილი მინდორზე და დაცვას ერთ მთლიან მექანიზმად აქცევს“.*

**ვიქტორ ვალდესს** პუიოლს იდეალურ მისაბაძ მაგალითად ასახელებს: *„ის გუნდთან ერთად ბევრს მუშაობს და ამას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ მხრივ ბრწყინვალე კაპიტანია. როცა საქმე ეხება დიეტას და სპორტული ფორმის შენარჩუნებას, პუიოლი სხვებისთვის ყოველთვის მაგალითად რჩება. მას შესანიშნავი ხასიათი აქვს და ასაკის მიუხედავად, მაღალ დონეს ინარჩუნებს“.*

**ტიტულები:** ბარსელონა - ესპანეთის ჩემპიონი (2005, 06, 09), ესპანეთის თასი (2009), ესპანეთის სუპერთასი (2006, 07, 10), ჩემპიონთა ლიგა (2006, 09), ევროპის სუპერთასი (2010); ესპანეთის ნაკრები - ევროპის ჩემპიონი (2008).

*ინტერვიუ ჩავისთან*

# ყველა პრიზი ლეოსი იქნება

**„ბარსელონას“ ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერი ჩავი ამტკიცებს, რომ წელს მისი გუნდი უკეთესად თამაშობს, ვიდრე შარშან. ფეხბურთელის აღიარებით, მას ამ სეზონში ყველაზე მეტად კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება უნდა.**

**29 წლის ასაკში ჩავი ერნანდესი ამაყობს იმით, რომ „ბარსელონას“ რიგებში უმთავრეს ფიგურას წარმოადგენს: როგორც მოედანზე, ასევე მის ფარგლებს მიღმა. ბევრ ფეხბურთელს არ შეუძლია დაიკვეხნოს იმით, რომ ასეთი გრანდის სახეს წარმოადგენს. ეს ჩავის კიდევ უფრო აახლოებს „ბარსას“ ლეგენდებთან.**

**ამ მომენტისთვის „ბარსელონას“ უკვე ორი ოფიციალური ტიტული აქვს მოგებული (ესპანეთისა და ევროპის სუპერთასი), ლიდერობს ესპანეთის ჩემპიონატს და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფს. ერთი თვის წინ დაწყებულ სეზონში ეს შესაშური მაჩვენებელია.**

**- შარშანდელი ჰეთ-თრიკის შემდეგ არსებობდა თუ არა პრობლემები გუნდის მოტივაციასთან დაკავშირებით?**

- მე მგონი ამ კითხვას წლევანდელი სეზონის დასაწყისმა გასცა პასუხი. უფრო მეტიც, ეს წელი უკეთესად დავიწყეთ. ისე კი შარშანდელთან შედარებით დიდ განსხვავებას ვერ ვამჩნევ - გულშემატკივარი იმავე სისტემასა და ანალოგიურ ფეხბურთს ხედავს.

**- მუდმივი ქება მოსაბეზრებელი არ არის?**

- არა, რადგან კრიტიკას ქება სჯობია.

**- ბევრს მიაჩნია, რომ თქვენი მთავარი კონკურენტი არა მოედანზე, არამედ უშუალოდ „ბარსელონას“ შიგნით უნდა ვეძებოთ...**

- მივხვდი, რასაც გულისხმობთ, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ გუნდი ამ ყველაფრისგან შორს არის. ფეხბურთელები არ ვფიქრობთ არჩევნებზე, ჯამუშებზე და მსგავს საკითხებზე. ფულს ფეხბურთის თამაშისთვის გვიხდიან და ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი საქმე. სხვა დანარჩენი არ შეიძლება ჩაითვალოს წაგების გამამართლებელ საბუთად.

**- მაშინ გუნდის შიდა საქმეებზე ვილაპარაკოთ. მაგალითად, არსებობს პუიოლთან და მარკესთან ახალი კონტრაქტების გაფორმების პრობლემა...**

- საქმე ეხება ორ უმნიშვნელოვანეს ფიგურას. მათ ბევრი გააკეთეს ჩვენი კლუბისთვის და დარწმუნებული ვარ, კიდევ მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ „ბარსასთვის“. იმედი მაქვს, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, რადგან მომავალ მატჩებში ეს დუეტი ძალიან გვჭირდება.

**- პეპ გვარდიოლაზე რას იტყვით?**

- ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა გვარდიოლას გარეშე. მე არ ვიცი მათი გეგმები - ჩემთვის ასეთი ინფორმაციები მიუწვდომელია. ერთადერთი, რასაც ვითხოვ ის არის, რომ მათ კოლექტივის ნაწილად უნდა იგრძნონ თავი, მოთმინება გამოიჩინონ და კონტრაქტები გაახანგრძლივონ. სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს.

**- რას ეტყოდით იმ გულშემატკივრებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ხანგრძლივი სეზონისთვის გუნდს ძალიან მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვს?**

- ვეტყოდი, რომ მშვიდად იყვნენ და არ ინერვიულონ. „ბარსელონას“ უნიკალური ახალგაზრდები ჰყავს. დააკვირდით ისეთი ფეხბურთელების პროგრესს, როგორებიც არიან პედრო და ხეფრენი და დარწმუნდებით: თუ ცოტაოდენ მოთმინებას გამოვიჩენთ, ასეთ საკითხებზე ნერვიულობა აღარ მოგვიწევს.

**- რა თავისებურებები ახასიათებს „ბარსელონას“ ახალგაზრდულ გუნდს?**

- ეს პრივილეგიაა, როცა შეგიძლია ისეთ კანტერას ენდო, როგორიც „ბარსას“ ჰყავს. თუ „ბარსა ატლეტიკის“ შეხვედრების სანახავად მოიცლით, დაინახავთ, რომ იქ მოთამაშეთა დონე ძალიან მაღალია.

**- ჩავის, ინიესტას და მესის ჯილდოები გარანტირებული აქვთ...**

- მხოლოდ ლეოს.

**- აუხსენით თქვენი მოსაზრება იმათ, ვინც მალე სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები უნდა აირჩიონ.**

- ლეო მესი წელს ყველა პრიზს მოიგებს - ფიფას ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელი, „ოქრო ბურთი“... იმიტომ, რომ არ არსებობს მსოფლიოში მესის დონის ფეხბურთელი. ამ მომენტში ის უნიკალური მოთამაშეა.

**- შესაძლოა, არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც არ გეთანხმებიან და კრისტიანო რონალდოს ანიჭებენ უპირატესობას...**

- არ მინდა ცუდად გამიგოთ ან სხვებზე ჭკვიანი გამოვჩნდე. თანამედროვე ფეხბურთში ბევრი კარგი ფეხბურთელია - კაკა, კრისტიანო რონალდო, ანდრეს ინიესტა... მაგრამ ვიმეორებ: ლეო მესი ყველაზე მაღლა დგას.

**- კიდევ ერთ სახელს შეგახსენებთ: იბრაჰიმოვიჩი.**

- ფუფუნებაა ითამაშო ისეთი ფეხბურთელის გვერდით, როგორიც იბრაა.

**- რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს შვედი გუნდის სქემაში?**

- მე უკვე გითხარით - ჩვენი თამაშის მანერა არ შეცვლილა, მაგრამ ცხადია, რომ ზლატანმა გუნდში ბევრი სიახლე მოიტანა. იგი უდიდესი ნიჭის ფეხბურთელია, რომელიც შესაშური სიჩქარითა და გოლის ალღოთი გამოირჩევა. რაც მთავარია, მასთან შეთამაშება საკმაოდ იოლი აღმოჩნდა. ის ჩვენ სიმშვიდეს გვმატებს.

**- მაგრამ ბევრი გაკრიტიკებთ იმის გამო, რომ იბრაჰიმოვიჩის მოსვლის შემდეგ, ბურთის მოძრაობის სიჩქარე შენელდა.**

- ეს ასე არ არის. შესაძლოა, ხანდახან ტემპი მართლაც ეცემა, როგორც ეს მალაგაში იყო, მაგრამ ამაში დამნაშავე მეტოქეა - მისი პრესინგისა და აგრესიულობის გამო, რიგ მომენტებში აკურატულობა გვაკლდა. ეს არის და ეს.

**- რა მიზნები აქვს გუნდს ამ სეზონში?**

- ყველა ტიტულის მოგება გვინდა.

**- ძალიან მარტივი და მოხერხებული პასუხია...**

- კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება.

**- თქვენ პირველი არ ხართ, ვინც ამას ამბობს. ასე მნიშვნელოვანია ეს ტურნირი?**

- ეს სულ სხვა ჩემპიონატია და მას გარკვეული თავისებურებები გააჩნია. მართალია, მეტოქეებს შორის გრანდები არ არიან, მაგრამ ამ ტურნირის მოგება ისტორიაში შესვლის საშუალებას მოგვცემს. კლუბის მუზეუმში არ არის ეს ჯილდო, რადგან ჩვენმა წინამორბედებმა რამდენიმე შანსი გაუშვეს ხელიდან. ჩვენ გვჭირდება ეს გამარჯვება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



სეოკ-ი 20 წლისაა



1989 წლის 6 ოქტომბერი. სეოკ-ის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატები

# იუბილარი ეროვნული

1989 წლის 6 ოქტომბერი. ამ დღეს, ზუსტად 20 წლის წინათ, თბილისის ჭადრაკის სასახლეში საფუძველი ჩაეყარა საქართველოს დამოუკიდებელ ოლიმპიურ მოძრაობას. მაშინ საქართველო ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი. ოლიმპიურმა მოძრაობამ წინ უსწრო პოლიტიკურ მოვლენებს და ქვეყნის დამოუკიდებლობის პროცესი გარკვეულწილად დააჩქარა კიდეც. საბჭოთა რესპუბლიკებიდან სპორტული დამოუკიდებლობა პირველმა საქართველომ გამოაცხადა, პირველმა დააფუძნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომლის მოსამზადებელმა სამუშაოებმა რამდენიმე თვეს გასტანა. ვერ ვიტყვით, რომ ყველა აღფრთოვანებული იყო ჯერ საინიციატივო ჯგუფის, შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობით. სპორტული ფედერაციების უმეტესობა ფრთხილობდა, გამოჩნდნენ ხელის შემშლელებიც. რაკი საინიციატივო ჯგუფში გაერთიანებას თავიდან ბევრი გაურბოდა, ეს მისია მთლიანად „ლელოს" თანამშრომლებმა იკისრეს გულანთებულ აქტივისტებთან ერთად. ამავე რედაქციაში მუშაობდა საინიციატივო ჯგუფი, შემდეგ კი საორგანიზაციო კომიტეტიც, რომელმაც დამფუძნებელი ყრილობა მოამზადა. ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრინციპული მოთხოვნით, 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე პირველად გამოვიდნენ საბჭოთა რესპუბლიკები თავიანთი დროშებით, აღლუმზე, გამარჯვებულთათვის აღიმართებოდა რესპუბლიკის ალამი და ჟღერდა მისი ჰიმნი. 1994 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ლილეჰამერში კი საქართველოს ოლიმპიელებმა უკვე დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით იასპარეზეს პირველად.

განვლილ 20 წელიწადში საქართველომ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში და კვლავაც ღირსეულად ინარჩუნებს სპორტული ქვეყნის იმიჯს.

საიუბილეო თარიღს ვულოცავთ ყველას, ვინც ამ ორი ათეული წლის წინათ, რისკის ფასად, პირადი წვლილით შექმნა და გაამყარა დამოუკიდებელი ოლიმპიური მოძრაობის საფუძველი საქართველოში.



1989 წელი. სეოკ-ის აღმასკომის პირველი შემადგენლობა. მარცხნიდან: პაატა ნაცვლიშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, ვიქტორ სანეევი, თენგიზ გაჩეჩილაძე; მეორე რიგში: დავით კუპრეიშვილი, ვაჟა კაჭარავა, ავთანდილ ციბაძე, დავით კინწურაშვილი, ივანე ყიფიანი, ნოდარ გუგუშვილი

რაგბი

ოცი წლის იუბილე

# აია: ქართული რაგბის ბალავარი

**ქუთაისის „აია" - საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, ორგზის თასის მფლობელი, ჩემპიონატის მრავალგზის პრიზიორი. ეს ყველაფერი ტიტულებია, რომლის მიღმაც თაობების, უამრავი ადამიანის შრომა, გარჯა და გნებავთ, ცხოვრების საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებაა. მათ შორის ერთ-ერთი ქუთათურთა გუნდის წარმატებების სულისჩამდგმელი, შემოქმედი დუგლას კავთელაშვილია. წლეულს ქუთაისელები მესამედ გაჩემპიონების ოცი წლისთავს აღნიშნავენ. ამ თარიღთან დაკავშირებით, ბატონ დუგლასს მოსკოვში დავუკავშირდით, სადაც ამჟამად „სპარტაკის" უფროს მწვრთნელად მუშაობს.**

**- ბატონო დუგლას, საუბარი თავიდან დავიწყოთ. საინტერესოა, რა ბედნიერმა შემთხვევამ დაგაკავშირათ რაგბის და რატომ გადაწყვიტეთ ფაქტობრივად მთელი ცხოვრება მიგეძღვნათ სპორტის ამ სახეობისათვის?**

- ახალგაზრდობაში ფეხბურთით ვიყავი გატაცებული. ჩემი მწვრთნელი კარლო ხურციძე იყო. ერთი ხანობა ქუთაისის „ტორპედოს" ახალგაზრდულ გუნდშიც ვირიცხებოდი. საკმაოდ სერიოზულ დონეზე ვთამაშობდი კალათბურთსაც. მერე ჯარში გამიწვიეს, სწორედ იქ გავიცანი ვახტანგ ქათამაძე, რომელიც ჩემზე ერთი წლით უფროსი იყო. სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, ვახტანგმა რაგბის გუნდის ვარჯიშზე წამიყვანა. ასე დავიწყე თამაში 1968 წელს ნოდარ ჭეიშვილისა და ნუგზარ კურტანიძის ხელმძღვანელობით.

მიზეზი, თუ რატომ დავრჩი საბოლოოდ რაგბიში, მარტივია - ეს ვაჟკაცური, ძალიან დინამიკური თამაშია, სადაც მეტოქეს ისეთივე პატივს უნდა სცემდე, როგორც თანაგუნდელს. თანაც კარგად იცით, ახალგაზრდობაში ყველას ძალა ერჩის, სისხლი უდუღს. არ იცის, ენერგია რაში დახარჯოს. რაგბიმ ქუჩას მომაშორა და მერე მოგვიანებით, მე ავაცდინე უკუღმართ გზას არაერთი ადამიანი.

**- ეს რაც შეეხება თამაშს. მწვრთნელობა როდის გადაწყვიტეთ?**

- ალბათ, რაგბიში მოსვლის დღიდანვე. 1973 წელს თბილისის „ლოკომოტივში" ვთამაშობდი. იყო ასეთი პიროვნება ავთანდილ გიორგობიანი, რომელმაც შემომთავაზა სპორტსაზოგადოება „განთიადში" რაგბის გუნდი შეგვექმნა. მაშინ ქუთაისს ჰყავდა ერთი გუნდი, რომელსაც „ლოკომოტივი" ერქვა. ჩავედი ქუთაისში და1974 წლიდან „განთიადს" ჩავუდექი სათავეში შაკო ქურციკიძესთან ერთად. აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო გოგი ყუფარაძის ღვაწლი. ქუთაისში მან ჩააგდო რაგბის პირველი მარცვალი.

**- რის ხარჯზე მიაღწია „აიამ" ასეთ დიდ წარმატებას. რას ეყრდნობოდა გუნდის სიძლიერე?**

- ჩვენი გუნდის სიძლიერე პირველ რიგში იმას ეყრდნობოდა, რაც ძირითადად რაგბის ახასიათებს. ძალიან მეგობრული გუნდი გვყავდა. სავალდებულო არ იყო, მოგვეგო. მთავარი იყო კარგად გვეთამაშა, გვებრძოლა, მეტოქისათვის არაფერი დაგვეთმო. ასეთ შემთხვევაში, მატჩის მერე თითო ბოთლ ჩეხურ ლუდს ვუდგამდი, რაც მაშინ ჩვენს ქვეყანაში ძნელად იშოვებოდა. ხოლო თუ კარგ თამაშს შედეგად გამარჯვებაც მოჰყვებოდა, მაშინ თითოეულ მათგანს ბოთლი შამპანური ერგებოდა.

რა არის, იცით? ჩვენ შიში გვქონდა. შიში იმისა, რომ მეგობრობა არ დარღვეულიყო, ერთმანეთის პატივისცემა არ დაგვეკარგა. მიხარია, რომ ეს მეგობრობა დღესაც გრძელდება და ბიჭები დღესაც ერთმანეთს გვერდში უდგანან.

**- რაგბი გუნდური თამაშია. მოგებით გუნდი იგებს, წაგებითაც გუნდი აგებს. თუმცა მაშინდელ „აიაში", ალბათ იყვნენ გამორჩეული მორაგბეები, თამამად შეიძლება ითქვას, ვარსკვლავები.**

- მართალი ბრძანდებით. ძნელია ვინმეს გამოყოფა. ყველა ძლიერი მოთამაშე, პიროვნება იყო. მინდა გარდაცვლილები ვახსენო: შაკო ქურციკიძე, ჩემი მარჯვენა ხელი ოლეგ ლიპარტელიანი, ვახტანგ შვანგირაძე, გია ნივნივაძე. ქედს ვიხრი მათი ვაჟკაცობის წინაშე.

„აიას" აღიარებული ლიდერი იყო ნუგზარ ძაგნიძე, მას რომ ფეხი ჰქონდა, ისეთი, ახლაც კი იშვიათია მსოფლიო რაგბიში. ძალიან ძლიერი მოთამაშეები იყვნენ მამუკა ლოსაბერიძე, ბართლომე ხამაშურიძე, ბესარიონ ლილუაშვილი, ალექსანდრე ნაჭყებია, თენგიზ ტურძელაძე, თამაზ ფხაკაძე. ესენი, ყველანი, დიდი მორაგბეები იყვნენ.

**- ვისი ინიციატივით დაერქვა გუნდს სახელად „აია"?**



დუგლას კავთელაშვილი

- ინიციატივა მაშინდელი ქალაქკომიდან წამოვიდა. „მშენებელი" რა სახელიაო. მოდი, ქუთაისის ძველი სახელი აია დავარქვათო. არ მახსოვს, ამაზე ვილაცამ იხუმრა, არიქა გურულებმა არ გაიგონ, თორემ იტყვიან -აია, ბიჭო, აია. ერთი სიტყვით, 1989 წელს ჩემპიონობა „აიას" სახელით მოვიპოვეთ.

ისე უცნაურად გამოვიდა. 1987 წელს „სტროიტელის" სახელით ვიჩემპიონეთ, მომდევო წელს უკვე „მშენებელი" გვერქვა. ბოლოს „აიათი" დავასრულეთ.

**- გთხოვთ, დეტალურად გაიხსენოთ 1989 წელი, როდესაც „აიამ" ზედიზედ მესამედ იჩემპიონა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მაშინ ფინანსურად არ გილხინდათ?**

- ფინანსური გაჭირვება მაშინ ბიჭებს არ უგრძნიათ. ჩვენი პატრონი სამშენებლო კომბინატი იყო. გვაფინანსებდა ასევ სპორტსაზოგადოება „განთიადი". მორაგბეები ყოველი მოგებული თამაშის შემდეგ პრემიებს იღებდნენ.

სასიამოვნო ისაა, რომ როგორც წესი, ჩემპიონობის შენარჩუნება უფრო რთულია, ვიდრე მოპოვება, ბიჭებმა შეძლეს და უზარმაზარ ფსიქოლოგიურ წნეხს გაუძლეს. ყველაფერი ვაჟკაცურად გადაიტანეს. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პირველად გაჩემპიონება უფრო კარგად მახსენდება. პირველი ყოველთვის უფრო სასიხარულოა.

უწინარესად მახსენდება, რა მტკიცე დისციპლინა იყო გუნდში. ფულადი ჯარიმები გვქონდა დაწესებული ვარჯიშის გაცდენაზე, სიგარეტის მოწევაზე, ღვინის „უჩემოდ" დალევაზე. ჯიბეში ორივე ხელს რომ იდებდნენ, ამაზეც კი ვაჯარიმებდი. ვეუბნებოდი: კოლონიაში ხომ არ იმყოფებით, სპორტსმენები ხართ და მხრებში გაიმართეთ მეთქი.

**- „აიას" რომელი მატჩი გახსენდებათ ყველაზე სასიამოვნოდ?**

- ასეთი 1987 წელს კრასნოიარსკში გამართული შეხვედრაა. მოსკოვის დომოდედოვოს აეროპორტიდან უნდა გადავფრენილიყავით. ერთი ღამე აეროპორტში გავათიეთ. კრასნოიარსკის აეროპორტმა უამინდობის გამო არ მიგვიღო და აბაკანში დაგვსვეს, რომელიღაც სტადიონის სათადარიგო მოედანზე. იქიდან ექვსი საათი მოვუნდით კრასნოიარსკამდე ჩასვლას. იქ კი იმათი გუნდის ადმინისტრატორი გვეუბნება - სტადიონი მზადაა, მატჩი დანიშნულია და აუცილებლად უნდა ითამაშოთო. სულის მოთქმაც არ გვაცალეს.

რა უნდა გვექნა. ბიჭებს ვუთხარი - ქართველი კაცი მუდამ ომიდან ომში გადადიოდა და აქ რა უნდა მოხდეს ისეთი, ვერ გავუძლოთ. როგორც არასდროს ისე უნდა მოვინდომოთ და ამათ ჭკუა ვასწავლოთ-მეთქი. გავედით სათამაშოდ და ის მატჩი 6:4 მოვიგეთ. ორი საჯარიმო ნუგზარ ძაგნიძემ გაიტანა.

**- როგორ შეაფასებდით თანამედროვე ქართულ რაგბის?**

- ამას წინათ მოსკოვში მწვრთნელთა სემინარები გამართეს ირლანდიელებმა. იქ რუსეთის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ანტონოვს შევხვდი. იმან მითხრა, გუნდის ამჟამინდელ ხელმძღვანელებს საქართველოს ნაკრების დიდი შიში აქვთო. მართლა ძალიან ეშინიათ. რასაც აქედან ვხედავ და მესმის ჩვენი რაგბის შესახებ, ვენაცვალე მაგათ. სულ წინ მიიწევენ და ცხადია, ეს ძალიან მახარებს.

ქართული რაგბის წინსვლა ყველა ქართველი მორაგბის, ვეტერანის თუ მოქმედის დამსახურებაა. განსაკუთრებით მინდა ვეტერანების წვლილი აღვნიშნო. საქართველოში მათ მოიტანეს თავის მხრებზე რაგბი აქამდე. შეძლეს თავისი შეგნებული ცხოვრება რაგბისთვის მიეძღვნათ, პატივი და დიდება მათ.

**ქუთაისის „აია", საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი (1987-1989 წწ):**

ბესარიონ ლილუაშვილი, თენგიზ ტურძელაძე, რობერტ ობოლაძე, გუგა ბაბუნაშვილი, ალეკო ისაკაძე, თამაზ ოდიშარია, გრიგოლ გაბუნია, ალეკო გრიგალავა, ალექსანდრე ნაჭყებია, თამაზ ფხაკაძე, ნუგზარ ძაგნიძე, ზაზა თხელიძე, ბართლომე ხამაშურიძე, კახა გაბრიჩიძე, მიხეილ ხარშილაძე, დათო იობიძე, ბადრი შვანგირაძე, გოჩა ჯიმშელაშვილი, ემზარ გეგუჩაძე, მამუკა ლოსაბერიძე, პაატა ძონენიძე, გელა ფირცხალავა, ავთანდილ დეისაძე, მამუკა მიქაბერიძე, ხვიჩა გეგელია, კახა მაჩიტიძე, ოლეგ ჟორჟოლიანი, ტიხონ ხახალეიშვილი, კოტე ჯინჭარაძე, ემზარ ძაგნიძე, ზურაბ კიკაჩეიშვილი, სერგო უგრეხელიძე, ევგენი ზეევი, ზვიად ლიპარტელიანი, ზურაბ რეხვიაშვილი, ალექსანდრე ლიკლიკაძე, ალექსანდრე გაბიძაშვილი, იგორ მარიამიძე, ნიკოლოზ ნემსიწვერიძე, თამაზ გიორგობიანი, გია ნივნივაძე, ავთო გიორგაძე, ოლეგ ლიპარტელიანი, შალვა ქურციკიძე, ვახტანგ შვანგირაძე, ხვიჩა კაშია.

ბესიკ ჯანგავაძე




აკრობატიკა

ევროპის ჩემპიონატი

# აკრობატების ევროპული შვიდიანი

პორტუგალიის ქალაქ ვილა დუ კონდეში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი აკრობატიკაში. შეჯიბრებაში საქართველოდან ქალთა სამეული მონაწილეობდა - **ანა ურუშაძის, სალომე სარიშვილის** და **მარიამ გიგოლაშვილის** შემადგენლობით.

კვალიფიკაციაში ჩვენმა გოგონებმა 55,100 ქულა მიიღეს (დინამიკა 27,300, ბალანსი 27,800) და მე-10 ადგილი დაიკავეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა ფინალში გასასვლელად. იქ კი რვა საუკეთესო გუნდს შორის 27,700 ქულით მე-7 ადგილი ირგუნეს.

ადგილები ასე განაწილდა: 1. დიდი ბრიტანეთი - 28,700 ქულა 2. რუსეთი - 28,550, 3. ბელგია - 28,250, 4. პოლონეთი - 28,100, 5. პორტუგალია - 28,000, 6. ჰოლანდია - 27,800, 7. საქართველო - 27,700, 8. გერმანია - 27,600.

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ბესიკ ლიპარტელიანი: თვის ბოლოს ფიბა-ს პრეზიდენტი გვეწვევა

## სუპერლიგისთვის 12 გუნდი ემზადება




საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი საქმიანი ვიზიტით საბერძნეთში იმყოფებოდა, სადაც ფიბა-ს პრეზიდენტს გეორგიოს ვასილოკოპულოსს შეხვდა...

გუშინ, შუადღისას პრეზიდენტმა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველი კლუბების წარმომადგენლებიც მიიღო...

ნოემბრის ბოლოს გაიმართება კალათბურთის ფედერაციის არჩევნები...

გუშინ ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს ამ სამ მნიშვნელოვან თემაზე ვესაუბრეთ.

### ფიბა მოდის

საქართველოს ნაკრების A დივიზიონში გადასვლის შემდეგ ჩვენი ქვეყნისადმი საკალათბურთო საზოგადოების ყურადღებამ იმატა. გულგრილი არ დარჩენილა ფიბა-ევროპის ხელმძღვანელობა, რომელმაც ჩვენი ფედერაციის უფროსობა საბერძნეთში დაიბარა. ფიბა-ევროპის პრეზიდენტმა გიორგიოს ვასილოკოპულოსმა და ბესიკ ლიპარტელიანმა ისაუბრეს საქართველოში საკალათბურთო ინფრასტრუქტურის გაფართოებაზე, 2011 წელს ახალგაზრდული ნაკრების რომელიმე ტურნირის თბილისში გამართვასა და A დივიზიონში გუნდების განაწილებაზე.

*- 13 დეკემბერს ფიბა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე დასაშვებ ოთხ ველურ ბარათს დაარიგებს. ამის შემდეგ გავიგებთ 2010 წელს შესარჩევ ტურნირში, ევროპის ზონაში 16 გუნდი ითამაშებს, თუ - უფრო ნაკლები. ფიბა-ევროპას ტურნირის სტრუქტურა უკვე მოხაზული აქვს: თუ ველური ბარათების განაწილების შემდეგ ჩვენთან ერთად A დივიზიონში 16 გუნდი დარჩება, მაშინ ოთხგუნდიანი ოთხი ჯგუფი შეიკვრება; თუ 16-ზე ნაკლები დარჩა, მონაწილეები სამ ჯგუფად განაწილდება. მოკლედ, ბევრს 13 დეკემბერი გადაწყვეტს. შესარჩევი ეტაპის წილისყრა დეკემბრის შუაში გაიმართება, - გვითხრა ბესიკ ლიპარტელიანმა.*

ფიბა-ევროპის და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტების საუბრის მთავარი თემა ინფრასტრუქტურა იყო.

*- 27-დან 29 ოქტომბრამდე ფიბა-ევროპის პრეზიდენტი გიორგიოს ვასილოკოპულოსი და გენერალური მდივანი ნარ ზანოლინი თბილისს ეწვევიან. მათ გადაწყვეტილი აქვთ სერიოზული პროექტის განხორციელება და აინტერესებთ საქართველოში არსებული მდგომარეობა. პროექტი გულისხმობს საკალათბურთო ინვენტარით დახმარებას: ფარებით, ტრიბუნებით, იატაკით... ფიბა-ევროპის ხელმძღვანელობა თბილისში ჩამოვა, აქაურ სიტუაციას გაეცნობა და მას შემდეგ დაგეგმავს, კონკრეტულად რა სახის დახმარება გვჭირდება. კარგია, რომ ამ საკითხში საქართველოს მთავრობაც გვერდში გვიდგას: დავაყენეთ საკითხი აკადემიის, სკა-ს და ვერის ბაღის დარბაზების კალათბურთის ფედერაციისთვის მართვის უფლებით გადმოსაცემად. სკა-ს და აკადემიას საკითხი დადებითად გადაწყდა, ვერის ბაღის არენის საქმე ჯერ არ გარკვეულა.*

არანაკლებ მნიშვნელოვანია მესამე საკითხი – რომელიმე ასაკობრივ ასაკში B დივიზიონის მატჩების მასპინძლობა.

*- ფიბა-ევროპის ხელმძღვანელმა აღნიშნა: როგორც ჩანს, სწორი გზით მიდიხართ, უკვე A დივიზიონს წარმოადგენთ; კადეტებშიც, ჭაბუკებშიც და ახალგაზრდულ ასაკშიც რეგულარულად მონაწილეობთ ფიბა-ს შეჯიბრებებში და დროა რომელიმე ახალგაზრდულ ტურნირს უმასპინძლოთო. ამ საკითხზე სალაპარაკოდ მომზადებულნი ჩავედით, რადგან მასპინძლობის სურვილის დაფიქსირებას მანამდეც ვაპირებდით. სწორედ ამ თემას მოჰყვა ინფრასტრუქტურაზე საუბარი. ფიბა-ევროპის პრეზიდენტმა გვკითხა – თბილისში სასტუმროების საქმე როგორ არისო? ავუხსენით, რომ ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია. ახლა მთავარია, 2011 წლამდე თბილისში სამი ნორმალური დარბაზი მოვაწყოთ. ერთი სპორტის სასახლეა, მეორე სკა-ს დარბაზი უნდა იყოს, მესამე – აკადემიისა.*

### ზე-12

საქართველოს ჩემპიონატში თამაშის მსურველი გუნდების რამდენიმე მწვრთნელს ჩვენი გაზეთის მკითხველი უკვე შევახვედრეთ. თუმცა, ზოგს რომ ვურეკავთ, გვეუბნება – სუპერლიგაში თამაში ბოლომდე ჯერ არ გადაგვიწყვეტიაო. სწორედ ამ საკითხის გასარკვევად ბესიკ ლიპარტელიანი გუშინ კლუბების წარმომადგენლებს შეხვდა. ფედერაციაში 11 მესვეური მივიდა, ბათუმელებმა აჭარიდან დარეკეს – აუცილებლად ვითამაშებთო... ზღვისპირელთა გარდა სუპერლიგისთვის ემზადებიან "ავიამშენი", "ენერჯი", თსუ, "აგრარული უნივერსიტეტი", "ტექნიკური უნივერსიტეტი" (სტუ), "სოხუმი", "ჭიათურა", "საქართველოს ინსტიტუტი", "მაკაბი", "დინამო" და შსს.

*- კლუბების წარმომადგენლებს სექტემბერშიც შევხვდი. მაშინ 8 მესვეური მოვიდა, ახლა კი 12-მა გუნდმა გამოთქვა სუპერლიგაში თამაშის სურვილი. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ კლუბების მდგომარეობა დალხინებული არ არის, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ყველას უჭირს. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ 15-დან 20 ოქტომბრამდე ყველა მსურველის განაცხადს მივიღებთ, შემდეგ შემადგენლობებს გადავხედავთ... არ გვინდა, სუპერლიგაში მხოლოდ ახალგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდები თამაშობდნენ. ასეთ შემთხვევაში ახალგაზრდულ ჩემპიონატს წამყვანი კალათბურთელები გამოაკლდებიან, მათი ადგილის შესავსებად უმცროსი ასაკის მოთამაშეებს დაიმატებენ, რითაც ახალგაზრდული პირველობაც ბევრს დაკარგავს და სუპერლიგაც...*

გუნდების რეალურ ძალას დუდუ დადიანის მემორიალიც გამოაჩენს. ეს შეჯიბრება 15 ოქტომბერს დაიწყება. საქართველოს ჩემპიონატის გახსნა 25 ოქტომბრისთვის იყო დაგეგმილი, თუმცა დაწყების თარილმა 31 ოქტომბრისთვის გადაიწია.

### არჩევნები-2009

სიტყვა არჩევნები ყოველთვის ხმამაღლა გამოითქმის. ამ მოვლენისთვის მზადება დიდ ხმაურთანაა დაკავშირებული, თუმცა საკალათბურთო არჩევნები გამონაკლისია... ეს პროცედურა ნოემბრის ბოლოს იმართება, ჯერ მხოლოდ ერთადერთი კანდიდატის ვინაობაა ცნობილი...

*- არჩევნებში მონაწილეობისთვის ვემზადები, - გვითხრა ბესიკ ლიპარტელიანმა, - ყრილობა, სავარაუდოდ, ნოემბრის ბოლოს გაიმართება. თუმცა ზუსტი თარილი ჯერ არ დადგენილა. ამას გადაწყვეტს აღმასკომის სხდომა, რომელიც ამ კვირაში შეიკრიბება.*

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერი. გერმანია

# გამყრელიძე სასტარტოში



**ლაშა გამყრელიძის** "მიტელდოიჩერმა" გერმანიის ჩემპიონატის დაწყებამდე ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარა და "ბრაუნშვაიგი" 78:76 დაამარცხა. საწყისი სამი პერიოდის შემდეგ ლაშას გუნდი დამაჯერებლად იგებდა (66:52), თუმცა ბოლო ათ წუთში მეტოქემ კინაღამ თამაში შემოატრიალა...

ამ წარმატებაში ქართველმა გამთამაშებელმა დიდი წვლილი შეიტანა. მან მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და 26 წუთში 10 ქულა, 7 პასი და 2-2 მოხსნა-ჩაჭრა მოაგროვა. ლაშამ 5-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა.

"მიტელდოიჩერი" ბუნდესლიგის სადებიუტო ტურს 9 ოქტომბერს გამართავს – "ვალტერ ტაიგერსს" ესტუმრება.

ვაჟა სიმონიშვილი

ძიუდო

# თბილისმა საქართველოსთვის გაამზადა

თანდათან მთავრდება რეგიონალური პირველობები 23-წლამდე ახალგაზრდა ძიუდოისტებში, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატის მონაწილენი უნდა გამოავლინოს. ამ უქმეებზე პირველობას თბილისმა უმასპინძლა, რომელსაც ორიოდ კვირაში გასამართ ამ ჩემპიონატში მონაწილე დედაქალაქელი სპორტსმენები უნდა გამოევლინა. თბილისი ქართულ ძიუდოში ერთ-ერთი წარმატებული ცენტრია და გასაკვირი არაა მონაწილეთა სიმრავლე - დაახლოებით 170. ცხადია, მხოლოდ თბილისელები და ბევრი საკმაოდ ცნობილი ფალავანიც ვიხილეთ, თუმცა არ იყვნენ ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატები. ისინი 23-25 ოქტომბერს პარიზში გასამართი მსოფლიოს პირველობისთვის ემზადებიან და გუშინ შეკრებაზე წავიდნენ გორში.

მოლოდინისამებრ, საქართველოს ჩემპიონატმა საინტერესოდ ჩაიარა და გამოვლინდნენ მედალოსნები. ყველა მათგანი საქართველოს 23-წლამდელთა ჩემპიონატში იჭიდავებს, რადგან თბილისს ყოველ წონაში 4-4 კვოტა ეკუთვნის.

**კვარცხლბეკი:** 60 კგ: 1. გიორგი ბროლაშვილი; 2. ბექა კიკაძე; 3. გიორგი გიგანი; 3. კობა გაზდელიანი. 66 კგ: 1. ზეზვა არაბული; 2. სიმონ ქოქაშვილი; 3. დიმიტრი აზნარაშვილი; 3. შოთა ბეჟიტაშვილი. 73 კგ: ილია ქემერტელიძე; 2. დავით ოსიშვილი; 3. ბეთქილ აფრასიძე; 3. ნიკოლოზ ბაშარული. 81 კგ: 1. გოჩა ხუციშვილი; 2. ზაქრო მუმლაური; 3. არჩილ უსტარაშვილი; 3. გიორგი მერმანიშვილი. 90 კგ: 1. ვალერი ყორყოლიანი; 2. ალექსანდრე თევდორაშვილი; 3. ნიკოლოზ ბულაძე; 3. შოთა ცინცაძე. 100 კგ: 1. გიგა მამაგულაშვილი; 2. გიორგი კალაძე; 3. თემურ კობლიშვილი; 3. ნიკოლოზ ნარიმანიძე. +100 კგ: 1. ლევან მუქერია; 2. ვაჟა დაბრუნდაშვილი; 3. ივანე გოგოლიშვილი; 3. გიორგი ქევხიშვილი.

ირაკლი თავაძე

სამბო

# სამბისტები ემზადებიან

ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა მსოფლიოს წლევანდელ პირველობას მომავალ კვირაში ბულგარული სამოკო უმასპინძლებს. ჩვენი გუნდები იქ ორშაბათს, 12 ოქტომბერს გაემგზავრებიან, თუმცა არასრული გუნდებით - ორივე ნაკრებს თითო მონაწილე აკლია. ჭაბუკებს მონაწილე 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში დააკლდებათ, ახალგაზრდებს - 74-ში. ამ წონებში მონაწილე ფალავნებმა თავი ვერც ევროპის ჩემპიონატზე გამოიჩინეს, ვერც - საერთაშორისო ტურნირებზე და ამიტომ მწვრთნელებმა მათი სახლში დატოვება ამჯობინეს. თუმცა ბულგარეთში წასვლამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და არაა გამორიცხული, გუნდს კიდევ გამოაკლდეს ვინმე. მოვლენათა ასეთი განვითარება ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ გვაფიქრებს ის გარემოება, რომ რამდენიმე მონაწილის დასაფინანსებელი თანხა ჯერ კიდევ არ ჩანს. გუნდების ნახევარს ფედერაცია აფინანსებს, სამ სპორტსმენს - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, ორს - დედაქალაქის მერია, დანარჩენებს კი მშობლიური რაიონები. მათმა უმეტესობამ პირობა უკვე შეასრულა, მაგრამ რამდენიმეს თანხა ჯერაც არ გადმოურიცხავს. ვიმედოვნებთ, ისინი პირობას შეასრულებენ და ამჯერად მხოლოდ ამიტომ არ ვასახელებთ, მაგრამ თუ საკუთარ ათლეტებს არ დაეხმარებიან, მაშინ არც ამას მოვერიდებით.

მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, მსოფლიოს პირველობაზე ჭაბუკებში საქართველოს ღირსებას ფოთელი **გივი ნადარეიშვილი** (48), ვანელი **ბექა დიაკონიძე** (52), ქუთაისელი **გენადი ჩირგაძე** (56), გორელი **დავით ვარძელაშვილი** (60), ფოთელი **ბექა ტულუში** (65), მცხეთელი **ბერდია აბაშვილი** (70), საგარეჯოელი **იაგო მესტვირიშვილი** (81), ხაშურელი **გიორგი ნოზაძე** (87) და დმანისელი **სლავა რეზესიძე** (+87) დაიცავენ. ახალგაზრდებში იგივეს გაკეთებას კასპელი **გიორგი გეჯაძე** (48), ფოთელი **დავით ლატარია** (52), მისი თანაქალაქელი **ბექა ბუცხრიკიძე** (57), კასპელი **ზვიად ოდოშაშვილი** (62), თბილისელი **ლევან ნახუცრიშვილი** (68), გორელი **ნოდარ კუდუხაშვილი** (82), ქუთაისელი **ლაშა გურული** (90), გორელი **გიორგი ბოლოთაშვილი** (100) და ახმეტელი **მირიან გონჯილაშვილი** (+100) შეეცდებიან.

ჩვენი გუნდები დასკვნით შეკრებას თბილისში, „ქარიშხალას" სპორტულ კომპლექსში მოწყობილ საკუთარ ბაზაზე გადიან. პრინციპში, ეს უფრო ახალგაზრდების შეკრებაა, მაგრამ მათთან ერთად უმცროსებიც ვარჯიშობენ. რაც შეეხება უფროსებს, ისინიც მსოფლიოს პირველობისთვის ემზადებიან, რომელიც ნოემბერში ბერძნულ სალონიკში გაიმართება.

ირაკლი თავაძე

# ბოდაველმა მანქანა დაკარგა

ქართველმა სამბისტებმა დიდი წარმატებით იჭიდავეს ტაჯიკურ ტურსუნზადეში გუშინ დამთავრებულ „პრეზიდენტის თასზე". იქ სულ ხუთი ჩვენებური მონაწილეობდა და ხუთივემ მედალი მოიპოვა - თითო ვერცხლ-ბრინჯაო და სამი ოქრო. ტურნირის ჩემპიონები **ავთანდილ ცინცაძე** (57), **ნიკოლოზ კუცია** (82) და **ალექსი დავითაშვილი** (მძიმე) გახდნენ. **მინდია ბოდაველი** (100) ვერცხლს დასჯერდა, **ზვიად ჩინჩალაძე** კი (მძიმე) მესამეზე გავიდა.

ტურნირზე ისეთი ვითარება შეიქმნა, ოთხ წონაში ფინალისტი გვყავდა. ამათგან ყველაზე დიდ ინტერესს 100 კილოგრამი წონითი კატეგორია იწვევდა, სადაც საკმაოდ ძვირადღირებული მანქანა თამაშდებოდა, რომლის მოპოვების ერთ-ერთი პრეტენდენტი ბოდაველიც იყო. ბედის ირონიით, ქართული კვარტეტიდან სწორედ მან წააგო! ფინალში მისი მეტოქე ადგილობრივი სამბისტი გახლდათ, რომელიც როგორც მოჭიდავე, დიდი ვერაფერი სპორტსმენი ყოფილა, მაგრამ, სავარაუდოდ, მსაჯების მხარდაჭერა ექნებოდა. ნახევარფინალში ადგილობრივ სპორტსმენთან დამარცხდა ჩინჩალაძეც, თუმცა მისი ჯავრი ფინალში დავითაშვილმა ამოგვყარა.

მთლიანობაში, ჩვენი გუნდი ჩინებულად გამოვიდა ამ ძლიერ ტურნირში. შეჯიბრების პრესტიჟსა და ავტორიტეტზე ისიც მიუთითებს, რომ ფინალებს თვით ტაჯიკეთის პრეზიდენტიც დაესწრო.

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა ჩვენი. ქართული...

# არაგველობა დუშეთში



დუშეთში გაიმართა სახალხო დღესასწაული „არაგველობა 2009". ამ დღეს დუშეთს ესტუმრა საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი **ილია მეორე**. არაგველობის ანუ „დუშეთობის" დღესასწაულზე ფეხბურთის სტადიონზე გაიმართა ქართული ჭიდაობა. სხვათა შორის, სწორედ ჭიდაობის ტურნირმა და ვაჟა-ფშაველას ძეგლის წინ მოედანზე მოწყობილმა ფოლკლორული ანსამბლების კონცერტმა გასტანა ყველაზე დიდხანს... უნდა ითქვას, რომ სახალხო დღესასწაულებზე ქართული ჭიდაობა ყოველთვის უშელავათო პაექრობაა და არა საჩვენებელი გამოსვლა. ასე იყო არაგველობაზეც. ასე იქნება მომავალშიც.

ღონისძიების ორგანიზატორებს მხარში ამოუდგა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ზურაბ ოტიაშვილი**, ხოლო შეჯიბრების უშუალო თავკაცი ადგილობრივი კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორი **ნიკოლოზ ჯიქურაული** იყო. სასაპარეზოდ შეიკრიბნენ: დუშეთის, მცხეთის, კასპის, გორისა და ახალგორის მოჭიდავეები. სტუმრები და მასპინძლები ყველა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებაზე დასწრებას ცდილობდნენ. ქომაგები არ აკლდა არც ქართულ ჭიდაობას, სადაც შვიდ წონით კატეგორიაში გამოვლინდა პირველადგილოსანი. გუნდური გამარჯვება და ოქროსფერი თასი მასპინძლებმა — დუშელებმა მოიპოვეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით „არაგველობა 2009"-ის გამარჯვებულები გახდნენ: **გიორგი სადალაშვილი** (გორი), **გიორგი თანიაშვილი** (დუშეთი), **ვანო ჯავახიშვილი** (გორი), **ლევან ხოსრუაშვილი, ილია ბუჩუკური, რეზო სინჯარაძე** (სამივე დუშეთი) და **ბექა ლვინიაშვილი** (გორი).

ტურნირზე საუკეთესო მსაჯის პრიზი დაიმსახურა ეროვნული კატეგორიის მსაჯმა **გია სპანდერაშვილმა**. ქართული ჭიდაობის პარალელურად მოეწყო ფეხბურთელთა და მოჭადრაკეთა შეჯიბრებები.

გაბრიელ ბარჯაძე

ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# სამაიას ოთხი ქულა



სამაისა და პოდგორიცას შეხვედრის მომენტი

მაკედონიის ქალაქ ოჰრიდში მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე, როგორც გაუწყეთ, სხვადასხვა ქვეყნის 65 გუნდი შეიკრიბა, რომელთა რიგებში ბევრი სახელოვანი დიდოსტატი გამოდის.

ჩემპიონატზე დებიუტი გამარჯვებით დაიწყო თბილისის „სამაიამ“, რომელმაც სტარტზე მინიმალური უპირატესობით აჯობა (2,5:1,5) ბელგრადის ბასს. გუშინ ჩვენები ბევრად ძლიერ მეტოქეს შეხვდნენ — ჩერნოგორიის „პოდგორიცას“. ამის მიუხედავად, მაინც აილეს 2 ქულა, თანაც უფრო სოლიდური ანგარიშით – 3:1.

ქალებში ყველაზე ძლიერი შემადგენლობა კონტინენტის ბოლო ორი წლის ჩემპიონ „მონტე კარლოს“ ჰყავს, ამიტომ მოულოდნელი იყო პირველ ტურში მისი ფრე რუმინეთის „პოლიტექნიკასთან“. მართალია, ინდოელმა **ჰამფი კონერუმ**, რომელსაც ქალთა ტურნირში ყველაზე მაღალი რეიტინგი (2595) აქვს, შავი ფიგურებით **ქეთევან არახამია-გრანტი** დაამარცხა, ხოლო **ელმირა სკრიპჩენკომ ალინა მოტოჩს** სძლია, მაგრამ დამარცხდნენ **პია კრამლინგი (ელენა დემბოსთან)** და **მონიკა სოცკო (კორინა პეპტანთან)**, რის გამოც მეორე დაფაზე გუშინ კრამლინგი **ალექსანდრა კოსტენიუკით** შეცვალეს. მეტოქეც საკმაოდ სუსტი ჰყავდათ — მეზობელი ფრანგები, რომლებიც მშრალი ანგარიშით დაამარცხეს.

| მეორე ტურის შედეგები. ქალები | |
|---|---|
| **პოდგორიცა (ჩერნოგორია)–სამაია (საქართველო)** | **1:3** |
| ჰოანგ თრანგი-მაია ჩიბურდანიძე | 0.5:0.5 |
| ვიქტორია ჩმილიტე-ლელა ჯავახიშვილი | 0:1 |
| ალისა მარიჩი-სოფიკო ხუხაშვილი | 0:1 |
| ეკატერინა კოვალევსკაია-სალომე მელია | 0.5:0.5 |
| **ეკონომისტი (რუსეთი)–სპარტაკი (რუსეთი)** | **2:2** |
| ანა მუზიჩუკი-ტატიანა კოსინცევა | 1:0 |
| ოლგა ილიუშინა-ანტუანეტა სტეფანოვა | 0.5:0.5 |
| ანა უშენინა-ნადეჟდა კოსინცევა | 0.5:0.5 |
| ელიზაბეტ პეტცი-კატერინა ლაჰნო | 0:1 |
| **მონტე კარლო (მონაკო)–ვანდუვ ეში (საფრანგეთი)** | **4:0** |
| ჰამფი კონერუ-ანა რუდოლფი | 1:0 |
| ალექსანდრა კოსტენიუკი-ფიონა სთეილ-ანტონი | 1:0 |
| მონიკა სოცკო-ვენკ ჰენრიჩი | 1:0 |
| ელმირა სკრიპჩენკო-მარი ვეიგელი | 1:0 |
| **მიკა (სომხეთი)–პოლიტექნიკა(რუმინეთი)** | **2:2** |
| ელინა დანიელიანი-ქეთევან არახამია | 1:0 |
| ჰარიკა დრონავალი-ელენა დემბო | 0.5:0.5 |
| ნინო ხურციძე-კორინა პეპტანი | 0.5:0.5 |
| ლილით გალოიანი-ალინა მოტოჩი | 0:1 |
| **პოლონია (პოლონეთი)–ბასი (სერბეთი)** | **2.5:1.5** |
| ივეტა რაილიჩი-ინა გაპონენკო | 0.5:0.5 |
| იოლანტა ზავადსკა-ნატაშა ბოიკოვიჩი | 1:0 |
| კარინა ჰოროვსკა-ტატიანა ვასილევიჩი | 1:0 |
| მონიკა კრუპა-ანჟელიკა სტოიანოვიჩი | 0:1 |

ამრიგად, ორი ტურის შემდეგ „სამაიას“ 4 ქულა (5,5) აქვს და უდანაკარგოდ ლიდერობს. 3-3 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ვიდნოეს „სპარტაკი“ (6), მონაკოს „მონტე კარლო“ (6) და სარატოვის „ეკონომისტი“ (4,5) იყოფენ.

დღეს მე-3 ტურში ითამაშებენ: „სამაია“-„სპარტაკი“, „მონტე კარლო“-„ეკონომისტი“, „ვანდუვ ეში“-„პოდგორიცა“, „პოლიტექნიკა“-„რადნიკი“, „მიკა“-„პოლონია“. ისვენებს ბელგრადის ბას-ი.

ვაჟა დანელია

# მჭედლიშვილი დაწინაურდა

მანილაში გრძელდება მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი დიდოსტატები **მიხეილ მჭედლიშვილი** და **მერაბ გაგუნაშვილიც** მონაწილეობენ.

ხუთი ტურის შემდეგ ერთბაშად 7 მონაწილეს 4-4 ქულა ჰქონდა. გუშინ მათგან მხოლოდ მჭედლიშვილმა მიაღწია წარმატებას — ფილიპინელი დიდოსტატი **როგელიო ანტონიო** დაამარცხა და 5 ქულით ერთპიროვნულად ჩაუდგა გათამაშების ცხრილს სათავეში. დაზავდნენ მერაბ გაგუნაშვილი-**სონ ნგუენი, დარვინ ლაილო-ეჰსან ჩაემაჩამი, რაულ გომესი-ეუგენიო ტორე.**

ასპარეზობის მონაწილენი დღეს ორ-ორ პარტიას ითამაშებენ. მე-7 ტურში ლიდერთაგან ერთმანეთს შეხვდებიან: **ჟან ჟონი** (4,5)-მიხეილ მჭედლიშვილი (5), სონ ნგუენი (4,)5-დარვინ ლაილო (4,5), ეჰსან ჩაემაჩამი (4,5)-ეუგენიო ტორე (4,5), **მარკ პარაგუა** (4,5)-მერაბ გაგუნაშვილი (4,5).

შეჯიბრება ხვალ დამთავრდება.

# თეთრების შავი დღე

ნანცზინში (ჩინეთი) ფიდეს გრან-პრის გათამაშებაზე მოჭადრაკე ქალთა შორის გუშინ მე-7 ტურის პარტიები გაიმართა. სამწუხაროდ, მეორე მარცხი იწვნია ქართველმა დიდოსტატმა **ნანა ძაგნიძემ**, რომელიც ტურნირზე ერთპიროვნულად მეწინავეობდა. ამჯერად მან ჩინელ **შენ იანთან** წააგო. მადაზე მოსულმა ფრანგმა **მარი სებაგმა** (მე-5 ტურში ძაგნიძეს სძლია) თურქ **ბელთუზ ილდიზს** აჯობა და ლიდერს წამოეწია. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ჟუ ჩენი** (ყატარი)-**ბაირა კოვანოვა** (რუსეთი) 1:0, **ცზიუ ვენცზიუნი-სიუ იუჰუა** 0:1, **მარატ ფიერო** (ეკვადორი)-**ჟაო სიუ** (ჩინეთი) 0:1, **ბაიათ მონგონთუული-ლილით მკრტიჩიანი** 0,5:0,5. საგულისხმოა, რომ ძლეულთაგან, გარდა კოვანოვასი, ყველანი თეთრი ფიგურებით თამაშობდნენ.

შვიდი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ძაგნიძე, სებაგი — 5-5, ჟაო სიუ, სიუ იუჰუა — 4,5-4,5, ჟუ ჩენი, მკრტიჩიანი — 4,4, მონგონთუული, შენ იანი — 3,5-3,5, კოვანოვა, ვენცზიუნი — 3-3, ფიერო — 2, ილდიზი — 0 ქულა.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: ჟაო სიუ-კოვანოვა, სებაგი-ჟუ ჩენი, სიუ იუჰუა-ილდიზი, შენ იანი-ცზიუ ვენცზიუნი, მკრტიჩიანი-ძაგნიძე, ფიერო-მონგონთუული.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვა საქართველოს პირველი ჩოგანია

გუშინ WTA-ს და ATP-ის ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა, რომელმაც დიდად შეცვალა ქართველ ქალთა განლაგება კლასიფიკაციაში. მაშინ, როცა 19 წლის **ანა ტატიშვილმა** ერთბაშად 30 საფეხური დაკარგა რეიტინგში, მასზე თვეებით უმცროსმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** 7 ადგილით წაიწია, ეს კი საკმარისი გამოდგა პირველ ადგილზე გადასასვლელად - დღეიდან, საქართველოს ახალი პირველი ჩოგანი ჰყავს - ოქსანა კალაშნიკოვა, რომელმაც შაბათს თბილისში 25-ათასიანი ტურნირი მოიგო. სხვათა შორის, ამ ტურნირის მოგებისთვის კუთვნილი 50 ქულა ოქსანას შემდეგ ორშაბათს დაერიცხება და ის კიდევ უფრო წაიწევს რეიტინგში, ახლა კი მისი მცირე წინსვლა თელავის ტურნირის 14 ქულითაა განპირობებული. ოქსანა კალაშნიკოვა 304 ქულით მსოფლიოს 185-ე ჩოგანია, ხოლო ანა ტატიშვილი 300 ქულით მსოფლიოში 191-ეა. მოკლედ, ოქსანას სამშობლოში თამაში დაუფასდა.



ოქსანა კალშნიკოვა

სულ ოთხი ადგილით დაწინაურდა **მაკა ჩახნაშვილი**, რომელსაც 248 ქულა დაუგროვდა, მაკა კლასიფიკაციაში 213-ე ადგილზეა. ამ სამეულს უკვე გვარიანად ჩამორჩა **სოფიო შაფათავა**, რომელსაც შარშანდელი ქულები ჩამოაკლდა, 56 ადგილით უკან დაიხია და 81 ქულით 433-ე ადგილზეა. სოფიოს თბილისის ტურნირის ფინალში გასვლისთვის 34 ქულა დაემატება და მოწინავე 400-ეულს ისევ დაუბრუნდება. სხვები: 510 (-24) **სოფიო ქვაცაბაია** - 59 ქულა; 511 (-33) **ეკა გორგოძე** - 59; 513 (+38) **მანანა შაფაქიძე** - 58; 556 (+179) **თათია მიქაძე** - 50. შთამბეჭდავია თათია მიქაძის ნახტომი რეიტინგში, მან, კალაშნიკოვამ და შაფაქიძემ კარიერის საუკეთესო ნიშნულს უწიეს. ვაჟთა შორის, **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 582-ე (-) პოზიციაზეა 50 ქულით. სხვათა ყოფნას რეიტინგ-ლისტში კი მხოლოდ სიმბოლური ეთქმის. წყვილთა რეიტინგში სამი ქართველი ქალია მოწინავე ორასეულში: მაკა ჩახნაშვილი (180), ანა ტატიშვილი (182) და ოქსანა კალაშნიკოვა (188).

ოქსანა კალაშნიკოვა და მაკა ჩახნაშვილი ლიმოჟში (საფრანგეთი, 25 ათასი $) იმყოფებიან, სადაც პირველი მე-3 ნომრად არის განთესილი, უკანასკნელი კი - მე-6. კალაშნიკოვას მეტოქე საკვალიფიკაციო ტურნირიდან გამოსული ფრანგი **ალიქს კოლომბონია**. აი, ჩახნაშვილს კი მეტოქეში არ გაუმართლა, რუსი **ელენა ბოვინა** (285), ადრე მსოფლიოს მე-14 ჩოგანი იყო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ცივაძე მესამეა

ნეაპოლში (იტალია) დამთავრდა ევროპის ახალგაზრდა ჩოგბურთელთა მასტერსი, რომელშიც ასაკის მიხედვით 8-8 საუკეთესო ქალ-ვაჟი მონაწილეობდა. 16-წლიანებში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას **ბარბარე ერისთავი** და **გიორგი ცივაძე** იცავდნენ, რომლებმაც წლეულს თბილისისა და სომხეთის ტურნირებზე მიაღწიეს წარმატებას თანატოლთა შორის.

ცივაძეს პირველ მეტოქედ ჰყავდა კვიპროსელი **ხრისტოს ჰაჯიგეორგიუ**, რომელსაც დაძაბულ ბრძოლაში მოუგო - 6:3, 7:5. მეორე წრეში ბრიტანელი **ლოიდ გლასპულის** მძლეველ (7:5, 0:6, 6:3) იტალიელ **მიკელე პალმასთან** დამარცხდა — 4:6, 4:6. ბადის მეორე მხარეს სერბმა **მიკი იანკოვიჩმა** ბრიტანელ **კონორ გლენონს** მოუგო, ლიტველმა **ლიკას მუგევიჩისმა** რუს **გეორგი შაშკანოვს** დააყრევინა ფარ-ხმალი — 5:7, 7:6, 6:4. იანკოვიჩმა ნახევარფინალში მუგევიჩუსს სძლია (6:4, 6:2), გადამწყვეტ პაექრობაში კი პალმა დაამარცხა — 7:5, 6:4 და პირველი ადგილი დაიკავა. ცივაძემ მუგევიჩუსს იოლად აჯობა (6:1, 6:1) და მესამე ადგილზე გავიდა.

ბარბარა ერისთავი პირველსავე წრეში რუმინელ **ელენა კადართან** დამარცხდა — 3:6, 4:6. შემდეგ მის თანამემამულე **ირინა მარია ბარასთან** წააგო — 2:6, 2:6, მესამე შეხვედრა კი ბულგარელ **ბორისლავა ბოტუშაროვასთან** დათმო (0:6, 1:6) და მე-8 ადგილს დასჯერდა. აქ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სერბი **იოანა იაკსიჩი** ავიდა, რომელმაც ფინალში უკრაინელი **ჟანა პოზნიხირენკო** დაჯაბნა — 7:5, 6:4. მესამე ადგილი რუმინელ **სიმონა იონესკუს** ერგო.

ვაჟა დანელია



გიორგი ცივაძე

ხელბურთი

# თბილისი ბენფიკასთვის ემზადება



საქართველოსჩემპიონმა "თბილისმა" ევროპის ფედერაციის თასზე ასპარეზობა წარმატებით დაიწყო და სექტემბერში კვიპროსული "პაფოსის" ბარიერი გადალახა. იმის მიუხედავად, რომ ქართულმა კლუბმა ორივე მატჩი სტუმრად ჩაატარა, მაინც დამაჯერებლად იმარჯვა – 33:30 და 32:25.

შემდეგ ეტაპზე კი "თბილისი" გაცილებით მრისხანე მეტოქეს – ლისაბონის "ბენფიკას" დაუპირისპირდება. სამწუხაროდ, ორივე შეხვედრას ამჯერადაც სტუმრად ჩავატარებთ. ქართველები პორტუგალიაში 15 სექტემბერს გაემგზავრებიან, მატჩები კი 17 და 18 სექტემბერს გაიმართება.

**"თბილისის" შემადგენლობა ასეთია:**

მეკარეები: **კორნელი ანდრიაძე, ალექსანდრე გონჩაროვი**

მოედნის მოთამაშეები: **ტიტე კალანდაძე, ლევან გელაშვილი, გიორგი წივწივაძე, ვანო ქარდავა, უჩა მაისურაძე, ომარ ქუთათელაძე, ოთარ ამირანაშვილი, გიორგი იობაშვილი, აკაკი ყაველაშვილი, გიორგი სამარლანიშვილი, ირაკლი თევზაძე, ალექსანდრე ლობჟანიძე, შალვა თოდაძე.**

ცნობისათვის, ლობჟანიძე და თოდაძე გუნდს კვიპროსელთა ძლევის შემდეგ შეუერთდნენ. საბედნიეროდ, ყველა ხელბურთელი მწყობრშია და სრული დატვირთვით ემზადება. "თბილისი" სკა-ს დარბაზში ყოველდღე ვარჯიშობს. "ლელოს" უახლოეს ნომერში ვარჯიშიდან რეპორტაჟსა და გუნდის მთავარი მწვრთნელის **მამუკა მჟავანაძის** ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

ლევან ჯანეზაშვილი

ავტორის ფოტო

ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“
(მდებარე სანაპიროს ქ №2-ში,
ბარათაშვილისა და მშრალ ხიდებს შორის)
მაღალკვალიფიცირებული ჩოგბურთის
მწვრთნელი ბორის სენჩუროვი
ღებულობს ბავშვებს ჯგუფში 5 წლიდან
და ზემოთ. სწავლა გარანტიას იძლევა
ბავშვების მაღალი ტექნიკის სწავლებასა
და შემდგომ ჩოგბურთის თამაშის
განვითარებას. პარალელურად ტარდება
ბავშვების მომზადება.



☎ 52-99-95;
899 51-10-46

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრენბურთი

# იტალიური ტრადიცია

საუკუნის ნახევარზე მეტი ხნის წინ მამაკაცთა ფრენბურთში მოდის კანონმდებლებად იტალიელები ითვლებოდნენ. დაახლოებით 15 წლის განმავლობაში ისინი არავის უთმობდნენ ევროპულ ტიტულს (მხოლოდ თითოჯერ დამარცხდნენ ჰოლანდიასა და იუგოსლავიასთან). ბედის ირონიით ლეგენდარული გუნდის დაცემა ქალების ნაკრების აღზევებას დაემთხვა.

იტალიელი ქალების პროგრესი 2001 წელს მთავარ მწვრთნელად მარკო ბონიტას მისვლის შემდეგ დაიწყო. იმ სეზონში მისმა შეგირდებმა ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრეს, ერთი წლის შემდეგ კი მოულოდნელად საუკეთესოები გახდნენ მსოფლიოს პირველობაზე. ოლიმპიადა იტალიელებმა მეხუთე ადგილზე დაასრულეს, მალე კი ევროპაზე ისევ ვერცხლი მიიღეს (ფინალში პოლონეთთან დამარცხდნენ). გუნდს ახალი იმპულსი სჭირდებოდა და 2006 წელს ბონიტა მასიმო ბარბოლინიმ შეცვალა. მასთან ერთად ნაკრები გააძლიერეს ბლოკზე მოთამაშე სიმონა ჯოლიმ, რომელიც გუნდის ახალი ლიდერი გახდა, ჯენი ბარბაცამ, ახალგაზრდა სერენა ორტოლანიმ და ნატურალიზებულმა კუბელმა ტაისმარი აგუერომ.

წარმატება მალე მოვიდა. 2007 წელს იტალიელებმა ევროპის ჩემპიონატიც მოიგეს და იაპონიაში გამართული მსოფლიოს თასიც. მორიგი ოლიმპიური ჩავარდნისა და 2009 წლის გრან-პრიზე უარის თქმის შემდეგ, ბარბოლინის გუნდი ევროპის წლევანდელ ჩემპიონატს ერთ-ერთი ფავორიტის რანგში შეხვდა.

ჯგუფურ ტურნირში დომინირების შემდეგ (იტალიამ ხუთივე მატჩი „მშრალი" ანგარიშით მოიგო), ნახევარფინალში იტალია F ჯგუფიდან ნაცნობ გერმანიაზე გავიდა. მაგრამ ჯოვანი გუდეტის გუნდთან მეორე შეხვედრა საკმაოდ რთული გამოდგა. პირველ სეტში განადგურების შემდეგ (10:25) გერმანელებმა ფავორიტებს ბრძოლა გაუმართეს და მეორე პარტიის მოგებაც მოახერხეს. მესამე სეტში სიმონა ჯოლიმ და კომპანიამ პირველი წუთიდან „გადაუარა" მეტოქეს და გერმანია პირველი სეტის მსგავსად განადგურებას ვერ გადაურჩა. თითქოს



მეოთხე პარტიაში იტალიელებს არ უნდა გასჭირვებოდათ ფინალის საგზურის მოპოვება, მით უმეტეს, რომ მათმა უპირატესობამ შვიდ ქულას მიაღწია (10:3). მაგრამ გერმანიამ მდგომარეობის გამოსწორება მოახერხა და ანგარიში გაათანაბრა - 16:16. ბოლოს კარგად იმუშავა იტალიელთა ბლოკმა - ბოლო ორი ქულა სწორედ კარგი დაცვით იქნა მოპოვებული და „სკუადრა აძურა" ფინალში გავიდა.

მეორე ნახევარფინალში ჰოლანდიამ ასევე ოთხ სეტში ტურნირის მასპინძელი პოლონეთი დაამარცხა, რითაც ფინალში ორი დაუმარცხებელი ნაკრები - იტალია და ჰოლანდია შეხვდა ერთმანეთს. პირველად ისტორიაში ფინალის მსაჯობა ორ ქალ მსაჯს - ხორვატ ზორიცა ბელიჩსა და ესპანელ მარია როდრიგესს მიანდეს.

იტალიელთა ტოტალური უპირატესობის გამო, მატჩი სამსაჯოდ იოლი გამოდგა. პირველი სეტის პირველ ნახევარში თანაბარი ბრძოლის შემდეგ ჰოლანდიამ რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და იტალიამ ხუთქულიან უპირატესობას მიაღწია, რომელიც კიდევ უფრო გაიზარდა. „ნარინჯისფერებმა" ვერაფერი მოუხერხეს მეტოქის ბეტონივით ბლოკს.

მეორე სეტში ჰოლანდიელებმა დაიჭირეს თავიანთი თამაში და სოლიდურ უპირატესობას მიაღწიეს - 8:3. ბარბოლინიმ ტაიმ-აუტი აიღო, რის შემდეგაც იტალიამ მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, ბოლოს კი გადამწყვეტი გარღვევაც განახორციელა. სეტის გადარჩენაში გადამწყვეტი წვლილი ვეტერანებმა ჯოლიმ და აგუერომ შეიტანეს. ასე რთულად მოგებული პარტიის შემდეგ, იტალია მესამე სეტში თავიდან ბოლომდე ფლობდა ინიციატივას. გამარჯვების ქულა მოწოდებით იმავე აგუერომ მოიპოვა.

ასე გახდა იტალია მესამე ნაკრები ისტორიაში (სსრკ-ისა და პოლონეთის შემდეგ), რომელმაც ზედიზედ ორჯერ მოიგო კონტინენტის პირველობა.

**1/2 ფინალი**

ჰოლანდია-პოლონეთი 3:1 (25:11, 25:15, 20:25, 25:20); იტალია-გერმანია 3:1 (25:10, 22:25, 25:12, 25:22).

**მე-3 ადგილისთვის**

პოლონეთი-გერმანია 3:0 (25:16, 25:19, 25:23).

**ფინალი**

იტალია-ჰოლანდია 3:0 (25:16, 25:19, 25:20).

**ინდივიდუალური პრიზები**

**საუკეთესო მოთამაშე** - მანონ ფლიერი (ჰოლანდია), **საუკეთესო მბლოკავი** - კრისტიანე ფრიუსტი (გერმანია), **საუკეთესო ლიბერო** - პაოლა კარდულო (იტალია), **საუკეთესო მიმღები** - კერსტინ შერლიხი (გერმანია), **საუკეთესო ბომბარდირი** - მარგარეტა კოზუხი (გერმანია), **საუკეთესო მომწოდებელი** - აგნეშკა ბედნარეკ-კაშა (პოლონეთი), **საუკეთესო გამთამაშებელი** - ელეონორა ლო ბიანკო (იტალია), **საუკეთესო თავდამსხმელი** - სიმონა ჯოლი (იტალია).

რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ყველაფერი უელსში გადაწყდება



რალიში მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი ბოლო ეტაპზე გამოვლინდება. კატალონიის რალი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა **სებასტიან ლოებმა** მოიგო. „სიტროენის" ფრანგმა პილოტმა სეზონში მეექვსე ეტაპზე იმარჯვა, რამაც საშუალება მისცა, საერთო ჩათვლაში ერთ ქულამდე შეემცირებინა სხვაობა ფინელ **მიკო ჰირვონენთან**.

კატალონიის რალიში ლოების მთავარი მონინაალმდეგე ესპანელი **დანი სორდო** იყო. ფრანგი ბოლო დღის წინ მხოლოდ წამ-ნახევარს უგებდა პირენეელს. სორდოს დიდი მონდომების მიუხედავად, ლოებმა შეძლო ამ უპირატესობის შენარჩუნება და ჩემპიონობის შანსი დაიბრუნა.

აღსანიშნავია, რომ ლოებს აპრილის შემდეგ არ მოეგო ეტაპი. სეზონის პირველი ხუთი რბოლის შემდეგ, ერთხელ ესტონელმა **ლატვალამ** იმარჯვა, შემდეგ ზედიზედ ოთხჯერ ოთხი ეტაპი ჰირვონენმა მოიგო.

ახლა ყველაფერი ბრიტანეთის რალიზე გადაწყდება, რომელიც 23-25 ოქტომბერს დაიწყება. უელსში გამარჯვების შემთხვევაში, ლოები ზედიზედ მეექვსედ გახდება რალის ჩემპიონი. ამის შემდეგ კი ვარაუდობენ, რომ ეს ბრწყინვალე ფრანგი ავტომრბოლი ფორმულა 1-ის ბოლო ეტაპში - აბუ დაბის გრან-პრიში მიიღებს მონაწილეობას. ლოები ერთი რბოლისთვის თავის რიგებში „ტორო როსომ" მიიწვია.

**XI ეტაპი. კატალონიის რალი**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 3:22.14,7; 2. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი") - +12,0; 3. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი") - +54,1; 4. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სუბარუ") - +1.12,4; 5. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი) - +1.41,6; 6. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი") - +2.49,8; 7. **მალკოლმ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი") - +7.15,5; 8. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი") - +8.28,1.

**საერთო ჩათვლა:** 1. **მიკო ჰირვონენი** - 84 ქულა; 2. **სებასტიან ლოები** - 83; 3. **დანიელ სორდო** - 58; 4. **იარი-მატი ლატვალა** - 39; 5. **პეტერ სოლბერგი** - 30; 6. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 29; 7. **სებასტიან ოჟიე** - 24; 8. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი") - 23.

მოტორბოლა

**XIV ეტაპი (პორტუგალიის გრან-პრი)**

**125 cc**

1. **პოლ ესპარგარო** (ესპანეთი, „დერბი") - 41.00,421; 2. **სანდრო კორტეზე** (გერმანია, „დერბი") - +0,394; 3. **ბრედლი სმიტი** (ბრიტანეთი, „აპრილია") - +0,581; 4. **შტეფან ბრადლი** (გერმანია, „აპრილია") - +11,048; 5. **ხოან ოლივე** (ესპანეთი, „დერბი") - +16,830; 6. **სერხიო გადეა** (ესპანეთი, „აპრილია") - 17,170.

**საერთო ჩათვლა:** 1. **სიმონე კორსი** (იტალია, „აპრილია") - 215 ქულა; 2. **ბრედლი სმიტი** - 163.5; 3. **ნიკოლას ტეროლი** (ესპანეთი, „აპრილია") - 152.5; 4. **პოლ ესპარგარო** - 129.5; 5. **სერხიო გადეა** - 122; 6. **ანდრეა იანონე** (იტალია, „აპრილია") - 109.5.

**250 cc**

1. **მარკო სიმონჩელი** (იტალია, „ხილერა") - 44.04,298; 2. **მაიკ დი მელიო** (საფრანგეთი, „აპრილია) - +5.317; 3. **ჰექტორ ბარბერა** (ესპანეთი, „აპრილია") - +5,317; 4. **ჰიროში აოიამა** (იაპონია, KTM) - +12,024; 5. **ჟულ კლუზელი** (საფრანგეთი, „აპრილია") - +14,349; 6. **რატაპარკ ვილაიროტი** (ტაილანდი, „ჰონდა") - +18,256.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ჰიროში აოიამა** - 218 ქულა; 2. **ალვარო ბაუტისტა** (ესპანეთი, „აპრილია") - 192; 3. **მარკო სიმონჩელი** - 190; 4. **ჰექტორ ბარბერა** - 174; 5. **მატია პაზინი** (იტალია, „აპრილია") - 128; 6. **მაიკ დი მელიო** (საფრანგეთი, „აპრილია) - 94.

**მოტოგრანპრი**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპანეთი, „იამაჰა") - 45.35,522; 2. **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, „დუკატი") - 6,294; 3. **დანიელ პედროსა** (ესპანეთი, „ჰონდა") - +9,889; 4. **ვალენტინო როსი** (იტალია, „იამაჰა") - +23,428; 5. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, „იამაჰა") - +32,652; 6. **ანტონიო ელიაში** (ესპანეთი, „ჰონდა") - +35,709.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ვალენტინო როსი** - 250 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** - 232; 3. **დანიელ პედროსა** - 173; 4. **კეისი სტოუნერი** - 170; 5. **ანდრეა დოვიციოზო** (იტალია, „ჰონდა") - 142; 6. **კოლინ ედვარდსი** - 134.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| **UNDER 20** | |
| ესპანეთი-იტალია | 1:3 |
| პარაგვაი-ს. კორეა | 0:3 |
| **ინგლისი** | |
| ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი | 1:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ტორინო-ანკონა | 1:1 |
| **სერია C1/B** | |
| ჯულიანოვა-ვირტუსი | 2:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კარლსრუე-არმინია | 0:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰამბურგი A-ჰალეხერი | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტური-ნანტი | 1:1 |
| **პორტუგალია** | |
| ნასიონალი-გიმარაეში | 2:0 |
| ფერეირა-ბენფიკა | 1:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ავეში-ჟილ ვისენტე | 2:2 |
| **დანია** | |
| ოდენსე-ოლბორგი | 2:1 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-ვიკინგი | 3:1 |
| **შვედეთი** | |
| გიოტებორგი-გაის | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ნორჩოპინგი-ლიუნგსკილე | 1:1 |
| სირიუსი-ვასალუნდსი | 2:0 |
| სუნდსვალი-სირიანსკა | 3:2 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კლუბი04-პკ35 | 2:1 |
| კოოტეპე-ვიიკინგიტი | 1:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვინტერტური-თუნი | 2:1 |
| **საბერძნეთი** | |
| ასტერასი-ერგოტელისი | 2:4 |
| პანიონიოსი-ატრომიტოსი | 2:1 |
| პაოკ-ირაკლისი | 1:0 |
| ქსანტი-აეკ | 1:0 |
| პანათინაიკოსი-ლარისა | 4:0 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დარდანელი-ქარსიაქა | 1:5 |
| **კვიპროსი** | |
| ერმისი-აპოელ | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-სპარტა | 0:1 |
| **რუმინეთი** | |
| ინტერნასიონალი-ტიმიშოარა | 0:3 |
| **ბულგარეთი** | |
| ბეროე-პირინი | 1:1 |
| **ბელარუსი** | |
| ბატე-ნაფტანი | 4:0 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ბეითარი | 3:2 |
| **არგენტინა** | |
| ლანუსი-გოდოი | 1:0 |
| **ბრაზილია** | |
| ავაი-კრუზეირო | 2:2 |
| კურიტიბა-ინტერნასიონალი | 2:0 |
| ფლამენგო-ფლუმინენსე | 2:0 |
| **ჩილე** | |
| უნ. ესპანიოლა-ს. მორნინგი | 0:1 |
| **კოლუმბია** | |
| ინდეპენდიენტე-ატ. ხუნიორი | 1:0 |
| **მექსიკა** | |
| პუებლა-ს. ლაგუნა | 3:3 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| სიბირი-ტრაქტორი | 6:2 |
| ავტომობილისტი-მეტალურგი (მ) | 2:4 |
| ლადა-ტორპედო | 4:0 |
| აკ ბარსი-ვიტიაზი | 2:1 |
| ლოკომოტივი-ავანგარდი | 2:3 |
| ნეფტეხიმიკი-ცსკა | 4:2 |
| სპარტაკი-ს. იულიაევი | 4:2 |
| მვდ-ბარისი | 5:1 |
| **შვედეთი** | |
| როგლე-ტიმრა | 3:2 |
| ფრიოლუნდა-ლულეა | 2:6 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. პეკინი** | |
| კოლშრაიბერი-კარლოვიჩი | 7:6, 4:6, 6:1 |
| ბენეტო-დანიელი | 6:3, 6:4 |
| ჰანესკუ-ჯოკოვიჩი | 3:6, 5:7 |
| რობრედო-ბეკერი | 6:2, 6:1 |
| ანდრეევი-ჩილიჩი | 4:6, 4:6 |
| ფერერო-ალმაგრო | 7:5, 7:6 |
| **ATP. ტოკიო** | |
| გრეული-ვასალო არგელო | 4:6, 6:4, 6:2 |
| ვავრინკა-ისნერი | 6:4, 6:4 |
| ჩუიდინელი-სელა | 4:6, 6:1, 6:4 |
| ილჰანი-მონფილსი | 2:6, 4:6 |
| **WTA. პეკინი** | |
| კინგი-ვოსკობოევა | 6:4, 6:3 |
| ვიკმაიერი-კლეიბანოვა | 7:5, 3:6, 3:6 |
| სკიავონე-ლისიცკი | 6:0, 1:0 უარი |
| ჰანტუხოვა-სუარეს ნავარო | 7:5, 6:2 |
| პეტროვა-კუდრიავცევა | 6:1, 5:7, 6:2 |
| კორნე-ვოზნიაკი | 6:7, 4:6 |
| ა. ბონდარენკო-ერანი | 6:3, 6:3 |
| პავლიუჩენკოვა-ვ. უილიამსი | 3:6, 6:1, 6:4 |
| კუზნეცოვა-მედინა გარიგესი | 6:2, 6:1 |
| საფინა-ჟანგი | 5:7, 6:7 |
| საფაროვა-ნა ლი | 6:4, 0:6, 4:6 |

TV პროგრამა

**6 ოქტომბერი. სამშაბათი**

**I არხი**

13:30 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:05 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
10:10 სპორტული სამყარო.
10:35 სავიზიტო ბარათი.
10:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი.
12:35 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-პალმეირასი.
14:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ჰამბურგი.
16:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ტოტენჰემი.
17:50 სპორტული სამყარო.
18:20 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
18:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-უდინეზე.
20:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:20 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
20:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-რეინჯერსი.
00:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
01:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ვაშინგტონი (LIVE).
05:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ჰამბურგი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-კიოლნი.
08:45 სპორტული სამყარო.
09:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-პარმა.
10:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. შახტარი-პარტიზანი.
13:45 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
14:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. ბანგკოკი.
18:50 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
19:15 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
20:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-კიოლნი.
22:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-ატლეტიკო.
00:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-რეინჯერსი.
02:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბლექბერნი.
04:30 სპორტული სამყარო.
05:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვერდერი-ბილბაო.
06:50 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. აბუ დაბი, საემიროები.

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი.
10:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
11:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პეკინი, ჩინეთი (LIVE).
16:45 სნუკერი. გრან-პრი. IV დღე. გლაზგო, შოტლანდია (LIVE).
18:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/8 ფინალი. ეგვიპტე (LIVE).
20:30 სნუკერი. გრან-პრი. IV დღე. გლაზგო, შოტლანდია.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:10 სნუკერი. გრან-პრი. IV დღე. გლაზგო, შოტლანდია.
22:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/8 ფინალი. ეგვიპტე (LIVE).
00:00 სნუკერი. გრან-პრი. IV დღე. გლაზგო, შოტლანდია (LIVE).
01:00 ექსტრემალური სპორტი.
01:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
01:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი.
02:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. მანი-კური. საფრანგეთი.
03:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.

ჩოგბურთი

# საფინა ლიდერობას ეთხოვება

დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ მომავალ ორშაბათს WTA-ის კლასიფიკაციას ახალი პირველი ნომერი ეყოლება. რეიტინგის ამჟამინდელი ლიდერი **დინარა საფინა** სეზონის ბოლოს საშინელ ფორმაშია. რუსმა ზედიზედ მეორე ტურნირში ვერ შეძლო მეორე წრის ბარიერის დაძლევა. ტოკიოში განცდილი ფიასკოს შემდეგ, საფინამ ჩინეთის ღია პირველობაზე ყველასთვის უცნობ **შუაი ჟანგთან** წააგო, რომელიც პეკინის ტურნირის ძირითად ბადეში უაილდ-ქარდით მოხვდა.

მასპინძელმა ჩოგბურთელმა, რომელიც მხოლოდ 226-ე ადგილს იკავებს კლასიფიკაციაში, ერთი სეტიც არ დაანება მეტოქეს. პირველი პარტია რუსმა კარგად დაიწყო და 4:2 გავიდა წინ, მაგრამ სეტის ბოლომდე დინარამ ორჯერ მოასწრო საკუთარი გეიმის წაგება და 5:7 დამარცხდა.

მეორე სეტის დასაწყისიც რუს ჩოგბურთელს დარჩა - 2:0, მაგრამ მან იქვე მისცა 20 წლის მეტოქეს საპასუხო ბრეიკის გაკეთების საშუალება, რის შემდეგაც ინიციატივას ჟანგი დაეუფლა და 5:4-ზე მატჩზე ჩასაწოდებლად მოემზადა. საფინამ შეხვედრა გადაარჩინა და 6:5-ზე თავად მიილო სეტ-პოინტი. ვერც მან შეძლო შანსის გამოყენება და საბოლოოდ საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ჩინელი თავიდანვე 4:0 გავიდა წინ. ერთადერთი, რაც დინარამ შეძლო, ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება იყო. მეტის მისაღწევად რუსს არც ძალა ეყო და არც ოსტატობა.



პეკინის ტურნირის დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს მეორე ჩოგან **სერენა უილიამსს** უკვე ამ კვირას შეეძლო კლასიფიკაციაში ლიდერობის დაბრუნება. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ ამერიკელი ჩინეთის ღია პირველობაზე საფინაზე კარგად გამოვიდოდა. ასე რომ, თუ დღეს სერენა შეძლებს რუსი **ელენა მაკაროვას** დამარცხებას, მომავალი ორშაბათიდან ის სათავეში ჩაუდგება WTA-ის რეიტინგს.

*„ამ მომენტში შორს ვარ საუკეთესო ფორმისგან, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებ რეიტინგში პირველი ადგილის დასაბრუნებლად. ეს ტიტული ძალიან მომწონს და ისევ მინდა საუკეთესო გავხდე. ეჭვი არ მეპარება, რომ საბოლოოდ ასეც მოხდება“*, - განაცხადა სერენამ.

■ ■ ■

საფინას მსგავსად, ცუდ ფორმაშია სერენას უფროსი და - **ვენუს უილიამსი**. უკვე ზედიზედ მეორე კვირაა მსოფლიოს მესამე ჩოგნისთვის გადაულახავ ბარიერად იქცა 18 წლის რუსი ჩოგბურთელი **ანასტასია პავლიუჩენკოვა**. ერთი კვირის წინ ვენუსმა მეორე წრეში წააგო მსოფლიოს 39-ე ჩოგანთან. გუშინ, უილიამსს რევანშის აღების შანსი ჰქონდა, მაგრამ კვლავ დამარცხებულმა დატოვა კორტი.

„დიდი სლემის“ ტურნირების შვიდგზის ჩემპიონმა მხოლოდ პირველ სეტში აჩვენა თავისი საფირმო აგრესიული თამაში (6:3). სამაგიეროდ, მეორე პარტიაში ამერიკელი საკუთარ თავს არ ჰგავდა და მხოლოდ ერთი გეიმის აღება მოახერხა. ვენუსი შოკიდან ვერ გამოვიდა და როცა მესამე პარტიაში ანგარიში 5:2 გახდა რუსის სასარგებლოდ, ცხადი იყო, რომ პავლიუჩენკოვა მორიგი სენსაციის ავტორი გახდებოდა. ასეც მოხდა - რუსმა სეტი 6:4 მოიგო და მერვედფინალის საგზური მოიპოვა.

ვენუს უილიამსის ცუდ ფორმაზე კარგად მეტყველებს ორი სტატისტიკური მაჩვენებელი - მან ვერც ერთი ეისი ვერ ჩააწოდა და 14 (!) ორმაგი შეცდომა დაუშვა.

ფორმულა 1



# პიკე ნასკარში მიდის

ფორმულა 1-ში ატეხილი სკანდალის შემდეგ, ბრაზილიელი **ნელსინიო პიკე** ნასკარის სერიაში აპირებს კარიერის გაგრძელებას. „რენოს“ ყოფილი პილოტი უახლოეს პერიოდში გაემგზავრება გუნდ Red Horse Racing-ის ბაზაზე, რომელიც კალიფორნიის შტატშია განლაგებული. სწორედ იქ ჩაატარებს ბრაზილიელი Toyota Tundra-ის მანქანის ტესტებს.

ამ დღეებში გახმაურებული სკანდალის შემდეგ ნელსინიოს პირველი ინტერვიუ გამოქვეყნდა. მიუხედავად იმისა, რომ უმცროსმა პიკემ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციისგან ამნისტია მიიღო, ბრაზილიელის თქმით, ამ სკანდალისგან ყველაზე მეტად სწორედ ის დაზარალდა.

*„ზოგიერთს მიაჩნია, რომ ფედერაციას ჩემ მიმართ მკაცრი სასჯელი უნდა გამოეტანა, მაგრამ სინამდვილეში საკუთარი თავი ყველაზე მკაცრად მე დავსაჯე. ამ სკანდალის მონაწილეებისგან განსხვავებით, მე კარიერას ვიწყებ და ბევრი წინაღობის გადალახვა მომიწევს იმისთვის, რომ საკუთარი დონე დავამტკიცო.*

*შეიძლება ითქვას, რომ ფორმულა 1-ში ან რომელიმე სხვა სერიაში კარიერის დაწყება ნულიდან მომიწევს. მომხდარის მიუხედავად, ბევრი რამ ვისწავლე და ამ ისტორიიდან უფრო ძლიერი და ჭკვიანი გამოვედი.*

*ზუსტი ჩვენება მივეცი და ამის წყალობით, დღეს ეს ამბავი ისეა გადმოცემული, როგორც სინამდვილეში მოხდა. შეცდომა დავუშვი, როცა „რენოს“ შეფების თხოვნას დავთანხმდი. მაგრამ მეორე შეცდომას დავუშვებდი, რომ ეს სკანდალი დღის სინათლეზე არ გამომეტანა“*, - აცხადებს პიკე ბრაზილიური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.

კრივი

# ტუა რაჰმანს უმიზნებს



ზელანდიელი მძიმეწონოსანი **დევიდ ტუა**, რომელიც ორწლიანი შესვენების შემდეგ წარმატებით დაუბრუნდა რინგს, 2009 წლის ბოლოსთვის კიდევ ერთი ბრძოლის გამართვას აპირებს.

ჯერჯერობით უცნობია ვის შეხვდება „ტერმინატორი“ (ტუას მეტსახელი). ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყდება საკითხი მისი მომდევნო ბრძოლების ტრანსლაციების უფლებების შესახებ. 35 წლის ტუას ერთ-ერთ სავარაუდო მეტოქედ მსოფლიოს ექსჩემპიონი **ჰასიმ რაჰმანი** სახელდება, რომელთანაც დევიდს ერთი ბრძოლა წაგებული აქვს. ამ საინტერესო ჩხუბის ჩატარებას დეკემბერში ვარაუდობენ.

შეგახსენებთ, რომ გასულ შაბათს ტუამ მეორე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა თანამემამულე **შეინ კამერონი** და ეს მისი 50-ე გამარჯვება იყო პროფესიულ რინგზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




